№1. 2019 Წ.

ᲜᲐᲚᲘᲐᲜᲘ

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"

იალქანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის
აფქიო - ჯონა-ჯრებული ყველაზე პატარებისთვის

იალქანი

რედაქტორი - **ნანა ჭანტურია**
მხატვრული რედაქტორი - **ნუნუ ჯანელიძე**
დიზაინი, დაკაბადონება - **ვახტანგ ზაქარაია**
მხატვარი - **დალი მუხაძე**
სტილისტი - **თათული რუხაძე**

„ცენტრის" დირექტორი
ირმა ირემაძე
იალქანი - დაარსებულია 1996 წელს
აფქიო - დაარსებულია 2010 წელს
გამოცემა განახლდა 2014 წელს



სოხუმი. სასტუმრო „ორიენტალი". 1908 წ.

საგამომცემლო ჯგუფი:
ნინო ვახანია, სალომე კაპანაძე, ნატო კორსანტია, ნუგზარ მგალობლიშვილი, როლანდ ნიჭარაძე, ოთარ ჟორდანია, გელა ჩქვანავა, სოსო ჭუმგურიძე.

სამშობლო

ᲘᲚᲘᲐ II
უწმინდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი





დღეს ბევრს ავიწყდება, რომ სამშობლო პასუხისმგებლობაა. მით უმეტეს, ისეთი სამშობლო, როგორიც საქართველოა.

ჩვენს მამა-პაპას იმად არ უღვაწია, იმად არ უქცევია წმინდა სისხლი, რომ შთამომავლობა გულხელდაკრეფილი შეჰყურებდეს თავისი ქვეყნის განიავებას და საპასუხოდ არაფერს აკეთებდეს.

ჩვენი ისტორია ჩვენი წინაპრების მიერ ჩვენთვის დანატოვარი ანდერძია. „თქვენც ასე მოიქეცით!“ – ჩამოგვძახიან ზეციური საქართველოდან. თუმცა ახლანდელ საქართველოში თავს ასე იმართლებენ: აბა, ჩვენ რა შეგვიძლია; ჩვენ ხომ არა ვართ დავით აღმაშენებლები, თამარ დედოფლები, ბაგრატ მეფეები, აშოტ კურაპალატები...

ჰო, მაგრამ, ასე რომ ეფიქრათ წმინდა ილია მართალს, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცს, წმინდა ალექსი ბერს, წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელს, ჩვენს მოწამე კათალიკოსებს – ლეონიდს, კირიონსა და ამბროსის, იაკობ გოგებაშვილს, ვაჟას, აკაკის და მრავალსაც სხვას, განა იარსებებდა დღეს ჩვენი ქვეყანა?

მათ შეძლეს, რადგან უყვარდათ. ამიტომ ასეთი განცხადება თავის მართლებაა მხოლოდ. მისი საფუძველი კი არის შემცირება ან სრულიად განქარვება იმისა, რასაც სიყვარული ჰქვია.

ნუ გავიქცევით ჩვენი სამშობლოდან!

განა ქართველი ამას ოდესმე შეჰგუებია?!

განა ბედის უკულმართობით სამშობლოდან მოწყვეტილ ქართველებს არ ეწერათ სიკვდილი, ანუ ყველა სხვათათვის ის გაუგებარი ავადმყოფობა, რომელსაც უცხოელებმა „ნოსტალგია“ უწოდეს?

ნუ გადავიხვეწებით იქ, სადაც დავკარგავთ ქართულ სულს, თვითმყოფადობას, სადაც არავის ვჭირდებით!

სადაც არც ღმერთს ვჭირდებით, რადგან მან მოგვავლინა აქ – საქართველოში!

ვინაიდან სამშობლოა ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანი სრულყოფილად ეუფლება ისეთ დიდებულ საგანს, რომელსაც „სიყვარული“ ეწოდება და რომელიც აღგვიყვანს ზეცად, ღვთის შვილთა მარადიულ სამშობლოში, ზეციურ სასუფეველში!

ლია ბაიდოშვილი

"იალქნის" მკითხველი პირველი გაეცნობა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ავტორს, უნიჭიერეს ქალბატონს ლია ბაიდოშვილს, მისი მინიატურული პროზის ჰამდენიმე ნიმუშს (ჰედაქციას მიაჩნია, მისი შესაძლებლობების მქონე შემოქმედი თამამად უნდა მონანილეობდეს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში).

ქალბატონი ლია, როგორც იტყვიან, ეთერი ამოსუნთქვით დანერილი მინიატურებში გულწრფელ ემოციასთან ერთად დიდ სათქმელს ატევს. ვიხიბლებით "ქორწილის" ფერადოვნებით; ჭიამაიების ბედნიერებით გულგამსებულებელებს ჩვენც საღლესასწაულო განწყობა გვეუფლება; მერე უეცრად სერიოზული ტონალურად იცვლება და...

ავტორთან ერთად ჩვენც გვაღელვებს "ამაოებათა ამაოებაზე ფიქრი": რომ ამ დაუნდობელ სამყაროში ზოგჯერ დაუცველი ჭიამაიებივით გვექცევა ცხოვრება.

საოცარია "წამ და უწუმ" და ავტორის სხარტი გონებით გააზრებული წამი; წამი, რომელიც ყველაფერს იტევს, თვით მარადისობასაც.

"დაე, იძახონ" - ნეფრენად გასდევს ულამაზეს მინიატურას. მართლაც, დაე, იძახონ ამაოებით მოტრაბახე წუთისოფლის "ძლიერებმა", დაიჩემონ ყველაფერი; მაგრამ მათთან ჩვენ, "უბრალო მოკვდავთ", რა გვესაქმება, როცა ასე სუფთა გვაქვს სული, ასე ახლოს ვართ ცასთან. ნუცა ის შეგვაშფოთებს, როცა სხვები დაუმსახურებლად იტაცებენ წარმატებებს. მართლაც, რა ბედენაა მედროვეთა ყიჟინა, როცა წერ, როგორც ლია ბაიდოშვილი (სადაც ამდენი ფანგბადია, ამდენი სინათლე); და, დაე, იძახონ!

და ბოლოს: ქალბატონი ლია ტონსერვატორიის პედაგოგია (ოლონისტი); გამოჩენილი ოჯახის დედა და მეუღლე.

ქორწილი

ლია ბაიდოშვილი

– მგონი, მიყვარხარ, – უთხრა ჭიამაომ ჭიამაიას და დიდი სიყვარული არ შემამჩნიოსო, მაინც თავშეკავებით გახედა შორ წერტილს.

ჭიამაიასთვის ეს ოცდამესამედ ნათქვამი ფრაზა მანამდე ციცინათელებმა ხოჭოებს შეჰკადრეს, მაგრამ საცეცებაბზეკილს მათთვის არც შეუხედავს. ის მთელი გულით მაოს ელოდა...

მომდევნო დღეებში ჭიამაიკოც გამოუტყდა სიყვარულში და ქორწილიც შესდგა.

ახალმოჭრილ სათივეში ყვითელი ბაიებით მოიჩითა ფერდობი. ფუტკრებმა – თაფლი, ხოჭოებმა – ორცხობილას ნაფხვენები მოზიდეს. ჭიამაიკო ნამის მძივით მორთეს.

გამოჩნდა მაოც, ქინქლების, ჭიანჭველების, ბუზანკლების, ნეხვისჭიების მაყრიონით.

მალე ისეთი ფუტფუტი და ფაჩუნი ატყდა, სიხარული ბუჩქს ასწვდა!!!

გაწვიმდა...

– ბავშვებოო, დაგველოდეთ, ჩემი ძმა წაიქცა!...

ბავშვები დაცემულისკენ გაიქცნენ უმალ, კენკრით სავსე კალათები ძირს დაყარეს და გარს შემოეხვივნენ.

– უჰ, სულ დაიჭყლიტა მოცხარი, ადე, ბიჭო, მუხლები დაიფერთხე! – წამოაყენეს და ახლა კალათიდან გადმოვარდნილ გასაღებს დაუწყეს ძებნა თივის ქვეშ.

– ჭიამაია, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ! – მხიარულად ხტოდნენ მექორწილეთა თავზე და ცარიელ კალათებს ერთმანეთს ურტყამდნენ.

– ჭიამაია, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ! ჭიამაია, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ... აღარ ესმოდა საჭიეთს.

წამ და უწუმ

– ეს ყურებია.
– ეთა?
– ხელი.
– ეთ?
– ფეხი.
– ეთ, ეთ?
– ცხვირი!
– ეთ?
– ნიკაპი!
– ეთა, ტიპლები?
– უყურე ამას, ლაპარაკი ცოდნია!
– ტამტამია ეთ?
– დამცინის, ეს მამაძაღლი?!
– ტამტამებს შოლის?
– ???

გაიზარდა და სხვის დაუხმარებლად მიხვდა, რომ წამწამებს შორის თვალია, წამში კი – წუთის მესამოცედი.

თვალის გახელისას, ზედ წამწამზე რომ შეიძლებოდა ჯდომოდა ვიღაც, ეგ ყოვლად გაუგებარი იყო მისთვის, კიდევ ის, წამდაუწუმ ნუ იცვლი ხასიათსო, როცა ეუბნებოდნენ, ეს „უწუმ“ რას ნიშნავდა.

წამები ღამის ციდან ჩამოცვენილი ფიფქებივით მოქროდნენ და დნებოდნენ წყვდიადში. ყველა ფიფქს ვერ იტევდა ხელისგულზე და ნანობდა ძლიერ.

თუმცა, ბევრი სიხარულისა და წამების წამი განიცადა. ყველა შემძვრელი ფაქტი ახსოვდა და მოგონებისას კვლავ ცხოვლად მძაფრობდა.

უფრო მეტად, კულისებში გატარებული დრო აწამებდა, წამი, სანამ ფეხს გადგამდა სცენაზე... მაშინ სულ ახლოს იყო ღმერთთან და მხურვალედ თხოვდა, დამეხმარე ამ შენი მუსიკის შესრულებაშიო. გული ორგანიზმის სხვადასხვა ადგილიდან უცემდა ამ დროს და რეალურად ვეღარც არკვევდა მის ნამდვილ ადგილმდებარეობას.

წამის მარადისობა...

იმ წამის, სანამ კულისებიდან ნელი ნაბიჯით შეხვალ სცენაზე. სხვაგვარად ირინდება დრო ამ გაელვებაში და სხვაგვარად რანდავს შენი სულის უხეშ დეტალებს.

კიდევ რამდენიმე დროის ერთეული და... დიდი ხმაური!

ხელის გულებს ფასკუნჯის ფრთებივით უტლაშუნებს მსმენელი ერთმანეთს – მხურვალე ტაში!

გონებიდან ვერ ამოშალა წამი, როცა მანქანის ფანჯრიდან შეხედა მოხუცს ვარდნის პროცესში.

ჯოხის ჰაერში ატყორცნის ჯოჯოხეთური წამი...

ან, თუნდაც, წამი, როცა მიწამ, ძვრის შედეგად, ცხოვრების რაობაზე აფიქრებინა უკვდავთ...

წამმზომზე 11.034 და ...მსოფლიო რეკორდი! სულ ერთი წამის დაგვიანება და... ქარმა საყვარელი კაქტუსის ქოთანი გადაუგდო რაფიდან.

წამებ(ა), რომელსაც ზოგმა გაუძლო და თან რამდენჯერ!

– მამა გარდაიცვალა...
– უჰ! და გულზე იტაცა ხელი...
– ბიჭია, ბიჭი! – და... სიხარულით იგივე ორგანო მოისინჯა.
– უნდა გაუძლო დროს! – ხშირად ესმოდა.

ყველა განცდილ წამს მაინც მიყავდა გულისკენ, რომელიც ისე სხვადასხვა ადგილიდან ახსენებდა თავს, რომ ფიქრობდა კიდეც, წამწამებს შორის თვალიაო, ზოგჯერ კი – გული.

რე(ფრენ)ი



როცა ვიღაცეები შენს სახელს ჯერ ჩუმად, მერე კრეშენდირებულად[1], მერე ხმამაღლა, მერე ძახილით, მერე მოძახილით, მერე ყვირილით, მერე ბღავილით ყვირიან... დაე, იძახონ!

როცა რჩები შენს ფიქრთქოხში სრულიად მარტო და ხვდები, რომ შენ ისე, შენივე სურვილის გაუთვალისწინებლად დაგბადეს, არც კი უკითხავთ, რა დაგარქვათო – დაე, იძახონ!

როცა საკუთარი სხეულის სარკმელ-თვალიდან იხედები გარეთ, შენობის ფანჯრის მეშვეობით და იქ ცქერა გარეთყოფნის მაგივრობას გიწევს – დაე, იძახონ!

როცა სარკმლიდან შემოსული მზე თვალს გჭრის იმის მიუხედავად, რომ შენთვის ანათებს და ხვდები, რა ბედნიერია მზესუმზირა, სულ მზეს რომ უყურებს და თვალები არა სტკივა – დაე, იძახონ!

როცა ნატრობ ტვინთპოლიფონიას და სინამდვილეში ხვდები, რა ამაოა შენი გოდება მიწიერი ვარამის თავზე – დაე, იძახონ!

როცა ხვდები, რომ სასაკლაოზე მიყვანილი ცხოველის მარტოობა მხოლოდ შენი ხვედრი არ არის, ყველას თანმდევია, თავისუფლდები და... – დაე, იძახონ!

როცა ფიქრობ, დედამიწა მრგვალი არ არის, ის ძალზედ ღრმაა – დაე, იძახონ!

როცა ოთახში ცხოვრობთ მხოლოდ ორნი – შენ და ობობა – დაე, იძახონ!

როცა შუადღის ხვატია, ტემპერატურა-მაქსიმალური და შენ არც ერთი არ გაწუხებს – დაე, იძახონ!

როცა ქალაქი შუშის ბოთლს ჰგავს, არ არის ჰაერი და დაორთქლილია, როცა წვეთები ჩამოდის ბროლის კედლებზე და ყვირიან, სივრცე გვინდაო და გაშლილი ჰორიზონტი – დაე, იძახონ!

როცა გინდა, რომ იჯდე ვარსკვლავზე, ცაში – დაე, იძახონ!

როცა გინდა, რომ ქიმიდან გადმოკიდო ფეხები და აქნიო – დაე, იძახონ!

როცა გინდა, რომ ვარსკვლავიდან ღრუბლებზე დაეცე და ირწეოდე – დაე, იძახონ!

* * *

შენ, ალბათ, მთაში ხარ...

ყადი-ოღლი, ფურტიო. ჩითის ალისფერი შეიდიში[2], ფეშტამალი[3], ჩადრი, შალის მოკლე ჩაქურა[4], დოშლუღი[5], ტოტებვიწრო ძიგვა[6], თავზე ყაბალახი, ან ფესიცა.

ბაბუ ბავშვს დაუმსხდრა. ბაღვი[7] ღრანტეში გადიჩეხა...

დაე, იძახონ!

ორსართულა კონაღები[8]. სარძევეში, ბარქაშებში[9] რამდენიმე დღე მდგარი უმი რძე, ყაიმაღი[10] რომ მოიგდოს...

დაე, იძახონ!

* * *

გცივა? არა, გცხელა, ან, უბრალოდ, ტემპერატურა არა გაქვს...

ხარ მარტო და არავინ ზრუნავს, არ იყო მარტო – დაე, იძახონ!

ვიცი, მარტო ხარ. მარტოობა გვებრძვის მე, შენ, მას, ჩვენ, თქვენ, მათ.

გვგონია, ხმაური მიგვავიწყებს ამ განცდას. მერე გვახსენდება, რომ მარტოობას ვგრძნობთ ყველაზე დიდ აურზაურში და ვყუჩდებით... – დაე, იძახონ!

ზამბახის ფერი მალე გადაგვივა... – დაე, იძახონ!

მცივა? არა, მცხელა, ან, უბრალოდ, ტემპერატურა არა მაქვს... – დაე, იძახონ!!!

დაე?

იძახონ!!!

დაე...

იძახონ....

1 – ხმის თანდათანობითი გაძლიერება. 2 – აბრეშუმი. 3 – წინსაფარი. 4 – აჭარული ტანსაცმლის ზედატანი. 5 – გულისპირი. 6 – შარვალი (აჭარული). 7 – ბავშვი. 8 – სადგომი. 9 – ღრმა თეფში. 10 – ნაღები.

პონტოს მეფე – მითრიდატე

ჩვ.წ.აღ.მდე II ს.

ეს ეპოქა ანტიკურ სამყაროში აღინიშნა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენით, რომელიც აღიბეჭდა დიოსკურიის ისტორიაშიც: რომი თანდათან ავრცელებს პოლიტიკურ გავლენას აღმოსავლეთით; მცირე აზიაში მას წინააღმდეგობას უწევს პონტოს სამეფო.

აპიანეს* ცნობით (დაახლოებით 90-170 წ.წ.), როდესაც პონტოს მეფემ – მითრიდატემ რომაელების შეტევის გამო მცირე აზიიდან დაიხია, დაიპყრო კოლხეთი და ბოლოს გამაგრდა დიოსკურიაში.

აქ მან გაატარა 66-65 წლების ზამთარი.

დიოსკურიაში ყოფნის დროს მითრიდატემ, აპიანეს ცნობით, შეადგინა რომაელების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია – ის უნდა შეჭრილიყო ევროპაში, თუმცა მითრიდატემ ამ გეგმის განხორციელება ვერ შეძლო.

დიოსკურია მხარს უჭერდა მითრიდატეს, რისთვისაც მიიღო ავტონომია, რაც გამოიხატა საკუთარი მონეტების მოჭრაში.

როგორც თვლიან მეცნიერები, არ მოიპოვება ფაქტი დიოსკურიაში პომპეუსის** ლაშქრობის შესახებ; ცნობილი არაა, დაისაჯა თუ არა დიოსკურია მითრიდატესადმი ერთგულებით. პომპეუსი რომ ყოფილიყო დიოსკურიაში, იგი ასახვას ჰპოვებდა ძველ ავტორთა თხზულებებში.

დიოსკურიაში მოჭრილი მონეტები

მითრადატეს დიოსკურიაში ყოფნის დროს ამ ქალაქში (რომელიც დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე, წყალქვეშაა მოქცეული) მთავარ ღმერთ-მფარველებად ითვლებოდნენ ზევსის ტყუპი შვილები – დიოსკურები.

დიოსკურიაში მოჭრილი მონეტა

იჭრებოდა სპილენძის მონეტები, რომელზედაც გამოსახული იყო დიოსკურების სიმბოლო. საქალაქო მონეტის ცალ მხარეს გამოსახულია ორი ქუდი – ექვს და რვაქიმიანი ვარსკვლავებით; ეს არის მითოლოგიური ტყუპი ძმების – პოლიდევკესა და კასტორას ემბლემა, ხოლო ზურგზე – კვერთხი ბერძნული წარწერით – „დიოსკურიადოს“.

ამჟამად ცნობილია დაახლოებით 4 ათეული ასეთი მონეტა ხერსონესში, ანკარაში, ბოსფორის სხვა ქალაქებში აღმოჩენილი.

საინტერესოა, რომ დიოსკურიაში მოჭრილი მონეტები იშვიათად გვხვდება კოლხიდაში. ამჟამად ის დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ერმიტაჟში.

დიოსკურიის დაცემის შემდეგ (ჩვ.წ.აღ.-მდე I ს.) მის ადგილზე აღმოცენდა ახალი რომაული ქალაქი – სებასტოპოლისი.

* – ბერძენი ისტორიკოსი.
** – რომაელთა მთავარსარდალი.

უმბერტო ეკო

უმბერტო ეკო - ცნობილი იტალიელი ენციკლოპედიური ფილოსოფოსი და მწერალი, ნობელის პრემიის laureate. გვარი - Eco სინამდვილეში აბრევიატურაა სიტყვებისა - Ex Coelis Oblatus; და ითარგმნება იგი, როგორც "ციური ძღვენი". ეს გვარი თუმცა მწერლის პაპას მიანიჭა ქალაქის ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

უმბერტო ეკო შეა საუკუნეების ლიტერატურისა და ფილოსოფიის სპეციალისტია. განსაკუთრებით ცნობილია მისი რომანები: "ფუკოს ქანქარა" და "ვარდის სახელი".

მხცოვანი მწერალი (1932-2016 წ.წ.) ძალზე ღირებულ რჩევას აძლევს შვილიშვილს. მისი წერილი - "კომპიუტერი - მეხსიერების გასამდიდრებლად", ვფიქრობთ, არამხოლოდ ყმაწვილური ასაკის ადრესატს გამოადგება და დაინტერესებს.

კომპიუტერი - მეხსიერების გასამდიდრებლად

უმბერტო ეკო

თარგმნა ნანა ჭანტურიამ

ჩემო საყვარელო, არ მინდა, ეს წერილი შენთვის ზედმეტად ჭკუის სასწავლებლად გაჟღერდეს; არც ახლობლების, სამშობლოსა და კაცობრიობისადმი სიყვარული გიქადაგო. შენ ეს არც დაგაინტერესებს და ამ ყველაფერს ალბათ ყურადაც არ იღებ (შენ ხომ უკვე მოზრდილი ხარ, მე კი საკმაოდ ასაკოვანი): ღირებულებათა სისტემა იმდენად შეცვლილია, რომ ჩემი მითითებები შენთვის, შესაძლოა, უადგილოც აღმოჩნდეს. ასე რომ, მსურს, გირჩიო ის, რასაც პრაქტიკულად გამოიყენებ სწორედ ახლა, როცა პლანშეტით სარგებლობ. იმის შიშით, არ მოგეჩვენო უგნურ ბერიკაცად, არასოდეს გირჩევ, თავი არ შეიქციო ამით. მეც ხომ მშვენივრად ვსარგებლობ ამ სიკეთით!

დავიწყებ ერთ-ერთი რჩევით: არ გაამახვილო ყურადღება ასობით პორნოგრაფიულ საიტზე, სექსუალურ ურთიერთობებს საჯაროდ რომ გამოხატავს. ეს ფრაგმენტები იმიტომაა მოწოდებული და ჩაფიქრებული, რომ ახალგაზრდა მიგაჯაჭვოს ოთახს, განგარიდოს იმ რეალურ სივრცეს, სადაც შეგიძლია, გაიცნო მშვენიერი გოგონა. ხო, გირჩევ, შეამჩნიო რომელიმე ქალიშვილი შენს სკოლაში, ან გასართობ მოედანზე. დამიჯერე, ნებისმიერი მათგანი სატელევიზიო პერსონაჟზე უკეთესია და შესაძლოა, განგაცდევინოს გაცილებით დიდი სიხარული, ვიდრე online-ის გოგონამ.

დამიჯერე, თუნდაც, ჩემი დიდი გამოცდილების გამო (მე რომ მხოლოდ კომპიუტერული თამაშებისთვის მეცქირა, არასოდეს დაიბადებოდა არც მამაშენი და არც შენ მოევლინებოდი ქვეყნიერებას!). მაგრამ მე უფრო სხვა რამეზე მსურს შენთან საუბარი; დაავადებაზე, რომელმაც დააჩლუნგა შენი და შენი წინა თაობა – უნივერსიტეტის დღევანდელი სტუდენტები. ვგულისხმობ მეხსიერების დაქვეითებას.

მართალი ხარ: თუ შენ მოინდომებ, გაიგო, ვინაა კარლოს დიდი* და სად მდებარეობს კუალა-ლუმპური**, ამ ყველაფერს თითების მარტივი მოძრაობითა და ინტერნეტით უმალვე შეიტყობ. რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე უნდა მოიქცე, როცა ამის აუცილებლობაა. მაგრამ, მიიღებ თუ არა რაიმე მსგავს ინფორმაციას, ეცადე, დაიმახსოვრო მისი შინაარსიც (რომ სხვა დროს, როცა ამ ფაქტის მოხმობა დაგჭირდება, ხელახლა არ მოიძიო). იცი, რა გაბრკოლებს შენ ყველაზე მეტად? იმის შეგრძნება, რომ კომპიუტერი, რომელიც ნებისმიერ კითხვაზე წამიერად გპასუხობს, გიხშობს სურვილს, დაიმახსოვრო ინფორმაცია. ესაა ცუდი. მოგიყვან ასეთ მაგალითს:

თუ იცი, რომ ერთი უბნიდან მეორემდე შეიძლება, ჩააღწიო ან ავტობუსით, ან მეტროთი, რაც დროის სიმწირის გამო, მით უფრო, ძალზე მისაღებია, ფეხით სიარულის აუცილებლობის წინაშე უკვე არ აღმოჩნდები. მაგრამ შენ თუ საერთოდ უარს იტყვი სიარულზე, დაემსგავსები ინვალიდის ეტლში მჯდომარე უნარშეზღუდულ ადამიანს (თუმცა ვიცი, შენ სპორტი გიტაცებს და საკუთარ სხეულსაც შესანიშნავად ფლობ); მაგრამ ახლა დავუბრუნდეთ ისევ შენს გონებას.

მეხსიერება ფეხების კუნთების მსგავსია: თუ შენ შეწყვეტ მის ვარჯიშს, ის მოდუნდება, შენ კი იქცევი

* – იმპერატორ კარლოს I დიდს (VIII ს.) ფრანგებიც და გერმანელებიც მათი ქვეყნების დამაარსებლად მიიჩნევენ. ** – მალაიზიის ფედერალური დედაქალაქი (სამხრეთ აზია).



იდიოტად. ამასთან, სიბერეში ალცჰაიმერის დაავადებისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალებაა ჩვენი გონების მუდმივი ვარჯიში.

ჩემს რეცეპტსაც გთავაზობ: ყოველ დილით დაიზეპირე პატარა ლექსი, როგორც ამას ჩვენს ბავშვობაში გვაიძულებდნენ. საუკეთესო მეხსიერებაში შეიძლება, მეგობრებსაც გაეჯიბრო. თუ შენ პოეზია ნაკლებად გხიბლავს, მაშინ დაიმახსოვრე ფეხბურთის გუნდების წევრთა სახელები. შენ უნდა იცნობდე არა მარტო რომის კლუბის, არამედ სხვა გუნდის ფეხბურთელებსაც. წარმოიდგინე, მე მახსოვს ის ტურინელი ფეხბურთელებიც, რომელთა თვითმფრინავი დაიმსხვრა სუპერგას ბორცვთან* (ბაგიგაპულო, ბალარინი, მაროშო და ა.შ.).

ახსოვთ შენს მეგობრებს სამი მუშკეტერისა და დარტანიანის მოსამსახურეთა სახელები (გრიმო, ბაზენი, მუშკეტონი და პლანტე)? მაგრამ თუ შენ არ გინდა, წაიკითხო „სამი მუშკეტერი“ (თუმცა არ იცი, ამით რამდენს დაკარგავ), მაშინ იგივე თამაშით გაერთეთ იმ წიგნთან ერთად, რომელიც წაკითხული გაქვთ. ხო, ეს ყველაფერი მართლა თამაშია, მაგრამ, იცი, ამას რა მოჰყვება? შენი გონება აივსება პერსონაჟებით, ისტორიებითა და სხვადასხვა მოგონებით.

გაინტერესებს, კომპიუტერს რატომ დაერქვა „ელექტრონული ტვინი“? იმიტომ, რომ ის გააზრებული იყო შენი (ჩვენი) ტვინის მოდელად; კიდევ უფრო გაგაკვირვებ: ადამიანის ტვინი უფრო მეტადაა დაქსაქსული, ვიდრე კომპიუტერი. ტვინი – ეს ისეთი კომპიუტერია, რომელიც მუდამ შენთანაა, რომლის შესაძლებლობები ვარჯიშით ძლიერდება. მაშინ, როცა ნოუთბუქი ხანგრძლივი გამოყენებით თანდათან კარგავს სიჩქარეს, წლების შემდეგ კი ის ახლით უნდა შეცვალო. და ყველაზე მთავარი: შენი ტვინი 90-წლამდეც მოგემსახურება; ამასთან, ის უფასოა!

არსებობს ისტორიული მეხსიერებაც, რომელიც არაა დაკავშირებული შენი ცხოვრების ფაქტებთან, ან იმასთან, რაც წაგიკითხავს. ის ინახავს ამბავს, რომელიც შენს დაბადებამდე მოხდა.

ჩვენ მოვდივართ ამქვეყნად მაშინ, როცა ასეულ-ათასობით წლების წინ უკვე მოხდა ბევრი რამ... ეს იმიტომაც უნდა შევიმეცნოთ, რომ გავიაზროთ, რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა დღეს. სხვადასხვა გამოკითხვა ადასტურებს, რომ დღევანდელმა ახალგაზრდებმა, მაგალითად, 1990 წელს დაბადებულებმა, არ იციან და არც სურთ, იცოდნენ, რა მოხდა თუნდაც 1980 წელს (არაფერი რომ არ ვთქვათ იმის შესახებ, რა ხდებოდა 50 წლის წინათ).

მე დავიბადე 1932 წელს, როცა სათავეში მოვიდნენ ფაშისტები; მაგრამ მე ვიცოდი, ვინ იყო იმ დროს რომის პრემიერ-მინისტრი; ახლანდელ ყმაწვილებს წარმოდგენაც არ გაქვთ 20 წლის წინანდელ კინომსახიობებზე; მაშინ, როცა მე ბევრი რამ ვიცოდი ფრანჩესკა ბარტინის შესახებ; მსახიობზე, რომელიც ჩემს დაბადებამდე 20 წლით ადრე გადაღებულ მუნჯურ ფილმში თამაშობდა. ასეთი რამ შეიძლება იმიტომაც ხდებოდა, რომ მე ჩვენი ბნელი სარდაფის კუთხეში მიგდებულ ჟურნალებსაც ვფურცლავდი. გაითვალისწინე, რომ შენი მეხსიერება შეგიძლია, ავარჯიშო არა მარტო წიგნებითა და ჟურნალებით, კომპიუტერითაც. მას მხოლოდ მეგობრებთან სალაყბოდ კი არ უნდა იყენებდე. უნდა იცნობდე და შეიმეცნო მსოფლიო ისტორია. შეიტყო, ვინ არიან ხეთები** და კამიზარები?*** ჰყავდა თუ არა მესაჭე ნოეს კიდობანს? როდის და როგორ შეიქმნა მალის იმპერია? ვინ იყო ისტორიაში რომის მეორე პაპი? როდის დაიბადა მიკი-მაუსი?

დაუსრულებლად შემიძლია, დაგისვა კითხვები და მერე ის იქცეს კვლევის მიმზიდველ თემად. რაც გირჩიე, გახსოვდეს; და შემდეგ, როცა წლებთან ერთად ასაკიც მოგემატება, თანდათან იგრძნობ, რომ თურმე ათასი სიცოცხლით გიცხოვრია, თითქოს შენც მიგიღია მონაწილეობა ვატერლოოს ბრძოლაში, დასწრებიხარ იულიუს კეისრის მკვლელობას, გიცხოვრია იმ წლებში, როცა ბერტოლდ შვარცმა, ოქროს მიღების ჟინით შეპყრობილმა, ჯამში სხვადასხვა ნივთიერებას მოურია და შემთხვევით აღმოაჩინა დენთი, თავად კი ჰაერში ავარდა (მასეც მოუხდება!).

ამ დროს კი ის შენი მეგობრები, რომლებიც არ იზრუნებენ საკუთარი მეხსიერების გასამდიდრებლად, იცხოვრებენ ერთი სიცოცხლით, მონოტონურითა და ერთფეროვანით; სიცოცხლით, რომელიც დაცლილი იქნება უზარმაზარი ემოციებისგან.

შენი მოსიყვარულე ბაბუა – უმბერტო.

*** – ეს იყო 1949 წელს, პირველი ავიაკატასტროფა ფეხბურთის ისტორიაში.**
**** – ბრინჯაოს ეპოქის (ძვ.წ.აღ.-ით XIV ს.) ინდოევროპელები; მცირე აზიაში შექმნეს ხეთების იმპერია.**
***** – ფრანგი მთიელი პროტესტანტები, რომლებმაც VIII ს.-ში გაილაშქრეს საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ.**

პაატა ქურდოვანიძე

ამ წერილის ავტორს - პაატა ქურდოვანიძეს ჯერ-ჯერობით ეროვნული ენციკლოპედიის მკითხველი. და ისიც მხოლოდ... ბატონი პაატას სახელი ღირებული ნიგნიერი, განათლებული საქართველოსთვის ცნობილი და მოვალეობამოქმედია. პაატა ქურდოვანიძე აფხაზეთში, სოფელ ჯელასურში დაბადებული. ამიტომ საქართველოს ამ კუთხისადმი გამოჩენილი სიყვარული გასდევს მთელ მის საქმიანობას, მოღვაწეობას; და, განსაკუთრებით, მის შესანიშნავ ნაშრომს "ქართულ-აფხაზური ალბომი", რომელიც, უკვე წლებია, ხელოვნებათმცოდნეთა, მწერალთა თუ მეცნიერთა სამაგიერო წიგნია. ბატონი პაატა ექიმია, ჯერ-ჯერობით ბევრი მისი თანამდებობისა თუ ოგანიის ჩამოთვლა შეიძლება. მაგრამ ყველაფერზე მნიშვნელოვანია, რომ ბატონ პაატას ახალგაზრდების განათლება უმთავრეს პრიორიტეტად მიაჩნდა ყოველთვის.

"იალქნის" ამ ნომერში პაატა ქურდოვანიძე დასურეებს თავის პუბლიკაციას ლეგენდადქცეულ ჩვენს თანამემამულეზე - მერი შარვაშიძეზე.

ავტორის ოცნება - საქართველოს ღირსეული მომავალია, საფიქრალი ჯერ - დაუვინყარი წარსული...

ლეგენდა - მერი შარვაშიძე-ჩაჩბა*

პაატა ქურდოვანიძე

ჩვენ კვლავ უნდა მივუბრუნდეთ XX ს.-ის 20-იანი წლების თბილისსა და ახალგაზრდაწერილ ბედნიერ წყვილს – მერი შარვაშიძესა და გიორგი ერისთავს. იმ დროს თბილისში მრავლად იყვნენ ბოლშევიკურ ვანდალიზმს გამორიდებული რუსი არისტოკრატები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. საკმარისია, გავიხსენოთ სერგეი რახმანინოვი, ლეგენდარული ანა პავლოვას პარტნიორი, ბალერინი მიხეილ მორდკინი, მხატვრები სერგეი სუდეიკინი, საველი სორინი, მარინის თეატრის სახელგანთქმული მსახიობები, მერი შარვაშიძის პეტერბურგელი არაერთი ნაცნობი და მეგობარი. თბილისში ჩქეფდა კულტურული ცხოვრება, იდგმებოდა შესანიშნავი სპექტაკლები, იმართებოდა ბენეფისები, მხატვრების გამოფენები, პოეზიის საღამოები... რესტორნები გადავსებული იყო რჩეული საზოგადოებით. თითოეული სუფრა პოეზიისა და სილამაზის აპოთეოზი იყო. მართალია, კონკრეტულად არავის აღუწერია მერი შარვაშიძის იმდროინდელი ცხოვრება, მაგრამ ამ საინტერესო და დრამატული ეპოქის ამსახველი არაერთი მოგონებაა შემორჩენილი.

ამჯერად ერთ მათგანზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. **რამდენიმე წლის წინათ ქალბატონი ნინო ხოფერიას რედაქციით გამოქვეყნდა ბაბო დადიანის მოგონებები, რომელიც გასაბჭოებული საქართველოს ტრაგედიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური წყაროა.**

ქალბატონი ბაბო მთელი ცხოვრება მალულად წერდა ამ დღიურს, წერდა შთამომავლებისათვის, არაგამოსაქვეყნებლად. იხსენებდა გარდასულ დროს, იგონებდა იმ ადამიანებს, რომელთა სახელის გაგონებაც აცოფებდათ ბოლშევიკებს; აცოცხლებდა გმირებს, რომელთა ახალგაზრდობა ზვარაკად შეეწირა სამშობლოს თავისუფლებას. წერდა, მაგრამ, არა მგონია, იმედი ჰქონოდა, რომ ამ ჩანაწერებს ოდესმე იხილავდა საზოგადოება. თავს ნებას ვერ მივცემ, თუნდაც, ამონარიდი გაგაცნოთ. ეს წიგნი ერთი სულის ამოთქმით უნდა წაიკითხო, ჩემო მკითხველო, რომ კიდევ ერთხელ გაითავისო, თუ როგორი შემზარავი სახადით – რუსული ბოლშევიზმით დაავადდა ჩვენი ბედკრული ქვეყანა...

თბილისი. XX ს.-ის დასაწყისი

1921 წლის თებერვალში მერი შარვაშიძე იძულებული გახდა, სამუდამოდ დამშვიდობებოდა სამშობლოს. რუსი ბოლშევიკების საქართველოში შემოჭრის წინა დღეებში ოჯახთან და ახლობლებთან ერთად მან მიაშურა კონსტანტინოპოლს, სადაც ხელისუფლებისაგან მოლაპარაკებებზე მივლინებული მეუღლე ეგულებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილი საფრანგეთში დამკვიდრდა. გიორგი ერისთავიც და მერი შარვაშიძეც კონსტანტინოპოლიდან პარიზში გადავიდნენ საცხოვრებლად. ურთულესი იყო ემიგრაციის პირველი წლები... ყოველი დღე, ფაქტობრივად, არსებობისთვის ბრძოლა იყო,

* – გაგრძელება. დასაწყისი – „იალქანი“ №41

მაგრამ სამშობლოში დაბრუნების იმედი მათ არასოდეს განელებიათ...

ბოლშევიკების რეპრესიებისაგან თავდახსნილი ელიტარული რუსული ემიგრაციაც, ძირითადად, პარიზს შეეკედლა. მერი შარვაშიძე, გარკვეულწილად, ამ წრის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. მის ღვთაებრივ მშვენიერებას თაყვანისმცემლები ძველებურად არ აკლდა. მაღალი წრის თავყრილობებზე რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინას დასწრებას პრესა ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით აღნიშნავდა.

მერი შარვაშიძე

ამ რამდენიმე წლის წინათ მოდის ისტორიკოსმა – ალექსანდრე ვასილიევმა შესანიშნავი წიგნები გამოსცა XX ს.-ის სამოსის ისტორიაზე. გამორჩეულად რუსი მოდელიორებისა და მანეკენების ღვაწლი აღწერა. მერი შარვაშიძე-ერისთავის სახელი თითქმის ყველა ნარკვევში ფიგურირებს. საინტერესოდაა მოთხრობილი ლეგენდარული კოკო შანელისა და მერის თანამშრომლობა. ქალბატონი მერი სულაც არ იყო ადვილად საურთიერთო პიროვნება და არც გაბრიელ (კოკო) შანელი გამოირჩეოდა ხასიათის სირბილით.

როგორც გადმოგვცემენ, კოკო შანელს მერი შარვაშიძე დიდმა მთავარმა, დიმიტრი რომანოვმა წარუდგინა. თანდაყოლილი თუ სამაგალითო აღზრდით შეძენილი შინაგანი სიმშვიდით, ქართულად რომ ვთქვათ, არისტოკრატიული თავაზით აღსავსე მერიმ, შანელი პირველივე შეხვედრისთანავე მოხიბლა. თითქმის ათი წელი იმსახურა მერი შარვაშიძემ „შანელ მოდე“-ს ფირმაში. პოდიუმსა თუ პარიზის ელიტარულ თავყრილობებზე საზოგადოების აღფრთოვანებას იწვევდა მისი ყოველი გამოჩენა.

ამავე წლებში შანელთან მსახურობდა მეორე ქართველი არისტოკრატი ქალიც, მერის მეგობარი მელიტა ჩოლოყაშვილი. საერთოდ ცნობილია, რომ არაერთი ულამაზესი რუსი არისტოკრატი ქალბატონი იყო კოკოს მოდელი, მაგრამ ალექსანდრე ვასილიევი მერი შარვაშიძის სახელს გამორჩევით აღნიშნავს. როგორც იგონებენ, **პარიზის ელიტარულ წრეში პოპულარული ყოფილა მხატვარ საველი სორინის მიერ ერთ-ერთი მოდელისთვის მიცემული შენიშვნა: „ნუ ცდილობთ, დაემგვანოთ მერი შარვაშიძეს. ის ერთადერთია და განუმეორებელი!“**

კოკო შანელთან მეგობრობდა და თანამშრომლობდა ეპოქის არაერთი რჩეული პიროვნება: ჟან კოკტო, პაბლო პიკასო, იგორ სტრავინსკი, სერგეი დიაგილევი, ლევ ბაკსტი, სალვადორ დალი, ემიგრაციაში გადახვეწილი რუსული კულტურის კორიფეები... ვინ აღარ! დიდია ეს ჩამონათვალი! „ის არის ყველაზე ჭკვიანი, სასიამოვნო და ძლიერი ქალი, რომელსაც ოდესმე შევხვედრივარ“, – ასე ახასიათებდა მაღალი მოდის კანონმდებელს უინსტონ ჩერჩილი.

შანელი ერთგან აღნიშნავს: „თუ აღმოჩნდით მწუხარების ფსკერზე, თუ აღარაფერი შეგრჩათ და თქვენ ირგვლივ სულიერის ჭაჭანებაც აღარ იქნა, არ დაგავიწყდეთ, ყოველთვის არსებობს კარი, რომელზეც შეგიძლიათ, დააკაკუნოთ... ეს თქვენი სამუშაოა.“

პარიზი. XX ს.-ის დასაწყისი

მაღალი წრის ქალბატონებისთვის, არისტოკრატიული აღზრდის საზრისიდან გამომდინარე, მიუღებელი იყო პოდიუმზე გასვლა. მაგრამ, მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლუკმა-პურისთვის ბრძოლის გზაზე ამ ურყევი ნების, ღირსების გრძნობით აღსავსე ქალებმა თავიანთი შრომით, უპირველესად, ოჯახები იხსნეს შიმშილისაგან და საზოგადოებრივი აზრიც ისე გარდაქმნეს, რომ მოდელის პროფესია უმოკლეს დროში პრესტიჟული გახდა.

დღესაც აღფრთოვანებას იწვევს 20-30-იან წლებში გადაღებული მერი შარვაშიძის ფოტოები. უმშვენიერესი ქალბატონი სესილ ბიტონის, მან რეის (ემანუელ როდნიცკის), ვლადიმირ გოინინგენ-გიუნეს – არაერთი საქვეყნოდ ცნობილი ფოტოხელოვანის მუზა გახდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მერი არასოდეს იხსენებდა თავისი ცხოვრების ამ პერიოდს; მას თავი არასოდეს მოუწონებია შანელთან ახლო ურთიერთობით...

მერი შარვაშიძე –
კოკო შანელის მოდელი

პატივი და თაყვანისცემა არ დაჰკლებია ქალბატონ მერის, მაგრამ წუთისოფლის გაუტანლობამ არაერთხელ აგემა სიმწარე. უმცროსი დები ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები გარდაეცვალნენ. დისშვილებზე მზრუნველობა თვითონ იკისრა და შვილებივით აღზარდა კოტე და ნინა ზარნეკაუები. 1947 წელს დაეღუპა მეუღლეც – გიორგი ერისთავი.

ღვთით მომადლებული დიდი ზნეობრივი სიმაღლითა და ჭეშმარიტი რწმენის მადლით, ქალბატონმა მერიმ, სწორედაც რომ, სულგრძელად დაითმინა გასაჭირი. როგორც თანამედროვენი იგონებენ, უძლიერესი მღელვარების წუთებშიც ის მუდამ ინარჩუნებდა გარეგნულ სიმშვიდეს.

მერი შარვაშიძის ბიოგრაფიის რამდენიმე ფრაგმენტი ძალზე ცოცხლად, ხელშესახებადაა აღწერილი ბატონ სერგო კოხრეიძის იმ პატარა ესეში, რომელიც 1992 წლის 6 მარტს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა:

„ქალბატონი მერი მნახველს ხიბლავდა არამარტო არაჩვეულებრივი სილამაზით, თავმდაბლობითაც. იგი არც ისე ხშირი სტუმარი იყო პარიზის ქართულ სათვისტომოში. კრებებს თითქმის არასოდეს ესწრებოდა... მხოლოდ ერთხელ დაითანხმეს ახლობლებმა კრებაზე მოსასვლელად, როცა ომის შემდეგ სათვისტომოს თავმჯდომარე – ვახტანგ ღამბაშიძე გარდაიცვალა და მისი შემცვლელის არჩევისათვის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის, როცა თითოეულ ხმას ფასი დაედო; და აი, მაშინ – ქალბატონი მერიც ვიხილეთ კრებაზე, სადაც მემარჯვენეთა კანდიდატისათვის (ლევან ზურაბიშვილისთვის) ხმა უნდა მიეცა.

ქართული საღამოების კი ხშირი სტუმარი იყო. ეკლესიაშიც გამოჩნდებოდა ხანგამოშვებით – წირვაზე თუ პანაშვიდზე და შეუძლებელი იყო, მისი დასწრება მრევლს შეუმჩნეველი დარჩენოდა. ყოველთვის დაგვიანებით მოდიოდა. ეკლესიის კარებში ტანაშოლტილი ლამაზი ქალის შემოსვლა, რომელიც სხვებზე ერთი თავით მაღალი იყო, მაშინვე ყურადღებას იქცევდა. ყველას ღიმილი ეფინებოდა სახეზე; მერი შარვაშიძე თავისი დასწრებით წირვას შთაგონებას მატებდა.

განსაკუთრებული იყო იგი ქართულ საღამოებზე, ქართველი თუ უცხოელი კნეინებით გარშემორტყმული, მაგიდასთან ამაყად მჯდარი; ჯადოსნური ღიმილით ირგვლივ სათნოებას აფრქვევდა.

ქალბატონი მერის ერთ-ერთი ღირსება თავმდაბლობა იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან ადვილად დაახლოება და შინაურული საუბარი ყველას შეეძლო. ცხადია, მას მთელი სათვისტომო იცნობდა, მაგრამ თვითონ ძალიან ვიწრო წრესთან ურთიერთობდა“.

„მელიტა ჩოლოყაშვილი“.
საველი სორინის ნახატი

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართული ნაციონალური ბალეტის პირველი დასის სოლისტი ქალბატონი მარინა მხეიძე ყოველთვის მღელვარებით იხსენებდა ევროპაში პირველ გასტროლებს: ეს იყო დიდი წარმატება. დაუვიწყარია ის ანშლაგი, ჩვენს კონცერტებს რომ მოჰყვა, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დეიდა მერის გაცნობა, მასთან დაახლოება...

XX ს.-ის 50-იანი წლების მიწურულის სუსხიანი დეკემბრის პარიზი... თეატრი „ალგამბრა“... გასტროლების პირველი დღე... განუწყვეტელი ოვაცია... ყვავილები... დარბაზი სავსეა ქართველებით. არ მახსოვს, რამდენჯერ აიწია ფარდა. კონცერტის შემდეგ კულისებში მიხმეს. გუმანით მივხვდი, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო. მაშინ ის 70 წლის იყო, მაგრამ ასაკი არ ეტყობოდა. სილამაზე და მომხიბვლელობა შენარჩუნებული ჰქონდა.

წარმადგინეს თუ არა, ათრთოლებულმა დეიდა მერიმ გულში

ჩამიკრა. ლაბადის შიგნით ეჭირა რაღაც გახვეულიც, რომელიც გადმომცა; ეს იყო სამახსოვრო საჩუქარი. არადა, საშინელი დრო იყო, მსგავსი რამ ხელისუფლებისაგან სასტიკად იკრძალებოდა. ჩვენს ნებისმიერ ქმედებას კონტროლს უწევდნენ...

გამგზავრების წინ მამამ კი მთხოვა, იქნებ, დეიდაშენს მოჰკრა თვალიო, მაგრამ როგორ შევძლებდი მის ნახვას, ვერ წარმომედგინა. გადავეცი, მამა როგორ ღელავდა და ფიქრობდა მასზე.

ერთ-ერთი კონცერტი შობის ღამეს დაემთხვა. წინასწარ ვიცოდი, დეიდა მერი იმ დღეს სტუმრებთან ერთად რომ უნდა მოსულიყო. ფარდა აიწია, გაისმა მუსიკა და დავიწყეთ გასვლა. მე გოგონებს მივუძღოდი. თვალი გავაპარე პარტერის პირველი რიგისკენ, სადაც დეიდაჩემი მეგულებოდა. მისმა მეგობარმა თამარ ერისთავმა ჟესტით მიმითითა გვერდით, ცარიელი სკამისკენ. როგორც ყოველთვის, მერი შარვაშიძე იგვიანებდა. უკვე ცეკვის დაწყებისთანავე შევამჩნიე, მთელი დასი როგორი გაოგნებით შესცქეროდა ერთ კუთხეს. უნებურად, მეც იქითკენ გავაპარე თვალი და დეიდა მერი შევნიშნე. დაგვიანებით მოსული პირველსავე ცარიელ სკამზე ჩამომჯდარიყო. განუმეორებელი იყო იმ საღამოს მერი შარვაშიძე, აღსავსე დედოფლური დიდებულებით, აფორიაქებული მოგონებებითა და სცენისაკენ მიპყრობილი ცრემლიანი მზერით...

მარცხნიდან: ელენე შარვაშიძე, მერი შარვაშიძე, გიორგი ერისთავი. სტამბოლი. 1921 წ.

იმ გასტროლს უამრავი ქართველი თუ რუსი ემიგრანტი დაესწრო. მათგან არაერთი აღმოჩნდა ჩემი მშობლების ნაცნობი თუ მეგობარი. ზოგიერთი გამომესაუბრა. როგორც ისინი აღნიშნავდნენ, მერიმ იწვნია მეუღლის, დედის, დების გარდაცვალება, მაგრამ ასეთი აღელვებული ის არასოდეს ყოფილაო...

მეორედ, ორი წლის შემდეგ, ბრიუსელში გასტროლების დროს შევხვდი. ის პარიზიდან საგანგებოდ ჩამოვიდა.

უცნაურია, რატომ ამბობენ, რომ მერი შარვაშიძე ცივი ქალი იყოო; არადა, როგორი სიყვარულით მიმიღო, რა თბილ წერილებს გვწერდა. ერთხელაც, ჩემი დის ოჯახთან ერთად ვესტუმრე და ამჯერადაც ჩვეული სითბო, მღელვარება, გულისხმიერება, სიყვარული არ მოგვკლებია მისგან.

1964 წელს მერი შარვაშიძეს ბაბო დადიანიც შეხვდა. მერი მისი გვირგვინის მტვირთველი იყო. ქალბატონი ბაბო მაშინ პირველად ჩავიდა პარიზში, რათა 40 წლის უნახავი და-ძმა და დედინაცვალი – მერი წერეთელი მოენახულებინა. მერიც დადიანების ამ ოჯახთან ახლო, ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებოდა. **გამოთხოვებისას სიყრმის მეგობრისთვის უთქვამს:**

– მე სამშობლოში, ალბათ, ვერ დავბრუნდები. შემისრულე ერთი თხოვნა, ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ თბილისის ქუჩებში, თუნდაც, ერთი ქართველი გოგონა ივლის ჩემი საყურით. თუ ვის გადასცემ ამ სამკაულს, ეს შენთვის მომინდია, ჩემო ბაბო!

ბაბო დადიანმა ის ნიშნეული სამშვენისი ნანა ბაგრატიონს გადასცა.

ქალბატონი ბაბოს ქალიშვილი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, თათული ღვინიაშვილი იგონებს:

– დედა გვიამბობდა, ცხოვრებაში არ დამავიწყდება პარიზიდან წამოსვლის დღეო. სადგურში მერის ველოდებოდი. ძალიან მინდოდა, მოსულიყო, მაგრამ დიდხანს არ გამოჩნდა. მახსოვს, 30 აპრილი იყო; ვიგონებ სადგურ „პერონსაც“, სავსეს ჩემი გამცილებლებით...

ბოლო წუთს გამოჩნდა. არაჩვეულებრივი ლილისფერი კოსტიუმი ეცვა, შიგნით კი ოდნავ ღია ფერის ბლუზა. ხელში იების თაიგული ეჭირა. მთელი სადგური მას მიაჩერდა. მატარებელი დაიძრა... მერიმ მოასწრო იების ვაგონში შემოგდება.

მას შემდეგ დედა ორჯერ ჩავიდა პარიზში, მეც ვახლდი. ბოლოს რომ ვინახულე, 90 წელს მიღწეული, მოხუცთა სახლში ცხოვრობდა. მაგიდაზე უზარმაზარი თაიგული ედო, ჩემმა თაყვანისმცემელმა გამომიგზავნაო, მითხრა. გაოცებული შევყურებდი სიცოცხლით სავსე მის თვალებს.

მარიკა ლორთქიფანიძე და ბაბო დადიანი

მერი შარვაშიძემ 1980 წელს, მას შემდეგ, რაც შვილივით აღზრდილი დისშვილი დაეღუპა, პარიზის ბინა დატოვა და ქალაქგარეთ, მისგან 15-ოდე კილომეტრით დაშორებულ, ქალაქ განის მხცოვანი რუსი არისტოკრატების თავშესაფარში გადაწყვიტა ცხოვრება.

როგორც ფრანგი სლავისტი რენე გერრა აღნიშნავს, ეს იყო განსაკუთრებული სახლები, სადაც, ძირითადად, უშვილო, ღრმად მოხუცებული, რუსული ემიგრაციის უკანასკნელი მოჰიკანები სახლობდნენ. მთელ ევროპაში გაბნეულ ამ სახლებში ჩქეფდა კულტურული ცხოვრება, იმართებოდა მხატვართა ვერნისაჟები, პოეტური საღამოები, კონცერტები. ამ თავშესაფრებში დაიწერა ისტორიისთვის ღირებული არაერთი მოგონება. **განის თავშესაფარში ცხოვრობდნენ ცნობილი პოეტები ირინა ოდოევცევა და იური ტერეპიანო.** ისინი ხშირად მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს, რომელსაც ესწრებოდა რუსული ემიგრაციის ელიტა: **მხატვარი და მწერალი ე. რუბისოვა, მხატვრები ი. ანენკოვი, ს. შარშუნი, მ. ანდრეენკო, დ. ბუშენი, ნ. ისაევი, კრიტიკოსი ც. ერნსტი, პოეტი ველიჩიკოვსკი, მწერლები ნ. როვსკაია, ვ. ვარშავსკი, ი. გორბოვი...**

მერი შარვაშიძე, როგორც ნიკოლოზ II-ის დედის, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელობის ევროპელ ქალთა საზოგადოების საპატიო წევრი და როგორც საიმპერატორო კარის რჩეული უხუცესი ფრეილინა, ამ საღამოების მშვენება ბრძანდებოდა.

ქალბატონ მერის ხშირად სტუმრობდნენ პარიზში ჩასული ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც. ჩვენს პრესაში არაერთხელ დაიწერა ამ შეხვედრების შესახებ.

მერი შარვაშიძე

აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე მერი შარვაშიძესთან შეხვედრის ეპიზოდს ასე იხსენებს:

– ქალბატონმა მერიმ თბილად მიმიღო. ის და ბებიაჩემი ანეტა მიქელაძე ახალგაზრდობაში მეგობრობდნენ. დიდხანს ვისაუბრეთ, გამოთხოვებისას მოულოდნელად მკითხა, რომელი ქვეყნის მოქალაქე ხართ? საბჭოთა კავშირის-მეთქი. გამიღიმა და ნიშნისმოგებით აღნიშნა: მე კი საქართველოსი!

მას, ისევე როგორც ქართველი ემიგრანტების უმრავლესობას, ფრანგული პასპორტი არ აუღია.

რეზო თაბუკაშვილის მიერ 1980-იან წლებში გადაღებულ და ქართული ემიგრაციისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ფილმში 90 წელს გადაცილებული მერი შარვაშიძის მშვენიერებამ კვლავ მონუსხა ჩვენი საზოგადოება.

1986 წლის 21 იანვარს პარიზში, 96 წლის გადაცილებული აღესრულა სამშობლოს ნახვას დანატრებული ქალბატონი მერი. ის სენ ჟენევიევ-დე-ბუას რუსულ ნეკროპოლში, მეუღლესთან ერთად განისვენებს. იმავე თვეს საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეოთხემ მისი სულის საოხად პარაკლისი აღასრულა სიონის ტაძარში.

მერი შარვაშიძე - ეთნიკურად აფხაზი, ქართულ ტრადიციაზე აღზრდილი, ქართველი რაინდის მეუღლე, გენიალური ქართველი პოეტის მუზა, რუსეთის საიმპერატორო ჯარის მშვენება, თვით ევროპის ელიტარულ-ტრადიციული საზოგადოების მიერ პატივდებული მანდილოსანი, მართლაც რომ, ლეგენდარული ქალბატონია.

გურამ პეტრიაშვილი

* * *

კარგია, ალბათ:
იყო ჟირაფი
და თავი გქონდეს
ცაში აწვდილი,
ახლოს, სულ ახლოს
ხედავდე ლაჟვარდს
და ფერადი ღრუბლის ფთილა
ყელზე გეხვიოს...
ო, ძალიანაც ნუ შეგშურდებათ!
როცა იქ, ზევით,
მის თვალებში ირეკლება
სილურჯე ზეცის,
აქ, ჩვენთან, ქვევით
საბრალოდ კვნესის
ქვეყნიერების ტკივილით სავსე
ჟირაფის გული.

* * *

ტაძრის კედელზე მიშენებულს
იმ ბუდეს ხედავთ?
მანდ ცხოვრობს
ერთი
ჩემი ნაცნობი –
ღვთის შვილობილი
ჩიტი პაწია.

* * *

ისე თეთრია იასამანი,
თითქოს
ამ
ცოდვილ
დედამიწის ბურთზე კი არა,
პატარა გოგოს
უმანკო ცრემლზე
ამოსულიყოს.

ჩიტები

განთიადისას
ყველანი ერთად
იქნებ, იმიტომ იწყებენ
ჭიკჭიკს,
რომ ამ ჭიკჭიკით
მზეს ამოსვლაში
ეხმარებიან?

ჯიამაია

შენს ხელისგულზე გარინდული
შენს ჩურჩულს ვუსმენ,
გთხოვ, რომ გიჩვენო,
თუ საითაა შენი ბედი,
ჩქარა, ჩქარაო –
მემუდარები.
მე კი საცოდავს
შენმა სუნთქვამ თავბრუ დამხვია.
გაფრინდიო, რომ მეუბნები,
საით გავფრინდე,
როგორ გავფრინდე,
ისე ახლოა შენი თვალები.

ქეთევან ბაიაშვილი

ცნობილი ეთნომუსიკოლოგი, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მუზეუმთან არსებული ანსამბლ "მჭელის" ხელმძღვანელი - ქეთევან ბაიაშვილი აგრძელებს "იალქანთან" თანამშრომლობას.

საინტერესო ავტორის მიერ გაზიარებული პუბლიკაცია ხშირად ინოვაციური და ექსკლუზიურია. ქალბატონი ქეთევანი ამჯერადაც გვხიბლავს თავისი დამოკიდებულებით ეთნოკულტურის წიაღში მოძიებული, ერთის შეხედვით, სახალისო, ამასთან, მნიშვნელოვანი თემით. თავად კი ასე განმარტავს: "მინდა, მოგითხროთ ერთ მეტად მივიწყებულ, მაგრამ მუსიკალური ფოლკლორის უაღრესად საჭირო პლასტზე - საბავშვო თამაშობებზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს, ისევე, როგორც ზოგადად ფოლკლორის ყველა დარგი, ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ხალხის მეხსიერებაში ინახებოდა. მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ადამიანის მუსიკალური მეხსიერება უსაზღვრო ტევადობისაა და ინახავს ძაღრე ძველ შრეებს."

დღეს, კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების - ინტერნეტის ეპოქაში, ბავშვებმა სულ უფრო დავიწყეს წინაპართა მიერ შემონახული ქართული საბავშვო თამაშობები. სამწუხაროდ, მათ არც კი იცნან, რომ ეს თამაშები მრავალსაუკუნეგამოვლილი და უაღრესად ბევრის მომცემია. ვინ იცის, რამდენი თაობა გაზრდილა ამ თამაშებით!

მივიწყებული ქართული საბავშვო თამაშობები და თანამედროვე მუსიკალური კლიტრა

ქეთევან ბაიაშვილი

დღეისათვის საქართველოში ხალხური სიმღერის საბავშვო და უფროსების რეპერტუარი ერთმანეთისგან, ძირითადად, არ განსხვავდება. უფრო მეტიც, მოსწავლეთა ანსამბლების შეფასებისას საშემსრულებლო კრიტერიუმი რთული სიმღერებით განისაზღვრება. გამონაკლისები არსებობს ანსამბლების – „ამერ-იმერის“, „ერულას“, „თუთარჩელას“ სახით; მაგრამ საქართველოში ბავშვთა მიერ ხალხური სიმღერის შესრულებაში, ფაქტობრივად, უფროსთა რეპერტუარი ჭარბობს. ძველ და ახალ საგანგებო ლიტერატურაში საუბარია მოზარდის სხვადასხვა ასაკში საბავშვო თამაშების სარგებელსა და მნიშვნელობაზე*.

1996 წ. საქართველოს მუსიკალური საზოგადოებისა (თავმჯდომარე ცნობილი მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელი) და ანსამბლების: „მთიების“, „მზეთამზისა“ და „ამერ-იმერის“ დამაარსებლის, ცნობილი ეთნომუსიკოლოგის ედიშერ გარაყანიძის თაოსნობით ჩატარდა ხალხური სიმღერის სწავლების საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. ბავშვთა კოლექტივებთან დაკავშირებით ამ კონფერენციაზე განხილული იყო მრავალი აქტუალური საკითხი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო „სასწავლო პროცესის დროს ხალხში შემორჩენილი საბავშვო თამაშების გამოყენება“. განსაკუთრებით საყურადღებოა მუსიკალური თამაშები. აქ მუსიკალური არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ სიმღერა-თამაშები, არამედ თამაშები მუსიკალური ინტონაციებით!

საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც საბავშვო თამაშებს ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ: უფროსების მიერ ბავშვებისათვის შექმნილ და, უშუალოდ, ბავშვების მიერ მოგონილ თამაშებად. დღეს სწორედ ამ მეორე ჯგუფზე ვისაუბრებთ.

მეცნიერთა მიერ გამოკვლეულია, რომ ბავშვების თამაშობების უმრავლესობა უფროსების მიბაძვას წაარმოადგენს და ამიტომაც ყველა ქვეყანაში ბავშვი თამაშობს: ქორწილობანას, ექიმობანას, მასწავლებლობანას, ოჯახობანას და ა.შ. არსებობს თვით ბავშვთა მიერ მოგონილი თამაშებიც; მაგალითად, დღეს ცნობილია: „წეროები“, „დაჭერობანა“, „წრეში ბურთი“, „დამალობანა“ და სხვა.

თუ დავაკვირდებით, ადვილი შესამჩნევია, რომ ბავშვები თამაშისას ბევრი როლის „შემსრულებლები“ არიან და თანაბრად ინაწილებენ სხვადასხვა სირთულეს: ისინი დრამატურგებიც არიან, მსახიობებიც, მომღერლებიც და მოცეკვავეებიც. თითქოს ეს ჩვეული წესია თამაშის დროს, მაგრამ, ალბათ, ცოტას თუ უფიქრია, რომ ეს „წესი“ მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. უფრო თუ დავაკონკრეტებთ, დავინახავთ, რომ ბავშვები თამაშისას სინკრეტულად აზროვნებენ და მოქმედებენ, ანუ ერთდროულად გაიაზრებენ ხოლმე თამაშის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილს – იგივე პლასტს. თუკი სინკრეტიზმს შევადარებთ პოლიფონიურ ანუ მრავალხმიან აზროვნებას, საოცარ მსგავსებას შევამჩნევთ: მრავალხმიანი სიმღერის შესრულებისას მომღერლები თან თავის პარტიას მღერიან, თან დანარჩენ ხმებს უსმენენ, მელოდიის შესატყვისად მოძრაობენ, ყველა ერთად ქმნის განწყობას და ნუ დაგვავიწყდება, რომ ხალხური მრავალხმიანი

*** – ქს. სიხარულიძე, ფ.ზანდუკელი, ნ.ღოღობერიძე, ო.ჩიჯავაძე, ნ.მახარაძე, ნ. ზუმბაძე, მუსიკის ანთროპოლოგები: მერიემი, ჰერცკოვიჩი, ბლექინგი და სხვები.**

სიმღერა – სინკრეტულია. მრავალხმიანი სიმღერა კი ქართველის იდენტობის ნაწილია, მისი უმთავრესი თვისებაა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბავშვო თამაშები ასე ადვილად დასავიწყებელი და გადასაგდები არ არის. ის ერის სულიერი კულტურის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი და მომავალი თაობის ჰარმონიულად აღზრდის საფუძველია.

ახლა ვნახოთ, თუ რა თამაშები გვაქვს შემონახული ქართველი ბავშვების მუსიკალური მეხსიერების წყალობით (ვინ იცის, რამდენია დაკარგული...).

მოდით, იქიდან დავიწყოთ, რაც ერთგვარი „შესავალია“ ყოველგვარი თამაშისთვის. ეს არის გათვლები. ეს ხომ საქართველოს ყველა კუთხეში შეგხვდებათ. ალბათ, ყველას მიუღია მონაწილეობა „არჩევანსა და არადანში“... მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ეს გათვლები სულაც არ არის უბრალო თამაში, არამედ ის ავითარებს ბავშვებში რითმის გრძნობას, არტისტულობას, პოეტური ფრაზის აღქმას, მეტყველებასთან ერთად სხეულის მოტორიკას (მოძრაობას), ფანტაზიას და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მაგალითისათვის ავიღოთ „კრუხმა თქვა“. ამ დროს ბავშვები დგებიან წრეში, ვინც პირველი დაიძახებს – „დედა ვარ“, ის იწყებს:

კრუხ-მა თქვა, თქვა, თქვა,
ეს რა და-მე-მარ-თა,
წი-წი-ლე-ბი გა-მოვ-ჩე-კე
ყვე-ლა და-მე-კარ-გა...
ვჩე-კე ერ-თი,
ვჩე-კე ორი,
ვჩე-კე სა-მი,
ვჩე-კე ოთ-ხი,
ხუ-თი, ექვ-სი, შვი-დი, რვა,
ცხრა, ათი, თერ-თმე-ტი,
ყვე-ლა გა-დის შენს მე-ტი!

მნიშვნელოვანია, რომ „დედა“ ამ გათვლას ლექსივით კი არ წარმოთქვამს, არამედ დამარცვლით და ყველა მარცვლის წარმოთქმისას ხელს ადებს წრეში ჩამდგარ ბავშვებს რიგრიგობით; ვისაც შეხვდება ლექსის ბოლო მარცვალი, ის გადის წრიდან. ამ დროს ბავშვები მოთმინებასაც სწავლობენ, მეტყველების კულტურასაც ხვეწენ და ერთდროულად რამდენიმე პლასტსაც გაიაზრებენ ხოლმე.

ახლა ვნახოთ თითქმის სრულიად „მოდიდან გასული“ მეტად საჭირო ერთი უსახელო თამაში, რომელსაც მე „აბა, თქვი“ შევარქვი. ეს, ერთი შეხედვით, უმარტივესი თამაში პოეტური რითმების გაწაფვაში ეხმარება ბავშვებს და თუ ის ყმაწვილური ჟინითაცაა დამუხტული, მას მუსიკალური რითმის განვითარებაც შეუძლია. ბავშვების ერთი ჯგუფი ეჯიბრება მეორეს მოცემული სიტყვის გარითვმაში:

1. აბა, თქვი „ერთი!“ პასუხი – „შეგეწიოს ღმერთი!“
2. აბა, თქვი „ხორბალი!“ პასუხი – „დაგიფუშე ბორბალი“.
3. აბა, თქვი „ორი!“ პასუხი – „შემოგახტა ღორი“ და ა.შ.

ახლა მოკლედ შევეხოთ თავად მუსიკალურ თამაშებს, რომლებიც ამ სტატიის ავტორმა შეაგროვა, გამოიყენა მრავალი წლის წინათ და დღემდე აცნობს მათ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში სტუმრად მოსულ მცირე ასაკის ბავშვებს. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ მათი გამოყენება პატარების დიდ აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევს.

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ მსოფლიოს ყველა ბავშვი თამაშის დროს ერთსა და იმავე ინტონაციას იყენებს. ასეთ ზოგადსაკაცობრიო მუსიკალურ ინტონაციებს „უნივერსალიები“ ჰქვია. ეს ინტონაცია იმდენად ცნობილია ყველა ბავშვისთვის, რომ არც კი ღირს სანოტო მაგალითების ჩვენება. დარწმუნებული ვარ, ამ თამაშების გაცნობისას ბავშვები თავად მოუძებნიან სიტყვებს ინტონაციას. ახლა ვნახოთ უფრო რთული თამაშები: მაგალითისთვის – „აგანგალა“.

„აგანგალა“ – თამაში-გამოცანაა. ეს თამაში აღწერილი აქვს ცნობილ ფოლკლორისტს – ფიქრია ზანდუკელს თავის წიგნში „ფიქრები საბავშვო ფოლკლორზე“. მკვლევარი განიხილავს იმერულ მასალას. ჩემს მიერ ეს თამაშობა ჩაწერილია კახეთშიც, თიანეთშიც, ფშავშიც (მცირედი სხვაობებით).

იკვრება წრე და ერთი ბავშვი თავს გამოაცხადებს დედად. დგება წრის შუაში, იწყებს რომელიმე ცხოველისა ან ფრინველის იმიტაციას და თან საბავშვო ორბგერიანი ინტონაციით ამბობს:

მე ე-სე-თი თა-ვი მაქვს,
მე ხომ გრძე-ლი ცხვი-რი მაქვს,
მა-ტყუ-არას მე-ძა-ხი-ან,
მე ფუმ-ფუ-ლა კუ-დი მაქვს,
მე ქათ-მე-ბი მიყ-ვარს...

ამავე ინტონაციით ბავშვები ტაშის დაკვრით ორჯერ იმეორებენ: „აგანგალა, განგალა“. თან რიტმულად გადაადგილდებიან ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. როცა ე.წ. „დედა“ დაასრულებს ცხოველისა ან ფრინველის დახასიათებას, დასვამს შეკითხვას: „აბა, ვინა ვარ?“ წრეში დამდგარმა ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, თუ ვინაა კითხვის დამსმელი (ამ შემთხვევაში – მელია). ბავშვები გარბიან, „დედა“ გამოეკიდება და ვისაც დაიჭერს, შემდეგი „დედა“ ის იქნება.

მშრალი აღწერითაც გასაგებია, რომ ეს თამაში, გარდა რესპონსორულობისა (კითხვა-პასუხისა), შეიცავს სააზროვნო-სამსახიობო უნარებს: ავითარებს რიტმულობას, ინტონაციურობას, პარალელურად კინეტიკას და, რა თქმა უნდა, იმპროვიზაციულობას (გამომგონებლობის მხრივ), ანუ, სინკრეტულია!

ძალიან საყურადღებოა „ქორწილობანას“ თამაშიც. ეს უკვე პატარების მიერ უფროსების მიბაძვით შექმნილი თამაშია და ყოველი ახალი ქორწილის ნახვისას ის ახალ ელემენტებს იძენს. ამ შემთხვევაში ცნობილ საქორწინო დრამატურგიას ემატება უშუალოდ საბავშვო ფერხული-თამაში – „დღეს თქვენი ქორწილია“.

ჩემის აზრით, ამავე თამაშის ნაწილი უნდა იყოს „მეზობელოც“. იგი ცალკე სრულდება, მაგრამ თემატურად „ქორწილობანას“ ნაწილია. ჩემს პრაქტიკაში ეს თამაშები ცალკეც დამიდგამს და ერთადაც. სწორედ ამ უკანასკნელმა მომცა ბიძგი, მეფიქრა, რომ „მეზობელო“ „ქორწილობანას“ ნაწილი უნდა ყოფილიყო.

თამაში რომელიმე გათვლით იწყება და სახელდება „პატარძალი“ და „ნეფე“. ასევე, „მეჯვარეები“, „მაყრები“. ამის შემდეგ „ნეფე-პატარძალს“ წრის შუაში ჩააყენებენ, ყვავილების გვირგვინს დაადგამენ, ხელჩაკიდებულნი გარს უვლიან მათ და მღერიან ორბგერიანი ინტონაციით: „დღეს თქვენი ქორწილიააა!“ ამას იმეორებენ მანამდე, ვიდრე აჩქარებული ტემპით თავბრუ არ დაეხვევათ; მერე „ნეფე-პატარძალს“ ხან ყვავილს მოჰგლეჯენ, ხან დაპუტავენ ყვავილებს და თავზე გადააყრიან. ამ გასართობს აქ არაჩვეულებრივად ებმის „მეზობელო“: ბავშვების მეორე ჯგუფი მოშორებით დადგება და ერთი მათგანი გადმოსძახებს: მეზობელო, მეზობელოოო!

– „ბატონო“, – უპასუხებს ერთ-ერთი „მაყარი“. I ჯგუფი: „რა ამბავია?“ პასუხი: „ქორწილია, ქორწილიიი“. II ჯგუფი: „რითი მოვიდეთ?“ I ჯგუფი: „ცხვრებითაააა“. II ჯგუფი რიგში ჩადგება და ცხვრების ხმებით („მეეე, მეეეს“ ძახილით) მოდის I ჯგუფამდე. ამასობაში ამ ჯგუფის ბავშვები აკეთებენ თაღს აწეული ხელებით და მეორე ჯგუფი ისე უნდა გაძვრეს ამ თაღში, რომ არც მწკრივი დაიშალოს და არც ხმები შეწყდეს. ის, ვინც ვერ გაძვრება ამ თაღში, იმას I ჯგუფი დაიტოვებს, დანარჩენები ისევ შორს გარბიან და იგივე დიალოგი იმართება. პასუხად ეტყვიან – „ყვავებითაო“ და ყვავის ხმის იმიტაციით მოდიან. „ცხენებითაო“ და ცხენების ხვიხვინითა და ჩორთით დაიძვრებიან ადგილებიდან. „ძროხებითაო“ და ძროხის ზმუილით გადმოდგამენ ნაბიჯს და ა.შ.

საბოლოოდ ეტყვიან, „დიმპიტაურითაო“ და უახლოვდებიან ცეკვა-ხტუნვით. აი, ამის შემდეგ პირველი ჯგუფი მეორეს სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟებს. ამ თამაშის შემდეგ იმართება სხვადასხვა საქორწინო რიტუალი. მაგალითად, „ჯვრისწერა“: რომელიმე ბავშვი მღვდლობას თაობს და ბავშვურად ბაძავს მღვდლის ინტონაციას; რომელიღაცა თამადაა და სადღეგრძელოს წარმოთქვამს, რომელიღაცა მომღერალია და ა.შ.

შეუძლებელია, მცირე სტატიაში ყველა თამაშისა და სათქმელის განხილვა, ისც თავს იჩენს ამ საკითხის შესწავლისას. ჯერ ეთი, ბევრი დღესათვის დაკარგულია, ზოგის კი - მცირე ფრაგმენტია შემოჩენილი; ისინი გასაოცარ საიდუმლოს ინახავენ. საბავშვო თამაშობები ავითარებს: სმენას, ხითმს (მუსიკალურსა და პოეტურს), მეხსიერებას, ფანტაზიას, მოძრაობას, ცეკვას, სამსახიობო, მუსიკალურ და მათემატიკურ აზროვნებისაც კი!

უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვეობასთან ადაპტირების შემთხვევაში თითოეული საბავშვო თამაში (გონების გასავარჯიშებელი) ხელს შეუწყობს დღევანდელი სამყაროს მოაზროვნე და ჰარმონიულად განვითარებული თაობების აღზრდას. ეს თამაშები ბავშვებს დაეხმარება, დაძლიონ წინააღმდეგობები; იმთავითვე შეიმეცნონ, რას ნიშნავს გამარჯვებაც და დამარცხებაც, მოვლენათა სწორი ანალიზი, ღირებულებებათა საკუთარ თავში მოძიება...

ნანა ქარდავა

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული მფრინავს, ზაურ ბედიას, ძალიან ბევრი ჰამ აქვს სათქმელი, გასახსენებელი, გასაზიარებელი: მიმდინარე წელს აფხაზეთის სამოქალაქო ავიაციის საიუბილეო, 90 წლთან დაკავშირებითაც და საკუთარი, საინტერესო ბიოგრაფიიდანაც... მართლაც, ძალიან ბევრი ჰამ...

მოდით, ანოტაციაშივე მისი ცხოვრების ის ეპიზოდი, ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა გავახსენოთ მკითხველს: ზაურ ბედიამ საკუთარი ქვეყნიდან დევნილი პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გადაარჩინა გროზნოში. ეს ჩვენთვისაც საამაყოა.

მწერალი და პუბლიცისტი, შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის laureატი ნანა ქარდავა მოკლედ მოგვითხრობს სოხუმელი მფრინავის - ზაურ ბედიას ცხოვრების ცალკეული ეპიზოდებზე, მრავლისმთქმელი მოგონებებზე.

რომელი ცაც გიხმობს

ნანა ქარდავა

2019 წლის 5 მაისს შესრულდება 90 წელი, რაც აფხაზეთიდან პირველი სამოქალაქო თვითმფრინავი აფრინდა. 1929 წლის 5 მაისს განხორციელდა რეისი: თბილისი-სოხუმი-როსტოვი-მოსკოვი. სწორედ ამ დღემ დაუდო სათავე აფხაზეთის ტერიტორიიდან სამოქალაქო რეისების ფრენას. ამიტომ ეს თარიღი განიხილება, როგორც აფხაზური ავიაციის დაბადების დღე. ამ მნიშვნელოვან საიუბილეო წელთან დაკავშირებით აფხაზეთიდან დევნილმა მფრინავებმა, ბატონ ზაურ ბედიას თაოსნობით, განიზრახეს, თავიანთ აფხაზ კოლეგებთან ერთად იზეიმონ. უფრო მეტიც, როგორც დევნილი მფრინავები აღნიშნავენ, მათ აფხაზი კოლეგების მოწვევა საკუთარი ღირსების საქმედ მიაჩნიათ. ამ ნაბიჯით მათ სურთ, ხაზი გაუსვან აფხაზი კოლეგების ღვაწლს აფხაზეთის ავიაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე.

ბატონი ზაური ამ აქტს განიხილავს, როგორც მამულიშვილურ საქმეს და მიიჩნევს, რომ აფხაზეთიდან კოლეგების ჩამოსვლა ხელს შეუწყობს მათ შორის ნდობის აღდგენას და სამაგალითო იქნება იმათთვის, ვისი ურთიერთობაც ომმა დაანგრია, დაანაწევრა, დააშორიშორა.

მაგიდაზე მიდევს **ბატონ ორესტ (ზაურ) ბედიას** Cirriculum Vitae, შემოკლებით „სივი“ რომ დაურქმევიათ. დავყურებ „სივის“ – ერთი ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები რომ გაუერთიანებია. დავყურებ და ვფიქრობ, რომ ეს რიცხვები ვერ იტევენ სათქმელს – ყველაზე მთავარს... ზაურ ბედიას ღირსებასა და ადამიანობაზე ისინი ვერ მოგვიყვებიან. ვერც ფოტო გადმოსცემს სრულად ადამიანის ფიზიკურსა და სულიერ სახეს (სულისკვეთებას); ამიტომ, გადავწყვიტე, თარიღებისა და ოფიციალური ფოტოს გვერდის ავლით მოგითხროთ, თუ ვინ არის ზაურ ბედია.

ვუყურებ მაღალ, წარმოსადეგ ადამიანს და, ვფიქრობ, ალბათ, ასეთები იყვნენ ძველი კოლხები. მასთან საუბრის შემდეგაც ვაგრძელებ ფიქრს – ალბათ, ასეთი ზნეკეთილები იყვნენ კოლხები. ამასთან, სრულიად სამართლიანად ამაყობს თავისი გვარით. „ბედია“ ხომ ერთ-ერთი უძველესი გვარია საქართველოში. გვარი თავად მიგვანიშნებს სადაურობაზე.

ერთ-ერთი პირველი საბჭოთა სამოქალაქო თვითმფრინავი. XX ს.-ის 40 წლები

აფხაზეთში, ოჩამჩირიდან 25 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი ბედია. სწორედ აქაა ბედიის მონასტერი – ქართული ხუროთმოძღვრების ულამაზესი ნიმუში, საქართველოს გამაერთიანებელი ბაგრატ მესამე რომ განისვენებს. აქაური ეპისკოპოსები იწოდებოდნენ „მოსაფლავეებად“, ანუ სამეფო საფლავის მფარველებად. მოგვიანებით კი ბედიელ მთავარეპისკოპოსს – სვიმეონს ეწოდა ბედიელ-ალავერდელი, რითაც ხაზი

ზაურ ბედია
ტუ-134-ის კაბინაში. 1985 წელი

გაესვა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სალოცავების ერთიანობას.

ზაურ ბედიას ყოველდღიური ფიქრიც, მისი ცხოვრების აზრიც საქართველოს ერთიანობაა. ბევრი რამ გაიღო მან უყოყმანოდ ამ იდეისათვის და ყოველგვარი პათოსის გარეშე ვამბობ: როცა საქართველოსა და მის პირველ პრეზიდენტს დასჭირდა, ბატონმა ზაურმა თავი გადადო სიყვარულისა და ერთგულებისათვის, მოყვასისა და სამშობლოსათვის! **ზაურ ბედია, მართლაც ვაჟკაცური ბუნების, გაუტეხელი, ქრისტესმიერი გზით მავალი კაცია (ბევრისგან განსხვავებით), რომელიც საქართველოს დევნილ პრეზიდენტს გვერდით დაუდგა.**

ამის შესახებ თავად გვიყვება წიგნში „ჩემი ცხოვრების ეპიზოდები“:

„მე გიამბობთ იმას, რაც ნაკლებად იცის ქართველმა ხალხმა.

1992 წლის 10 იანვარს, საღამოს 5 საათზე ჩამოვფრინდი კიევიდან სოხუმში. დისპეტჩერმა დაჯდომისთანავე გამაფრთხილა, რომ სასწრაფოდ გამოვცხადებულიყავი აეროპორტის უფროსთან, ბატონ ზაურ ხაინდრავასთან...

– თქვენ გეკისრებათ, გადაარჩინოთ ბატონი ზვიად გამსახურდია და მისი ოჯახი, რომლებიც იმყოფებიან სომხეთში!

მე დიდი სიხარულით დავთანხმდი. არც დავფიქრებულვარ და ვკითხე:

– სოხუმში?

– არა! ჯერ გროზნოში უნდა გადააფრინო, იქ აგიხსნიან ყველაფერს!“

ზაურ ბედიას გროზნოში თავად ჯოჰარ დუდაევმა განუმარტა შესასრულებელი ამოცანის სირთულე და დასძინა:

„– ღმერთი იყოს შენი და შენი პრეზიდენტის მფარველი!

მე მაშინვე მხედრულად, მხიარულად ვუპასუხე:

– მზად ვარ, ვემსახურო ჩემს პრეზიდენტსა და ჩემს სამშობლოს!“

ასეც მოხდა: ეკიპაჟმა ზაურ ბედიას ხელმძღვანელობით გროზნოში მშვიდობიანად ჩაიყვანა საქართველოს პირველი პრეზიდენტი და მისი ოჯახი. ეს არ იყო მაშინ იოლი საქმე. ბატონი ზაური იხსენებს, როგორ „მიაცილებდნენ“ ზეცაში მთელი გზის განმავლობაში რუსეთის სამხედრო გამანადგურებლები. დისპეტჩერები რუსეთის ზონიდან კატეგორიულად მოითხოვდნენ თვითმფრინავის მინერალურ წყლებსა ან როსტოვში სასწრაფოდ დაშვებას. მამაც პილოტს საკუთარი შიში დაძლეული ჰქონდა. გონება სხვათა სიცოცხლის გამო ფიქრებს, საფრთხეს დაემძიმებინა. ახლა სიჯიუტე და თავგანწირვა საუკეთესო გამოსავალი იყო. ამიტომაც, ლოკატორზე რომ არ გამოჩენილიყო, დისპეტჩერს უთიშავდა კავშირს.

გროზნოში ჩასულმა ზვიად გამსახურდიამ თურმე დაიჩოქა და მიწას ეამბორა... ბევრი ასეთი ამბის თვითმხილველია ბატონი ზაური. ერთი საინტერესო რამეც მითხრა: ბატონი ზვიადი თურმე ვერ იტანდა სიტყვა „ზვიადიასტს“ და ამბობდა – ეს ჩვენი მტრების მოგონილია, მტრებისა, რომელთაც ქართველთა გახლეჩა და დაპირისპირება სურთო.

ისევ ბატონ ზაურს მოვუსმინოთ, როცა მან უკვე უარი თქვა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ავიარეისზე:

„არასოდეს დამავიწყდება 27 სექტემბრის დილა. გამთენიისას სახლში დამირეკა აეროპორტის უფროსმა ზაურ ხაინდრავამ:

– საჩქაროდ უნდა მოხვიდე აეროპორტში.

– რა ხდება?

– პირველი* უნდა გაიყვანო!“

ზაურ ბედიას მაშინ კატეგორიული უარი უთქვამს.

ავტორი იქვე აგრძელებს:

„აეროპორტთან ახლოს ავიაქალაქში ვცხოვრობდი, გავიგე, როგორ აფრინდა თვითმფრინავი. დარჩა უდანაშაულო, უიარაღო, განწირული ხალხი ყოველგვარი დაცვისა და იმედის გარეშე.“

*** – „პირველი“ – ედუარდ შევარდნაძე.**

15 წელზე მეტია, ბატონმა ზაურ ბედიამ მიხეილ ნინიძესთან ერთად ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის საქველმოქმედო ფონდი“. ორგანიზაციის მიზანი იყო და არის, ქართველთა და აფხაზთა ტრადიციული თანაცხოვრების, მეგობრობისა და ნათესაური კავშირების აღდგენა, მშვიდობიანი ორმხრივი მოლაპარაკება, ამ გზით დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნება თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე, დაბრუნების შემდეგ კი ურთიერთნდობის, პატივისცემისა და თანაცხოვრების ოდითგან დამკვიდრებული ტრადიციებისა და ადათ-წესების აღდგენა.

ამ საპასუხისმგებლო მისიის აღსასრულებლად ზაურ ბედია დაუკავშირდა თავის აფხაზ კოლეგებს. პირველ რიგში, ვლადისლავ ეშბას, რომელიც დღესაც სოხუმის საერთაშორისო აეროპორტის დირექტორია. ამ ფონდის ეგიდით ზაურ ბედია არაერთხელ ჩასულა ოკუპირებულ აფხაზეთში.

ერთ-ერთი პირველი შეხვედრა ქ. გალში, ამ რამდენიმე წლის წინათ შედგა. ისევ ბატონ ზაურს მოვუსმინოთ:

– სლავა ეშბასა და ალექსი ლატარიას მე და მიშა ნინიძე შევხვდით ენგურის ხიდზე. შეხვედრა იყო ძალიან თბილი... ჩავედით გალში. იქ დაგვხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წევრები, რუსლან ქიშმარიას ხელმძღვანელობით. ვისაუბრეთ, გავარჩიეთ, რა მოხდა ძმებს შორის და როგორ უნდა გამოგვესწორებინა სხვათა თუ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები. გამომშვიდობებისას ყველას ცრემლი მოგვადგა თვალზე. ერთად გაზრდილი ძმები ისევ ვშორდებოდით და არავინ ვიცოდით, როდემდე.

ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყდა და დაიგეგმა კიდეც აფხაზი დელეგაციის თბილისში მოწვევა. მაგრამ ... „საშვილიშვილოდ აწყობილი საქმე ჩაიშალა“, როგორც გულისტკივილით ამბობს ბატონი ზაური და დასძენს:

– ისევ ქართული ამპარტავნობა, ისევ შიდა დაპირისპირება, ისევ უაზრო ამბიცია და რასაკვირველია, იმჟამინდელი პრეზიდენტის პოზიცია გახდა ამ შესანიშნავი მიღწევის ჩაშლისა და ჩაფარცხვის მიზეზი; თუმცა ღმერთი მაღალია და ის განგვსჯის ყველას, მიწიერ სიბილწეში მცხოვრებთ.

ბატონი ზაური არაა ის კაცი, ფარ-ხმალს რომ ადვილად ყრის და გარემოებებს უშინდება. ადვილადაც არ ნებდება „მრუდის საწუთროს ტრიალს“... ამიტომაც ბევრი ვაჟკაცისათვის შესაშური ენერგიით ეზიდება მამულიშვილის სატარებელ ტვირთს, რომელიც ერთდროულად მძიმეცაა და მსუბუქიც, სანატრელიცა და საამაყოც.

1923 წლის 10 მაისს ბატონი შაღვა ჭანჯოტაძის მიეი შექმნილმა საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ 1991 წლამდე იარსება. აფხაზეთის ავიაციას, 1929 წლის 5 მაისიდან აფხაზეთის ომის ჩათვლით, დიდი ისტორია აქვს: "აფხაზეთის მოსახლეობას ჯაჰგად ახსოვს, რა ტანჯვა გადაიტანა საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ ომის დროს. ყოველ გაფრენაზე ეკიპაჟის შიდა სალაპარაკო ლიტანიის საშუალებით ვემშვიდობებოდით ოჯახებს. არ ვიცოდით, დავბრუნდებოდით თუ არა... მაგრამ ამ ომის დროს სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის მფრინავები, ჩვეულებისამებრ, ვასრულებდით ჩვისებს..."

ვესმენ ბატონ ზაურს და ვფიქრობ, რომ ის გამორჩეული ბედისწერის ადამიანია. ბევრი ჯარგი და ბევრი ცუდი მომხდარა მის ცხოვრებაში. როგორ შეიძლება, არ მოიხიბლო ადამიანით, რომელიც გთხოვს, ჩემზე ჯი არა, ჩემი ეკიპაჟის წევრებზე დანერეთ, მათ გარეშე მე არაფერი ვიქნებოდიო! როგორ არ უნდა მოიხიბლო ადამიანით, რომელიც გეუბნება, მართალია, ომმა მტრებად გვაქცია, მაგრამ მაინც მიყვარს ჩემი აფხაზი ჯოლეგა, იმიტომ, რომ ის ვაჟკაცია. ოპტიმისტია ბატონი ზაური, თუმცა ამ ბოლო დროს გულგატეხილობაც შეპარვია - არავინ ზრუნავს ქართული სამოქალაქო ავიაციის დიდების აღდგენაზე, დაგვივიწყეს ძველი პროფესიონალი მფრინავები.

სოხუმიდან წამოსვლისას, ბინის გასაღები მეზობელი პაპაიანებისათვის დაუტოვებია. 2001 წელს გაეროს ეგიდით სოხუმში ჩასულმა თავისი სახლი მოინახულა. პაპაიანებს შეუცვლიათ ინტერიერი ბინაში, თანაც დიდად არ ელოდნენ ბინის ნამდვილ პატრონს. ამიტომაც შეუცხადებიათ - შენ აქ რა გინდა?!

"შენ აქ რა გინდა?!" - მერამდენედ მეორდება ზარივით გონებაში. გვინდა! გვინდა! ჩვენ რაც გვინდა, ამას საქართველოს მტრები (შინაურნიც და გარეშენიც) ვერასოდეს გაიგებთ! მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რაც გვინდა! ჩვენი სახლის ჯერია, ჩვენი მიტოვებული საღოცავები, ჩვენი მინა გვიხმობს ყოველდღიურად, ყოველწამიერად! ხოლო ზაურ ბედიას ამ ყველაფერთან ერთად უხმობს ცა, ჩვენი - აფხაზეთის ცა, რომელიც სამყაროში ერთადერთია თავისი სიღრმითა და სიცისფრით!

ზაურ ბედია, ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი

«სიბრძნე სიცრუისას» დაკარგული ხელნაწერი

1688 წელს, როცა ირანის შაჰმა სულხან-საბას მამიდაშვილის შვილს – ქართლის მეფე გიორგი XI-ს (ვახტანგ V-ის ვაჟს) მეფობა ჩამოართვა, რეპრესირებული ორბელიანი იძულებული გახდა, გასცლოდა ქართლს. ერთხანს იმერეთში, შემდეგ კი სამცხეში იმყოფებოდა.

1698 წელს საბას სახელით მეიგავე ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში.

1703 წლიდან ქართლის ახალი გამგებლის – ვახტანგ ჯანიშინის (შემდგომში ვახტანგ VI-ის) დავალებით ორბელიანმა დიპლომატიური მისიით იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში; მათ შორის, საფრანგეთსა და იტალიაში.

მაგრამ მისი დიპლომატიური მისია მარცხით დასრულდა. იმედგაცრუებულმა დიდი გაჭირვებით ჩამოაღწია სამშობლოში.

1723 წლის ივლისში თბილისი აიღეს ოსმალებმა, ხოლო ვახტანგის „მოკავშირე“ პეტრე I-მა სრულიად გულდამშვიდებით სცნო საქართველოს ანექსია ოსმალთა მიერ.

1724 წელს ვახტანგ VI-ემ რუსეთში დააპირა გადახვეწა. მან მოსკოვში წინასწარი მოლაპარაკებისთვის ორბელიანი გაგზავნა, მაგრამ უკვე ხანდაზმულ მწერალს არ დასცალდა უკანასკნელი მისიის შესრულება. იგი მოსკოვში მალევე გარდაიცვალა. დაკრძალეს ვსესვიატსკოეში.

* * *



„სიტყვის კონა“ – XVIII ს.-ის ხელნაწერი

სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ხელნაწერი ახლო ნათესავისთვის, გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისთვის უჩუქებია. სამახსოვრო წარწერაც კი გაუკეთებია.

ეს ხელნაწერი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ვიდრე რევოლუცია არ მოხდა და ბაგრატიონ-მუხრანელები არ დააწიოკეს. 22 ადამიანი ემსხვერპლა ბოლშევიკების რეპრესიებს.

ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელმა – ნიკო ბურმა* შვილები: ნატალია, ირინე და ალექსანდრე ნათესავ ქალთან, თავად ვაჩნაძის ასულთან ერთად ბათუმიდან თურქეთში გაამგზავრა.

გემზე საშინელება დატრიალდა – ყველას ჩხრეკდნენ, ძარცვავდნენ; ბაგრატიონთა დიდი მარგალიტი პატარა ალექსანდრეს პირში ჩაუდეს და ასე გადაარჩინეს განძი.

ბაგრატიონ-მუხრანელებს კიდევ სამი ძვირფასი რამ გაჰქონდათ უცხოეთში: „სიბრძნე-სიცრუისას“ ხელნაწერი, ბაგრატიონ-მუხრანელებისთვის საჩუქრად მიძღვნილი, ლუდოვიკო XIV-სეული სამაჯური, რომელიც ქართლის მეფე – ვახტანგ VI-თვის გამოუგზავნია საფრანგეთის მეფეს და მარიამ ციციშვილის** ნაქონი, 16 პატიოსანი თვლით მოჭედილი საყურე.

პარიზში ბრილიანტი ბაგრატიონებმა გაყიდეს და გახსნეს კაფე, რომელიც მალევე გაკოტრდა. უკიდურეს სიღარიბეში ყველაფერი დააგირავეს; მათ შორის, სულხან-საბას ხელნაწერიც. პროცენტი ვერ გადაიხადეს. დაინიშნა საჯარო ვაჭრობა. ნიკო ბურის ქალიშვილი თვალს ადევნებდა, ვინ შეიძენდა ფასდაუდებელ ნივთს, რომ შემდგომ გამოსყიდვა შესძლებოდა. იყიდა ინგლისელმა ლორდმა. ნატალია მასთან მივიდა და უთხრა: ეს წიგნი ჩემია, გთხოვთ, დამიტოვოთ მისამართი. თუ ოდესმე ფული მექნება, მას თქვენგან გამოვისყიდი.

ამ ამბიდან წლები გავიდა. ნატალია ცოლად გაჰყვა მდიდარ ფრანგს – ტურანჟენს და მაშინვე მისწერა ინგლისელს, წიგნის გამოსყიდვა მინდაო. ბუნებრივია, ინგლისელი მიხვდა, რად უღირდა ძველ მეპატრონეს იგი და დაადო უზარმაზარი თანხა.

დაინიშნა შეხვედრა. ბედის უკუღმართობით, ნატალიას სამი დღე დააგვიანდა. ინგლისელმა შინ არ შეუშვა, დღეც შეიცვალა და წიგნის ფასიცო...

დღემდე სულხან-საბას ხელით დაწერილი „სიბრძნე სიცრუისა“ უცხოეთშია.

*** – ნიკო ბაგრატიონი, ქართლის ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების წარმომადგენელი; ინგლისელებისა და ბურების (სამხრეთ აფრიკელთა) ომის აქტიური მონაწილე. ** – საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის მეუღლე.**

– ჭ –

ჭავლი – სხვილი ნაწნავი თმა
ჭალიკონი – ქარია ერთი სასტიკი
ჭანგი – მხეცთა ფეხის ფრჩხილი
ჭაპანი – საურმე თოკი
ჭაჭვი – პეშვი
ჭილიბი – ურმის თვალის ჭანჭიკი
ჭიმონი – გუდა-სტვირი
ჭინჭლა – მცირე საღვინე
ჭიჭმატა – მეტად წვრილი მძივნი
ჭოგრი – შორს სათვალე; დურბინი
ჭონი – ბეწვის მკერავი
ჭოროკინი – სვეტის წვერი
ჭოჭი – ადგილი წყლიანი
ჭოჭინა – ჩვილთ სატარებელი

სულხან-საბა ორბელიანი

მეფე და მისი ძე

იყო ერთი დიდებული მეფე და ჰყავდა სამი ძე. მეფემ იფიქრა, გამოვცდი, ჩემი შვილებიდან რომელსა აქვს მეფობისთვის საჭირო ჭკუაო.

სამივეს ჰკითხა:

– რა უფრო კეკლუცია? რა უფრო მსუქანია? რა უფრო სწრაფია?

უფროსმა ძმამ თქვა:

– ჩემი ცოლია ყველაზე კეკლუცი, ჩემი ცხენია ყველაზე მსუქანი და ჩემი ქორია ყველაზე სწრაფი!

მამამ უთხრა:

– მეფობას შენ თვალით ვერ იხილავ!

შუათანა ძმამ თქვა;

– დედოფალზე ლამაზი, მეფის ცხენზე მსუქანი და მეფის შევარდენზე სწრაფი არაფერია!

– არც შენ ხარ მეფობის ღირსი! – უთხრა მამამ.

მაშინ უმცროსმა შვილმა თქვა;

– გაზაფხულზე კეკლუცი, შემოდგომაზე მსუქანი და თვალზე სწრაფი არაფერია ქვეყანაზე!

მოეწონა მამას ეს პასუხი და მეფობაც მას უბოძა.

ბებერი და ყრმა

უკბილო ბებერი და ყრმა ერთად ისხდნენ და საჭმელს მიირთმევდნენ. ორივემ ტირილი დაიწყო.

ბებერს ჰკითხეს, რად ტირიო?

მან თქვა:

– მე კბილები არ მაქვს და ამ ყრმამ შეჭამა ყველაფერი!..

მერე ყრმას ჰკითხეს, კი, მაგრამ, შენ მაინც რაღად ტირიო?

მანაც თქვა:

– სანამ მე ვღეჭავ, ამან ყველაფერი მთელ-მთელი გადაყლაპა!

რომელი მათგანი იყო მართალი, ორივემ კარგად იცოდა, მაგრამ მაინც ერთმანეთს აბრალებდნენ.

იაპონია – ეპოქის ამოცანა

საინტერესო ფაქტები, ადათ-წესები

იაპონიას ხშირად უწოდებენ ჩვენი საუკუნის გამოცანას, იაპონელ ხალხს კი ყველაზე გამოუცნობს. აქ ყველაფერი განსხვავებული და უნიკალურია. თვითონ იაპონელებიც დარწმუნებული არიან, რომ თავისი გამორჩეულებით ისინი მოწყვეტილნი არიან დანარჩენ სამყაროს. გაეცნობით რა ამ ქვეყნის წარსულს, ადათ-წესებს, გაიგებთ, რატომ ითვლება იაპონელი ერი მსოფლიოში უნიკალურად, კრეატიულად. იმდენად ბევრია ტრადიცია, რომ შეუძლებელია მათი მთლიანად აღწერა. ქვეყანაში ყველაფერი ოგეგამენტირებულია, განსაზღვრული რიტუალების დაცვით. ძნელია დაიჯერო, რომ ეს ხდება ზეუმაღლესი ტექნოლოგიების ქვეყანაში.

არსებობს ორი ჰიპოტეზა - რატომ იწოდება იაპონია "ამომავალი მზის ქვეყნად". პირველი ჰიპოტეზის თანახმად, იაპონია მსოფლიო ოკეანის აღმოსავლეთ ნახევარსფეროში პირველი ხვდება მზის სხივებს. მეორე ჰიპოტეზა იაპონიის სახელწოდებას უკავშირდება. სიტყვა "იაპონია" ორი იეროგლიფისგან შედგება. პირველის ფუძეა - "დასანყისი", მეორესი კი - "მზე". ე.ი. "მზის დასანყისი" ანუ "მზის ამოსვლა".

* * *

იაპონია ახალგაზრდა ცივილიზაციაა. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის კუნძულების (4.000-მდე) დასახლება დაიწყო რამდენიმე ათასი წლის წინათ, სახელმწიფოებრიობა აქ მხოლოდ ჩვ.წ.აღ-ის IV-VI ს.ს.-ში ჩამოყალიბდა. პროტოიაპონელები კუნძულებზე მოვიდნენ კორეის ნახევარკუნძულის გამოვლით. იაპონიის კულტურაზე განსაკუთრებული ზეგავლენა კორეასთან ერთად მოახდინა ჩინეთმაც.

ჩვ.წ.აღ-ით I-III ს.ს.-ში დაწერილი იაპონური წიგნის „ლაო-ძის“ ერთ-ერთ თავში არის ნაწყვეტი, რომელიც კარგად ხსნის იაპონელთა დამოკიდებულებას ადამიანების, საზოგადოების, საკუთარი თავის მიმართ: მას, ვინც ცდილობს მასზე ძლიერის ძლევას, არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ამით შენ აიძულებ მთელ სამყაროს, რომ გემსახუროს. ადამიანის თვითსრულყოფის ეს გასაოცარი წესი, რომელიც შემდგომ საზოგადოებრივი ფილოსოფიის რანგში იქნა აყვანილი, იქცა იაპონიის განმსაზღვრელ ვექტორად მისი ისტორიის მანძილზე.

იაპონელთა უძველესმა რელიგიამ – სინტოიზმმა კომპრომისი მოძებნა VI ს.-ში ჩინეთიდან გავრცელებულ რელიგიასთან – ბუდიზმთან. ბუდისტური ტაძრები იაპონიაში სწორედ ჩინელებმა ააგეს. VIII ს.-ში მკვიდრდება რელიგიური სისტემა „სინტო“ (სიტყვა-სიტყვით „ღმერთების გზა“). იაპონიაში ყოველ ნაბიჯზეა სინტოისტური სალოცავები, რომლებიც სხვადასხვა ღმერთს სცემენ თაყვანს. ამგვარი ღმერთების რაოდენობა იაპონიაში 8 მლნ-ს აღწევს; მათ შორისაა, მთა, ჩანჩქერები, მდინარე, ხე, ყვავილები, გმირები...

ძალზე რთულია იაპონური დამწერლობა. მას საფუძვლად უდევს VI-VIII ს.ს.-ში ჩინელებისგან და იაპონური ენის თავისებურებებისადმი მისადაგებული იეროგლიფები. გაზეთი რომ წაიკითხო, 2.000-მდე ნიშანი უნდა იცოდე; ხოლო იეროგლიფების რაოდენობა 10.000 აღწევს. იაპონელებიც კი ხშირად იშველიებენ ლექსიკონს.

იაპონიის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 130 მლნ კაცს, რაც თითქმის რუსეთის მოსახლეობის ტოლია, იმ ქვეყნისა, რომლის ტერიტორიაც იაპონიაზე 40-ჯერ დიდია. მოსახლეობის სიმჭიდროვემ განსაზღვრა მინიატურიზაციის ტენდენცია, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება, დაწყებული ჯუჯა ხეების გამოზრდის ხელოვნებიდან – „ბონსაიდან“* და დამთავრებული „ტანკასა“ და „ჰაიკუს“ პოეტური ფორმებით.

იაპონია მდიდარია მრავალფეროვანი მცენარეული საფარით, მათ შორის, ენდემური ნარგავებით.

თითქმის მთელი წლის განმავლობაში იაპონიაში რაღაცა ყვავის. ახალი წლის დადგომამდე, ყინვების დროს, აყვავდება ხოლმე ველური ქლიავი; თებერვალსა და მარტში ყვავის კამელია, ზაფხულში – შროშანი, ზამბახი და იელი; მაგრამ ყველაზე საუცხოოა ალუბალ საკურას** თეთრად აყვავება გაზაფხულზე. ეს ყვავილი ქრიზანთემასთან ერთად იაპონიის ეროვნულ ყვავილად ითვლება.

* * *

იაპონელი მრავალმხრივ იცავს თავის კულტურას დასავლეთის ზეგავლენისგან. წესისა და ადათის შესრულება იაპონელის ყოველდღიურობის ნაწილია. აქ ყველაფერი ემორჩილება საუკუნეგამოვლილ რიტუალს; ტრადიცია მკაცრად რეგლამენტირებულია. იაპონელისთვის მასზე უარის თქმა ნიშნავს საკუთარი ქვეყნისა და ეროვნული ისტორიისადმი უპატივცემულობას. თითქმის ყველაფერი, რაც იაპონიაში იყიდება, ელმავლიდან დაწყებული და ცხვირსახოცით დამთავრებული, იაპონური წარმოებისაა.

*** – მცირე ზომის მცენარეების გამოზრდის ხელოვნება 1000 წლის წინათ დაინერგა იაპონიაში.**
**** – ამ იაპონური ალუბლის ნაყოფი არ იჭმევა.**

იაპონელი სწავლულები და თვით მმართველებიც კი საოცარი თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ. იაპონურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში თითქმის ვერ ნახავთ ნაწარმოებს, სადაც ქვეყნის ლიდერისთვის ხოტბაა შესხმული.

აი, რამდენიმე საინტერესო იაპონური ფაქტი და ტრადიცია:

2,5 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იაპონია ე.წ. „დახურული ქვეყანა“ იყო. 1600 წელს, ხანგრძლივი სამოქალაქო ომების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოვიდა უმდიდრესი ფეოდალი – იეიასუ ტოკუგავა და თავი სიოგუნად, ანუ სარდლად გამოაცხადა*. თავისი „რკინისებური ხელით“ მან გააერთიანა ქვეყანა; ამასთან, დაინტერესდა ძველი ხელნაწერებისა და ხელოვნების ნიმუშების შეგროვებით. მიუხედავად იმისა, რომ იეიასუ სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების წინააღმდეგი არ იყო, უნდობლად უყურებდა უცხოელებს. გამოიცა კიდეც კანონი, რომლის მიხედვით იაპონელებს სასტიკად ეკრძალებოდათ ქვეყნის დატოვება. უკვე მერე ის უკან ვერ ბრუნდებოდა და ცხადდებოდა მოღალატედ. 1636 წელს იაპონია გამოცხადდა „დახურულ ქვეყნად“ და იქ შესვლა აეკრძალა ყველა უცხოელს.

იაპონელები დღესაც უხერხულად გრძნობენ თავს უცხოელთა შორის, უწოდებენ რა მათ „გეიძინს“ – „გარეშე ხალხს“. დღესაც კი იაპონია, ეს ღიმილიანი და სტუმართმოყვარე ქვეყანა, ეროვნული თვალსაზრისით რჩება ერთ-ერთ ყველაზე „სუფთა“ ქვეყნად – მოსახლეობის 99% -ზე მეტი იაპონელია.

თუნდაც, 20 წლის შემდეგაც, უცხოელს იაპონელი ასე მიმართავს: „რა მოხერხებულად ხმარობთ ხასის!“ (ხასი - იაპონური ჩხირებია, რითაც ჭამენ); ან „რა საოცრად იფერებთ იაპონურ ბალიშზე ჯდომას!“ ამ ვითომ შექებით უცხოელს ახსენებენ, რომ იაპონიაში ის ვერასოდეს შეძლებს, გახდეს იაპონელი.

მაგრამ იაპონელები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან იმ უცხოელს, ვინც, თუნდაც, ორიოდე სიტყვას წარმოთქვამს იაპონურად.

იაპონიაში ყოველთვის იყო და დღესაცაა საკმაოდ ბევრი ქრისტიანი. ქრისტიანობა იაპონიაში XVI ს.-ში გაავრცელა ბასკმა მისიონერმა – ფრანცისკ ქსავერმა. მორწმუნეს შევიწროება დაუწყეს. XVII ს.-ის დასაწყისში 3.000-ზე მეტი იაპონელი ქრისტიანი აწამეს, დანარჩენები კი სატუსაღოებში გამოამწყვდიეს. დღეს 1,5 მლნ. ქრისტიანი, 117 მლნ. სინდოისტი და 90 მლნ. ბუდისტი ცხოვრობს იაპონიაში. მიუხედავად რწმენათა მრავალფეროვნებისა, იაპონელი ნაკლებად რელიგიურია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის ადამიანი. თანამედროვე იაპონელისთვის რელიგია არა იმდენად რწმენაა, არამედ საშუალებაა, წარმატებით გადაჭრას ესა თუ ის ცხოვრებისეული პრობლემა: ბავშვის დაბადება, სასკოლო გამოცდები, დღესასწაულების მოგვარება, ოჯახური პირობების გაუმჯობესება, ჯანმრთელობისთვის ზრუნვა და ა.შ.

VI-XIX ს.ს.-ის განმავლობაში იაპონელი მამაკაცების სიმაღლე 155 სმ-ს არ აჭარბებდა. ეს დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ იაპონურ საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა ბუდიზმის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკი იყო ვეგეტარიანელობაზე, როგორც სულის ხსნისა და რეინკარნაციის ყველაზე მნიშვნელოვან გზაზე. ხორცი საერთოდ ამოიღეს იაპონელთა რაციონიდან და შედეგმაც არ დააყოვნა: VI-XIX ს.ს.-ში ადამიანთა საშუალო სიმაღლემ 10 სმ-ით დაიკლო.

თანამედროვე იაპონიის ისტორია იწყება ახალგაზრდა სამურაების მიერ ტოგუკავას ძალაუფლების დამხობით. 1867 წელს საიმპერატორო ტახტი დაიკავა 15 წლის მიცუჰიტომ და თავის მეფობას მეიძი – განათლებული მმართველობა უწოდა. სწორედ ამ ე.წ. „მეიძის რევოლუციამ“ განსაზღვრა ქვეყნის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა. 1868 წელს გამოიცა დეკრეტი, რომელიც დღემდე ემსახურება საზოგადოებას. მასში არის მოწოდება, „მოდით, ვეძებოთ განათლება მთელ მსოფლიოში.“ მართალია, მეიძის დამკვიდრებით იაპონიამ გაიზიარა ევროპული ქვეყნების მიღწევები, მაგრამ დაიცვა ნაციონალური ტრადიციები. „იაპონური სული, ევროპული ცოდნა“ – მეიძის ეს თეზისი დღემდე აქტუალურია.

იაპონიაში ბავშვის აღზრდის ტრადიციას – იკუძი ჰქვია. ეს არის მთელი ფილოსოფია, რომელიც საუკუნეებს ითვლის და დღესაც წარმატებით მოქმედებს. ბავშვის დაბადების პირველივე წამებიც ტრადიციებთანაა დაკავშირებული. ექიმი ჭიპლარს საგანგებო ყუთში ათავსებს და ატანს დედას. ყუთზე ოქროსფერი ასოებით ტვიფრავენ დედა-შვილის სახელებს, ბავშვის დაბადების თარიღს.

5 წლის ასაკამდე იაპონელი ბავშვი ღმერთის რანგშია აყვანილი. მას არაფერს უკრძალავენ, არ უყვირიან. მოზარდისთვის არ არსებობს სიტყვები „არა“, „არ შეიძლება“, „ცუდად იქცევი“, „მაბრაზებ“... 5 წლამდე – „ხელმწიფე“ შვილი სრულად თავისუფალია ქმედებაში. იაპონიაში იშვიათად ნახავთ აცრემლებულ პატარას. უკვე 6 წლიდან 15 წლამდე ბავშვი ითვლება „მონად“ და ექცევა მკაცრი წესებისა და შეზღუდვების სისტემაში. დაუმორჩილებლობა გამორიცხულია. 15 წლიდან მოზარდი უფროსის თანასწორია“.

იაპონიაში ბავშვებს არასოდეს ადარებენ ერთმანეთს. გამზრდელი არ გამოყოფს საუკეთესოს. არასოდეს ეტყვის მშობლებს, რომ მათი შვილი ცუდად ხატავს ან უკეთ დარბის.

წლის თვეების სახელწოდებები იაპონურში არ არის – თითოეული თვე დანომრილია (იანვარი – პირველი, თებერვალი – მეორე და ა.შ.). სასწავლო წელი იაპონიაში იწყება მეოთხე თვეს – ანუ, 1 აპრილს; მისაღები

*** – ტოკუგავა საგვარეულო ქვეყანას 265 წელი მართავდა.**

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში იწყება 1 თვეს – ანუ, იანვარში.

არაერთ წესს, რომელიც მოქმედებს იაპონურ სკოლებში, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. კერძოდ, სკოლებში არ ჰყავთ დამლაგებლები – შენობასა და ეზოს ალაგებენ თვითონ მოსწავლეები. გოგონებს სასტიკად ეკრძალებათ მაკიაჟი, საყურის ტარება, თმის შეღებვა, მობილურის ტარება. დისციპლინის დარღვევად ითვლება მოსწავლეებს შორის ე.წ. რომანი – „შეყვარებულები“ ისჯებიან.

იანვრის მეორე ორშაბათს, როგორც წესი, აღნიშნავენ ნაციონალურ დღესასწაულს – „სრულწლოვანების დღეს“. ამ დღეს მთელი ქვეყანა ზეიმობს. მუნიციპალიტეტები ეპატიჟებიან 20-20 წლის გოგონებსა და ბიჭუნებს, სადღესასწაულოდ მორთულთ. მათ უკვე უფლება აქვთ, დაქორწინდნენ, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა...

ტოკიო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოში; 6 წლის ბავშვიც კი მშობლების გარეშე მგზავრობს საზოგადოებრივ ტრანსპორტში; ქვეყანაში პრაქტიკულად არც ქურდობაა; მიუღებელია ქუჩის ვაჭრობა; ვერ ნახავთ მათხოვარს.

იაპონიაში შვილად აყვანილი ბავშვების 98% მამრობითი სქესისაა. თუ ბიზნესმენს ოჯახში ვაჟი არ ჰყავს, ის აუცილებლად მიმართავს შვილად აყვანის პროცედურას (იაპონიაში შეიძლება, შვილად სრულწლოვანი ადამიანიც აიყვანო).

იაპონელი ძალიან ახალგაზრდა იწყებს სამსახურს და, როგორც წესი, იქ რჩება მთელი ცხოვრება – ფირმას ის პენსიონერი ტოვებს. მუშაკი სამსახურში მოდის ნახევარი საათით ადრე და 3-4 საათით გვიან მიდის. 15-18 საათიანი სამუშაო დღე იაპონიაში ჩვეულებრივად ითვლება. სამსახურში ჩაძინება ჩვეულებრივი მოვლენაა – ეს ნიშნავს, რომ ბევრი იმუშავე, დაიღალე. თანამშრომელთა სიკვდილიანობის რიცხვით იაპონია მსოფლიოში პირველ ადგილზეა – ამ ფსიქოლოგიური დაავადებით წლის მანძილზე 15.000 იაპონელი კვდება. შვებულება კვირაზე მეტი ითვლება ცუდ ტონად.

განსაკუთრებული ადათია საახალწლო ნობათების მირთმევასთან ერთად კეთილი სურვილებით სავსე ბარათების გაგზავნა. ერთ-ერთ ახალ წელს იაპონიაში დაიგზავნა 4,77 მილიარდი ბარათი – ანუ, დაახლოებით 40 ბარათი ერთ მამაკაცზე, ქალსა და მოზარდზე.

ყველასთვის ცნობილია, რომ იაპონელები ძალზე სტუმართმოყვარე და თავაზიანი ხალხია. ოჯახში სტუმრობისას მისალმების სავალდებულო რიტუალია დიასახლისის მიერ ღიმილით წარმოთქმული სიტყვები: „გთხოვთ, მობრძანდეთ!“ როგორც წესი, ყველა იხდის ფეხსაცმელს და იცვამს ოთახის რბილ ფლოსტებს – სურიპებს. მკრეხელობად ითვლება იატაკზე დაფენილ ტატამზე* ფეხსაცმელებით დადგომა (ფეხსაცმელებს იხდიან საავადმყოფოში, რესტორანსა და ოფისში შესვლის დროსაც).

ხელის ჩამორთმევა არაა მიღებული. მას ცვლის თავის დაკვრა. ამასთან, „მეორე მხარემ“ ეს იგივე თავაზითა და რაოდენობით უნდა გააკეთოს. რაიმე თხოვნაზე კატეგორიული უარის თქმა მაშინაც, როცა ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მიღებული არაა. იაპონელთა მუდმივი ტრადიციული ღიმილი ხშირად აბნევს უცხოელს. იაპონიაში ტაბუდადებულია მოსაუბრესთან ახლოს დგომა, თვალებში ყურება, ჟესტიკულაცია. იაპონელისთვის მიუღებელია ტყუილი.

ქვეყნის ჩრდილოეთში ყველა ქალაქში თბება ტროტუარები. ქუჩები არასოდეს იყინება.

ქუჩებში ხშირად შეხვდებით ქოლგიან დიდ ლარნაკებს. როცა იწყება წვიმა, იაპონელი პირველივე ლარნაკიდან იღებს ქოლგას და როცა გამოიდარებს, ქოლგას აბრუნებს მეორე შემხვედრ ლარნაკში.

იაპონიის საავადმყოფოებში არაა აღნიშნული პალატა და სართული ციფრით „4“. ეს რიცხვი ჰგავს სიკვდილის აღმნიშვნელ იაპონურ იეროგლიფს.

რაიმეს მისათითებლად იაპონელი იყენებს არა ე.წ. „საჩვენებელ თითს“, არამედ შუა თითს.

იაპონიაში თეფშები იყოფა ქალისა და მამაკაცის თეფშებად. სამაგიდო საგნებიდან ამოღებულია კოვზი და ჩანგალი. სუპებსაც კი სვამენ. საერთო მაგიდასთან სასმელს ჭიქებში ასხამს ყველაზე ახალგაზრდა (პირველად უსხამს უხუცესს); იმ ახალგაზრდას მერე უხუცესი უვსებს ბოკალს.

ფუგუ თევზის სახეობაა, რომლის მომზადებას სულ ცოტა, 11-წლიანი მუდმივი ტრენინგი სჭირდება. ეს მომწამვლელი თევზია და არასწორად მომზადებისას ადამიანს კლავს. შეფები გამოცდის ჩაბარებისას პირველი დეგუსტატორები არიან.

ხილი და ბოსტნეული ძალიან ძვირია, იმიტომ, რომ ის ძირითადად შემოაქვთ ევროპიდან, ყველაზე ძვირია ნესვი – 1 ცალი ღირს 300 დოლარამდე.

თემატური რესტორნები, მკვეთრი სპეციფიკური აქსესუარებით, მრავლადაა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ არსად შეგხვდებათ მათი ისეთი მრავალფეროვნება, როგორც იაპონიაში. არის მთლიანად ავტომატიზირებული რესტორანი ოფიციანტის გარეშე (მათ ცვლიან რობოტები). რესტორან „თვითმფრინავში“, ხომალდის ინტერიერით,

* – იატაკზე დასაფენი იაპონური ჭილოფი.

გემსახურებიან ოფიციანტები, სტიუარდესასა და პილოტის ფორმებში. რესტორან „თანამედროვე ტუალეტში“ კლიენტები სკამების ნაცვლად სხედან უნიტაზებზე; ციხე-რესტორან „ალკატრასში“ მოსულ კლიენტს კარებშივე ადებენ ხელ-ბორკილს და აცილებენ კამერაში; დაცვისფორმიან ოფიციანტს იძახებენ კარის გისოსებზე ხელჯოხის ძლიერი დარტყმებით; რესტორანში პერიოდულად ისმის სირენის გამაყრუებელი ხმები.

იაპონიაში, ლამის, აკრძალულია, იყო გასუქებული (სუმოისტების გარდა). ყოველწლიურად მოსახლეობას უტარდება სპეციალური სკრინინგი – უზომავენ წელს, წონიან. თუ ზომები დარღვეულია, უწევენ სპეციალურ სამედიცინო დახმარებას.

საშუალოდ სიცოცხლის ხანგრძლივობა ძალზე მაღალია. იაპონია მსოფლიოში უხუცესი ადამიანების სიმრავლითაც გამოირჩევა. 75.000-ზე მეტი ადამიანია 100 წელზე მეტი ხნის. ასეთი მაჩვენებელი გასუფთავებული ეკოლოგიით, ბალანსირებული კვებითა (ძირითადად, ხილი, ბრინჯი და თევზის პროდუქტები) და მაღალგანვითარებული სამედიცინო მომსახურებით აიხსნება.

იაპონური კონსტიტუციის თანახმად, იაპონიას ეკრძალება ჰყავდეს თავისი არმია და მონაწილეობა მიიღოს ომებში (ეს ფუნქციური უფლება აშშ-მ იტვირთა). ნარკოტიკებისათვის სვამენ ციხეში, თუნდაც, ის იაპონელმა გამოიყენოს უცხოეთში და ამის შესახებ შეიტყონ სამართალდამცავებმა. პოლიციელი არაკორუმპირებულია; მას „ვერ მოისყიდი“. ერთი უცნაურობაც: თუ ბავშვისთვის დარქმეული სახელი ნეგატიური ენერგეტიკისაა ან ორაზროვანი მნიშვნელობისა, შეიძლება, აღმოჩნდე გისოსებს მიღმა.

დღევანდელი მონარქის ოფიციალურ რეზიდენციას წარმოადგენს იმპერატორის სასახლე, რომელიც მწყობრში ჩადგა 1869 წელს. მისი დიდი ნაწილი დაინგრა II მსოფლიო ომის დროს, დაბომბვისას. აღდგენითი სამუშაოები დასრულდა 1968 წელს. ფართო საზოგადოებისთვის სასახლის ბაღი წელიწადში იღება ორჯერ: იმპერატორის დაბადების დღეს და 2 იანვარს.

იაპონური ცივილიზაცია ერთ-ერთი სპეციფიკური, პარადოქსული და საინტერესოა მსოფლიო ცივილიზაციათა შორის.

"ფუკუშიმას“ გმირებს - "მსოფლიო ნობელი“

წელიწადში იაპონიაში ფიქსირდება 1.500- მდე მიწისძვრა (ყოველ ხუთ წუთში ერთხელ). იაპონია სეისმურ ზონაში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონად ითვლება.

ყველას ჯერგად გვახსოვს 2011 წლის მარტში იაპონიაში განვითარებული საზარელი მოვლენები, რომელმაც შეძრა თითოეული ჩვენგანი და მთელი მსოფლიო დიდი საფრთხის წინაშე დააყენა.

11 მარტს იაპონიის ჩრდილოეთით მომხდარ მიწისძვრას (8,9 बალის) ცუნამი მოჰყვა; დაღუპულთა რაოდენობამ ათასებს გადააჭარბა. 90.000-მდე ადამიანი დაიკარგა. ცუნამმა შთანთქა ქალაქ სენდაის მთელი საცხოვრებელი ტვარტალი, დაიწვა მეტალურგიული კომბინატი, ნავთობგადასამამუშავებელი ქარხანა, მთლიანად დაიტბორა საერთაშორისო აეროპორტი, პორტი. დაიკარგა 4 სამგზავრო მატარებელი, მგზავრებით სავსე რამდენიმე გემი...

12 მარტს მიწისძვრა (7-बालიანი) განმეორდა. დედამიწის ღერძი დაახლოებით 15 სანტიმეტრით გადაიხარა... სტიქიურმა მოვლენებმა იმ წელს იაპონიას 350 მილიარდიანი ზარალი მიაყენა.

"მოსახლეობა უსახლკაროდ და უელექტროდ დარჩა. იაპონელი ხალხი მომლიმარი სახით იდგა კილომეტრიან რიგში, რომ თყრილებზე განლაგებული საკვები აეღო. ისიც მახსოვს, გაოგნებული ვუყურებდი, როგორ იღებდნენ მხოლოდ თითო ნაჭერ პურსა და ვაშლს, თუმცა შეეძლოთ, მეტი აეღოთ; მათ ხომ არავინ აკონტროლებდა", - დაწერს იმ ტრაგიკული დღეების თვითმხილველი თეა ფირცხალავა.

და ყველაზე მთავარი, რაც დაფიქსირდა: ატომურ ელექტროსადგურ "ფუკუშიმა 1-ზე" მოხდა აფეთქება. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ელექტროსადგური შეიძლებოდა კაცობრიობის აღსასრულის მთავარი მიზეზი გამხდარიყო.

მაგრამ მოხდა უფრო მოულოდნელიც: გამოჩნდა იაპონელთა 200 კაცისანი ჯგუფი, რომელმაც ითავა "ფუკუშიმას" გაუვნებელყოფა. მათ პირობითად "ფუკუშიმა-50" უწოდეს, რადგან ერთმანეთს პერიოდულად 50 კაცი ენაცვლებოდა, სიმბოლურად კი - "50 კამიკაძე". ამ 200 ადამიანიდან ყველა 70 წლიზე მეტი ხნის იყო.

თითოეულს ჰყავდა ოჯახი, შვილები. მათ იცოდნენ, რომ იქ რადიაციის დონე ძალიან მაღალი იყო, რომ გარდაუვალი სიკვდილის პირისპირ იყვნენ და ახლობლებს ველარასოდეს დაუბრუნდებოდნენ. მაინც შევიდნენ "ფუკუშიმაში" და შეუდგნენ კაცობრიობის გადარჩენისთვის უდიდეს მისიას. პერიოდულად ემესიჯებოდნენ (თუ ეთხოვებოდნენ) ოჯახის წევრებს.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნაოტა კანმა თქვა მაშინ: "თქვენ ხართ უკანასკნელი იმედი ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოსი. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამის გაკეთება".

"ფუკუშიმას" გმირებმა სიკვდილთან ერთად შეუძლებელი შეძლეს: მათ იხსნეს სამყარო და თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე. მათი ხსოვნის უკვდავყოფაა გაუვნებელყოფილი ელექტროსადგური.

"ფუკუშიმას" დირექტორმა მთელ მსოფლიოს ამცნო გმირების გვარები: "მათ ეკუთვნით ყველაფერი, რაც კი მსოფლიოს გადარჩენას ნიშნავს - მსოფლიო ნობელი!"

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, საბჭოთა იმპერიის დაშლისა და ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის დაწყების აქტიურ ფაზაში, აფხაზეთს, იქ შექმნილი ხთული გეოპოლიტიკური ვითარების გამო, განსაკუთრებული მისია დაეკისრა.

ისტორიის დოქტორი, არაერთი ისტორიულ-პუბლიცისტური კრებულისა და მეცნიერული თხზულების ავტორი ვახტანგ ჭანია, ვის პუბლიკაციასაც ამჯერად გაეცნობა მკითხველი, სოხუმსა და აფხაზეთის ხეგიონებში საგანგებო დავალებით ჩასული ეროვნული მოძრაობის თავკაცთა არამარტო კეთილი მასპინძელი იყო. სოხუმელ თანამებრძოლებთან ერთად მან მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული ფურცლები აკინძა ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან, აკაკი ბაქრაძესთან სიახლოვით, უთიერთობით, საერთო საქმისადმი დამოკიდებულებით. ეს სოხუმელთა სახელოვანი წარსულის ნაწილია, რაც თითოეულს ეამაყება.

"ქართული გვარ-სახელები ისტორიულ აფხაზეთში", - მოიგი პუბლიკაციაა, რომელიც ვახტანგ ჭანიამ მოგვანოდა. სათაურშივე გამოკვეთილია თემის აქტუალობა.

ქართული გვარ-სახელები ისტორიულ აფხაზეთში

«აფხაზთა» სამეფოს დინასტია

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲜᲘᲐ

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად ქართველთა ეთნიკური მკვიდრობის დამადასტურებელია:

1. „აფხაზთა“ სამეფოს (შემდგომში აფხაზეთის სამთავროს) მეფეების, მთავრების, ფეოდალური საგვარეულოს ქართული წარმომავლობა;
2. აფხაზეთის კათალიკოსთა ქართული წარმომავლობა (X-XVII ს.ს.);
3. ისტორიულ აფხაზეთში მოღვაწე კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა ქართული წარმომავლობა.

VIII ს.-ის 80-იან წლებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფო „აფხაზთა“ სამეფო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მეფე „აფხაზთა“ – ლეონ II. მისი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ პირდაპირი წყაროები არ მოგვეპოვება. „აფხაზთა“ სამეფო დინასტიის – ლეონიდების ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს არა მარტო მათი პროქართული ორიენტაციის პოლიტიკურ-კულტურული და საეკლესიო საქმიანობა, არამედ სხვა ფაქტორებიც:

1. აფხაზური ფოლკლორი საერთოდ არ იცნობს მეფე ლეონ II-ს, ლეონიდების სამეფო დინასტიას. მისთვის უცხოა ტერმინები „აფხაზთა“ სამეფო, მეფე „აფხაზთა“, რაც ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ ისტორიულ ტერმინებს „აფხაზი“, მეფე „აფხაზთა“ საერთო არაფერი აქვს თანამედროვე აფსუა-აფხაზებთან;

ბიჭვინთის მონასტერი.
ფრანგი მოგზაურის – დებუა დე მონპერეს ალბომიდან. XIX ს.-ის 30-იანი წლების ნახატი

2. XIII ს.-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდან არეველცის მოსაზრებით, „აფხაზთა“ მეფეები ვახტანგ გორგასლის შთამომავლები არიან. X ს.-ის სომეხი ისტორიკოსები იოანე დრასხანაკერტელი და ფსევდო შაპუხ ბაგრატუნი აფხაზთა მეფეს კონსტანტინე III-ეს მოიხსენიებენ „ეგრისის მეფედ“, აგრეთვე, „ლაზთა მეფედ“.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი „აფხაზთა“ მეფის კონსტანტინე III-ის თანამედროვე იყო და იცნობდა მას პირადად, რაც მის ინფორმაციას ფრიად სარწმუნოს ხდის. და კიდევ ერთი: იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში 17-ჯერ არის ნახსენები „აფხაზთა“ სამეფო“, როგორც ეგრისის (ე.ი. მეგრელების) ქვეყანა, ეგერები (ე.ი. მეგრელები) და ეგერთა მეფეები (ე.ი. მეგრელთა მეფეები) და

მოქვის ოთხთავის ერთ-ერთი მინიატურა

არც ერთხელ არ არის მითითებული ის, როგორც „აფხაზთა“ სამეფო ან როგორც მეფე „აფხაზთა“-ს სამკვიდრო.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ისტორიულ აფხაზეთში იცნობს ქართული წარმოშობის მხოლოდ და მხოლოდ სამ სუფთა ფეოდალურ საგვარეულო დინასტიას: ლეონიდებს, შავლიანებსა და შარვაშიძეებს.

868 წელს „აფხაზთა“ მეფის გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ „აფხაზთა“ სამეფოს ტახტი დროებით ხელში ჩაიგდეს აფხაზეთის ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებმა – იოანე და ადარნასე შავლიანებმა. შავლიანების დინასტია 20 წლის განმავლობაში მართავდა „აფხაზთა“ სამეფოს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა“-ში ვკითხულობთ: მეფე თამარმა უმაღლესი რანგის მოხელეთა დანიშვნის დროს „უბოძა... ჩუხჩარხობა (მეჯინიბეთუხუცესობა) მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარხისასა“. მეფე თამარმა, ასევე, განამწესა ცხუმის ერისთავად ოთაღო შარვაშიძე: „...და ოთაღო შარვაშეისძე – ცხუმის ერისთავად“.

XIV ს.-ის ქართული საისტორიო წყარო „ჟამთააღმწერელი“ იხსენიებს ვინმე დარდინ შარვაშიძეს: „...და განაჩინა მხედართა თავად შარვაშისძე აფხაზი, სახელით დარდინ...“

არანაირი აფსუა-აფხაზური წარმოშობის ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს ძველი ქართული საისტორიო მწერლობა არ იცნობს (V-XVII ს.ს.).

აფხაზეთის კათალიკოსთა და კუღტუჰის მოღვაწეთა ეთნიკური წარმომავლობა

XVIII ს.-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრებით, აფხაზეთის სამეფო ეკლესიურად სწორედ ლეონ II-ის დროს გამოეყო კონსტანტინოპოლის სამწყსოს: „ამისგანვე საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითვე ბერძენთათა“. „მატიანე საქართველოსაჲ“-ს მიხედვით, ტაო-კლარჯეთის მფლობელის ბაგრატ I-ის უშუალო მხარდაჭერით აფხაზეთის ეკლესიამ დამოუკიდებლობის გზაზე გადადგა ისტორიული ნაბიჯი: „ამან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ“ (ანუ 830 წელს).

სამწუხაროდ, ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა არ შემოგვინახა ცნობები აფხაზეთის კათალიკოსთა ეთნიკური წარმოშობის შესახებ. მაგრამ იგივე წყაროებში ვკითხულობთ მოქვისა და ბედიის ეპისკოპოსების (XI-XVII ს.ს.-ის 70-იან წლებამდე) გვარ-სახელებს.

ისინი წარმოშობით ყველანი ქართველები არიან: გრიგოლ მაგნისძე, ლუკა ოძროძელი, ფილიპე ჩხეტიძე, ანდრია საყვარელიძე, სვიმონ გულაბერისძე, ნიკოლოზ გონგლიბაისძე, მიქაელ გონგლიბაისძე, სოფრონ გონგლიბაისძე, ანტონ ჟვანისძე, კვირილე ჟვანისძე, ნიკოლოზ მხეიძე, გაბრიელ ჩიქოვანი და ა.შ.

ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი – აფხაზეთის კათალიკოსი. იტალიელი მოგზაურის ქრისტეფორე კასტელის ნახატი. XVII ს.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (1455 წ.), 1470-1474 წ.წ.-ის შუა პერიოდში, დაარსდა აფხაზეთის ავტოკეფალური საკათალიკოსო. ამ

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

ხნიდან მოყოლებული **1670 წლამდე აფხაზეთის საკათალიკოსო რეზიდენცია ბიჭვინთაში იყო და ყველა კათალიკოსი ეროვნებით მხოლოდ ქართველი იყო: მალაქია აბაშიძე, ევდემონ I ჩხეტიძე, ექვთიმე I საყვარელიძე, მალაქია II გურიელი, ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი.**

როგორც ვხედავთ, VIII-XVII ს.ს.-ის 70-იან წლამდე აფხაზეთის საკათალიკოსო თავისი რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით იყო ქართული სახელმწიფოს ორგანული, განუყოფელი ნაწილი.

ამ პერიოდში აფხაზეთში მოღვაწეობდა ქართული წარმოშობის ბევრი გამოჩენილი ხუროთმოძღვარი, კალიგრაფი, მხატვარი, ჰიმნოგრაფი. ასე, მაგალითად, **ილორის ტაძრის (XI ს.) მშენებლები იყვნენ მღვდელი გიორგი ქოჩოლავა და ადგილობრივი ფეოდალი გიორგი გურგენისძე.**

სოფელ ანუხვაში (გუდაუთის რაიონი) XI ს.-ის ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობა მიუღია ადგილობრივ ფეოდალს გიორგი ბასილის ძესა და მის ძმებს.

დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი (X ს.) „აფხაზთა“ სამეფოს მკვიდრი იყო. კონსტანტინე III-ის – „აფხაზთა“ მეფის დაკვეთით ქართულ ენაზე დაიწერა „აფხაზეთის“ მეფეთა დივანი (ანუ, ნუსხა), რომელიც წარმოადგენს „აფხაზ“ მეფეთა VIII-X ს.ს.-ის მატიანეს.

1300 წ. მოქვის ტაძარში შეიქმნა ხუცურით გადაწერილი 152 მინიატურით მდიდრულად დასურათებული ოთხთავი. კალიგრაფი და მხატვარი იყო ქართველი ბერი ეფრემი, ბედიის ტაძრისა კი (XI ს.) ხუროთმოძღვარი სიმონ გალატოზუხუცესი. **მოქვის ტაძრის (X ს.) მშენებლებად იხსენიებიან გრიგოლ და მიქაელ მაგძნისძეები. XIII ს.-ის მიწურულს საქართველოს მეფემ კონსტანტინე დავით ნარინის ძემ აღადგინა ბედიის ტაძარი, რომლის ქტიტორები არიან ნიკოლოზ და სოფრონ ბედიელები.**

იერუსალიმის ჯვრის ეკლესიაში შოთა რუსთაველის პორტრეტის გვერდით, სვეტის მეორე მხარეს, მოთავსებული იყო გრიგოლ დრანდელის (დრანდის ეპისკოპოსის) სურათი, რომელსაც ჰქონდა მინაწერი: **„ამისა დამხატავსა პატარაძესა დრანდელ მთავარეპისკოპოსს... და მისთა დედმამათა შეუნდევნ ღმერთმან, ამინ“.**

როგორც ვხედავთ, XIII ს.-ის აფხაზეთში გავრცელებული ქართული გვარი იყო პატარასძე, იგივე, პატარიძე, პატარაია.

XI ს.-ის შუა ხანებში იერუსალიმის ჯვრის ეკლესიაში მოხვდა ხელნაწერი „ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა მართაჲსი“. ეს ხელნაწერი 1065 წელს ჯვრის მონასტრისთვის შემოუწირავს ვინმე გიორგი აფხაზს: **„ესე წმინდისა მართაჲს ცხოვრებაჲ გიორგი მიწიწივაჲს ძემან აფხაზმან შემოიტანა ანტიოქიით იერუსალიმს მონასტრისა ჯუარისათვის...“**

ეს ხელნაწერი უტყუარი საბუთია იმისა, რომ XI ს.-ში ტერმინი „აფხაზი“ ნიშნავდა არა ეთნიკურ აფსუა-აფხაზს, არამედ ისტორიული აფხაზეთის მკვიდრს.

როგორც ვხედავთ, XI ს.-ის აფხაზეთში გავრცელებული იყო გვარი მიწიწივაჲსძე (თანამედროვე წივწივაძე).

ქართული ისტორიული წყაროები აშკარად ცხადყოფენ, რომ VIII-XVII ს.ს.-ში აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა ეროვნებით მხოლოდ ქართველი იყო და მათ შორის არ ერია არც ერთი აფსუა-აფხაზური წარმოშობის გვარ-სახელი (ყოველ შემთხვევაში, წყარო სხვა ინფორმაციას არ გვაწვდის).

ეროსი მანჯგალაძე

ერთხელაც ეროსი მანჯგალაძემ მისთვის ჩვეული ოინით „თავი დაამახსოვრა“ თეატრის ორკესტრის დირიჟორს, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ისიც „დაემუქრა“, კაცი არ ვიყო, სამაგიერო თუ არ გადაგიხადოო.

ეს დღეც დადგა (XX ს.-ის 80-იანი წლები).

თამაშდებოდა სპექტაკლი „პეპე“. იქ იყო სცენა, სადაც აღა არუთინა (მანჯგალაძე) ცეკვავს. გაისმა მუსიკა და ეროსიც აცეკვდა. უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ ორკესტრი საცეკვაო მელოდიას ჩვეულზე სამჯერ სწრაფად ასრულებდა.

ეროსიმ, რომელიც იმ დროს 60-ს იყო მიტანებული, ჯერ არაფერი შეიმჩნია. ცეკვავს, ხვითქი გადასდის, მუსიკა კი უფრო და უფრო „ხურდება“.

მსახიობი ყველაფერს მიხვდა და როცა მეტი უკვე „ველარ გაქაჩა“, ქანცგაწყვეტილმა ჩასძახა თავის გამამწარებელს:

– გეყოფა, შე ოხერო, მეტი აღარ შემიძლია!

ვიღას ახსოვდა სპექტაკლი – მაყურებელი, ორკესტრანტები და სცენაზე მყოფი მსახიობები ერთად ხარხარებდნენ.

ეითხეო

ალექსანდრე ქართველი
(ქართველიშვილი)

ეს იყო ამერიკაში. ერთ-ერთი ქართველი მკვლევარი ესწრებოდა საავიაციო გამოფენას. როდესაც მან ქართველი ემიგრანტის, ამერიკული და მსოფლიო ავიაციის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ნოვატორის, ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილის – 1896-1974 წ.წ.) თვითმფრინავთან მდგარ დამთვალიერებელს ავიატორის ქართველობის ამბავი მოუყვა, ამერიკელს თვალები გაუფართოვდა:

– ეს თვითმფრინავი ყოველთვის განსაკუთრებულად მომწონდა, თუმცა ბოლომდე გულს მიღრღნიდა ის ამბავი, რომ იგი რუსის გაკეთებული იყო... დღეს თითქოს დარდი მომეხსნა!

ეითხეო

1951 წელს პრინსტონის (აშშ) უნივერსიტეტში ალბერტ აინშტაინის 72-წლის იუბილეზე ფოტორეპორტიორმა არტურ სასმა იუბილარს ფოტოს გადაღების დროს გაღიმება სთხოვა. პასუხად, ნობელის პრემიის ლაურეატმა აბეზარ ჟურნალისტს ენა გამოუყო.

ორიგინალური ფოტო აინშტაინმა თავის მეგობარს, წარმატებულ ტელერადიო ჟურნალისტს – ჰოვარდ სმიტს უსახსოვრა წარწერით:

„თქვენ მოგეწონებათ ეს ჟესტი. მისი ადრესატია მთელი მსოფლიო! პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მოქალაქე აძლევს თავს უფლებას, ასეთი რამ გაბედოს.

თქვენი ერთგული და მადლიერი ა. აინშტაინი“.

მეცნიერის ასე ცნობილი ავტოგრაფიანი ფოტო დღეს 74 324 დოლარადაა შეფასებული.



ალბერტ აინშტაინი

თორნიკე მსხილაძე

"ემბრიონი რომ ვიყო, არ დავიბადებოდი" (ეკლესიასტეს პერიფრაზი: ყველაზე ბედნიერი ის არის, ვინც საერთოდ არ დაიბადა); როდესაც ასეთ წინადადებას ამოიკითხავ ტექსტში, უნებურად შეკრთები და უფრო დაინტერესდები ავტორის შემოქმედებით. თორნიკე მსხილაძის პროზა მართლაც გამორჩეულია. შორიდან ვაკვირდებით პერსონაჟებს, თვალს ვადევნებთ მათ ოჯახებს, სულიერ ძვრებს და თითქოს მათთან ბუნებრივ სიახლოვესაც ვგრძნობთ. ჩვენში იბადება სიბრალული და თანაგრძნობა. "ნეტა, რა ოცნებები, რა სიხარული აქვს ბავშვობიდან ბრმა ადამიანს?" - ავტორთან ერთად ვკითხულობთ ჩვენც.

კიდევ უფრო გული ამაჩუყებლადაა აღნერილი, როგორ მისტირის დედას (თუნდაც, არაბიოლოგიურს) სულიერად დაავადებული ადამიანი; დედას, რომელიც მისთვის, აღბათ, ყველაზე საიმედო თავშესაფარი იყო. ავადმყოფს არ ამშვიდებს სიტყვები: "ახლა დედაშენი უკეთეს ადგილასაა". ჭკვიანსაც გაანბილებს მისი პასუხი (სულით გლახაკნი ხომ გულით გრძნობენ ჭეშმარიტებას!): "დედაჩემისთვის საუკეთესო ადგილი ჩემი სახლია!"

თორნიკე მსხილაძის მოთხრობები კითხვებითაა სავსე. ახალგაზრდა შემოქმედი ეძებს საკუთარ თავს და ეძებს ღმერთს, რომელსაც ყველაფერზე აქვს პასუხი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებიბს შემდეგ თორნიკემ სწავლა განაგრძო იტალიაში: ამჟამად ის პაერიმოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტია. დაასრულა ტრევიზოს (ვენეცია) კომპიუტერული პროგრამებისა და ანიმაციის სასწავლებელიც.

როგორც თორნიკე ამბობს, იტალიაში ცხოვრობს ღრუბებით.

ვარ... ვ
...

თორნიკე მსხილაძე

მე დავდივარ ნადირივით, როცა ნადირობა ნებადართულია. ტყვიაგაუმტარი სული არ არსებობს. ბოროტების, უიმედობის, უაზრობის, სისულელეების, არდაფიქრების ტყვიები ბევრია. და ეს ტყვიები ძალიან ნელია, ნელ-ნელა აღწევს სულში. ზოგ ადამიანში რჩება, ზოგი იშორებს მას. ვიდრე ბავშვები ვართ, ეს ტყვიები ჩვენი სულებისგან შორსაა, ძალიან შორს, მომავალში. მერე შიში გვაქვს ამ ტყვიების, მერე გვეპარება. და რამდენი ჩვენგანი ებრძვის მათ? არამარტო თქვენ, მეც ბევრი ტყვია მაქვს სულში; ბევრის მეშინია, ბევრის დენთის სუნს ვგრძნობ. ყველაზე დიდი დამცავი რწმენაა, ყველაზე დიდი სიყვარული. ისე უნდა ირწმუნო, რომ ცხვირიდან სისხლი წამოგვიდეს. ორი შერწყმული სული ტყვიებს უფრო ადვილად იგერიებს.

ცეცხლი რომ ვიყო, მსოფლიოს დავწვავდი, ქარი რომ ვიყო, გავფანტავდი. ღმერთი რომ ვიყო, ერთ დღეში შევქმნიდი. იუდა რომ ვიყო, თავის მოკვლამდე ღმერთთან ვილაპარაკებდი, ვინ და რატომ იმსახურებს ასეთ ცხოვრებას. ემბრიონი ვიყო, არ დავიბადებოდი. სიკვდილი ვიყო, მამაჩემთან წავიდოდი, სიცოცხლე ვიყო, მამაჩემს ვაჩუქებდი. კუბო რომ ვიყო, მარტო არ დაგტოვებდით და დაგელაპარაკებოდით სიკვდილის მერე. სიყვარული ვიყო, ყველას დაგცინებდით... დროის მანქანა ვიყო, ადამს ვაშლის ჩაკბეჩამდე ხელიდან გამოვგლეჯდი ვაშლს. ოცნებები ვიყო, ჩემს თავს გაჩუქებდი. სიცილი ვიყო, ერთ ადამიანთან ვიქნებოდი, სიცილად გავავსებდი და თან ყოველ დღე დავინახავდი სარკეში. მაგრამ ჩემი თავი მინდა ვიყო, თორემ ამდენ საიდუმლოსა და ტკივილში ჩავიხრჩვი, ჩავიფერფლე.

როგორი თოვლი მოდის სიბრმავეში...

რამდენიმე თაობა ამ ოჯახისა ბრმა იყო. ოდესღაც ახლო ნათესავები ერთმანეთზე დაქორწინებულან. მოხდა სისხლის აღრევა – თაობიდან თაობამდე მათმა შვილებმა, ძმებმა, ბიძაშვილებმა, ერთმანეთში აღრეულებმა, გაიყვეს სარეცელი. დროთა განმავლობაში ამ ოჯახებში უფრო მეტი ბრმა ბავშვი იბადებოდა. ბოლო თაობაში კი ყველა ბრმა იყო; სულ ყველა – ბებია, ბაბუა, მშობლები, მათი შვილები. ეს იყო ბრმების დიდი ოჯახი.

ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრს ხშირად ვხედავდი ხოლმე. ყოველ დილით სადღაც მიდიოდა და ერთსა და იმავე დროს უკან, სახლში ბრუნდებოდა. მითხრეს, სადღაც მუშაობსო. ყოველთვის გვერდით ჰყავდა ძაღლი, თოკშებმული, იმის შიშით, არ გამექცესო. ავტობუსიდან ჩამოვიდოდა და მერე ძაღლთან ერთად ფეხით

აგრძელებდა გზას.

იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა; ტყე ერთიანად გადაიბარდნა, ირმებიც გამოჩნდნენ. მე თბილად ვიჯექი ოთახში, ბუხართან. ამ დროს ფანჯრიდან დავინახე ის ადამიანი. ავტობუსიდან ჩამოსვლის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, გზას დაადგა სახლისკენ. ნელი, მძიმე ნაბიჯებით.

დაღლილია? ნეტა, რა ოცნებები, რა სიხარული აქვს ბავშვობიდან ბრმა ადამიანს? როგორ და რას ხედავს? როგორია მისთვის სიყვარული? როგორია მისთვის მზე? ცა? როგორი თოვლი მოდის მის სიბრმავეში?

ვგრძნობდი, რაღაც აფორიაქებდა, ასევდიანებდა. კარგად ვაკვირდებოდი; დროდადრო ჩერდებოდა; ვხედავდი სახეზე შფოთიან ხაზებსაც, სურვილსაც, გარემო, რომელსაც ვერ აღიქვამდა, ეგრძნო.

ასე ნელა არასდროს გაუგრძელებია გზა, ისიც, ზამთარში, სიცივეში. უცებ გაჩერდა, ბრმა თვალები დააშტერა, ამოისუნთქა ღრმად და ძაღლს საყელური მოხსნა... გაუშვა.

თვითონ კი გაშეშდა, ცოცხალ ძეგლად გადაიქცა. ძეგლებიც ხომ ვერ ხედავენ. მაგრამ მას გული უძგერდა. ის ცოცხალი იყო. უკან თოვლიანი ტყე-ირმები, ძალიან შორს კიდევ ზღვა ჩანდა. ის იდგა და ძაღლისკენ შეტრიალებული (მისი აზრით), ვინ იცის, რომელ შორეთში იყურებოდა. და ასე უსმენდა ძაღლის ხმას, ყეფის, მისი მოძრაობის, ნაბიჯების ხმას.

უცებ ვერ მივხვდი, იმ დროს რა განცდებს, რა წუთებს შეეპყრო იგი. ნაკვთებს უფრო კარგად დავაკვირდი (თვალებში მაინც ვერაფერს ამოიკითხავდი). ის უსმენდა ძაღლის თავისუფლების ხმებს და ამით იყო მშვიდი, ბედს მინდობილი. ის ბედნიერი იყო სმენით, თავისი გამბედაობით, თავისი გადაწყვეტილებით, სიმარტოვით.

რატომ? მუდამ თოკშებმული ოთხფეხა მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. ახლა კი ახარებდა ბრმას თავისი მეგობრის აწყვეტილი თავისუფლება.

იდგა და არ ინძრეოდა, თითქოს არც სუნთქავდა. როგორ მომინდა მასთან მისვლა და რაღაცის თქმა ძაღლზე, იმ წუთებში მასავით თავისუფალსა და ლაღზე. თუმცა, რა მნიშვნელობა ჰქონდა რამეს?!

დავღონდი, გავოცდი. მეც თვალები დავხუჭე, რომ განმეცადა სიბრმავე, სრულიად სიშავე. ხო, მეც მასთან ერთად ვუსმენდი ძაღლს, თოვლს, ცხენებს, ბუხარს, ტყეს. დიდი ხნის მერე გავახილე თვალები. ბრმა წასულიყო ძაღლთან ერთად. ოდნავ მოჩანდნენ გზის ბოლოს.

მე კი უკვე თოვლს ვხედავდი, მზეს და ზღვასაც.

ვინც გუგულის ბუდეს გადაუფრინა

არ მახსოვს, როდესმე თუ მინახავს ნახევარი საუკუნის ხელა ადამიანის და, მით უფრო, მამაკაცის ტირილი. ის ტიროდა, გულიდან ამოსული მონატრების ცრემლებით ტიროდა. მიზეზი ვკითხე, რაღაც ჩაიჩურჩულა. მერე ისევ ჩავეკითხე. იცრემლებოდა. მე მეგონა, მომეჩვენა. მართლა ტიროდა. კითხვა გავუმეორე და, დედა მენატრებაო, მითხრა.

ის თავის არაბიოლოგიურ დედას მისტიროდა. პატარაობაშივე სხვებმა აიყვანეს გასაზრდელად. თავიდან არაფერი ეტყობოდა, მაგრამ სკოლის ასაკიდან თანდათან შეერყა ჯანმრთელობა, შეურაცხადი გახდა, ყველას ერჩოდა, სცემდა, ყველა შეიძულა, ვერ ამშვიდებდნენ. მერე წამლები დაუნიშნეს. აგრესიული უკვე აღარ იყო, მაგრამ გონებრივად ვერ განვითარდა. ლაპარაკი გაუჭირდა და ჩამოყალიბდა არასრულფასოვან ადამიანად.

თავი ოდნავ გადახრილი აქვს, წვერი ალაგ-ალაგ მუდამ გაუპარსავი, ცოტა კუზიც, ხშირად დიდი, წამოზრდილი ფრჩხილებიც. მარტო ვერ იჭრის; როცა მისი შორეული ახლობლები მოიცლიან, ისინი თუ მოაჭრიან.

ადრინდელი მარტო თვალები შერჩა. ჩახედვის გარეშეც შეგეშინდებოდა მათი. თურმე ისეთ წამლებზე დასვეს, რომ მან მართლა გადაუფრინა გუგულის ბუდეს.

მაგრამ ის ადრინდელი, ყველას მიმართ სიძულვილით სავსე თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. თავისთვის ტიროდა. ჯანმრთელი ადამიანივით, სირცხვილის გარეშე, ცრემლების შეუმშრალებლად, განმარტოების გარეშე. გულწრფელად და ტკივილით ქვითინებდა. მისტიროდა დედას, რომელიც მოენატრა და დიდი, შემაშინებელი თვალები ამიტომაც ჰქონდა წყლიანი.

ტირილის დროს ერთმა იქვე მყოფმა უთხრა, ახლა შენი დედა უკეთეს ადგილასაა და იქიდან გიყურებსო. დედაჩემისთვის საუკეთესო ადგილი ჩემი სახლია, ცრემლიანი თვალებით უპასუხა. შემდეგ ცოტა მოშორებით დადგა და ისევ გააგრძელა ტირილი, აქეთ-იქით სიარული; თითქოს გამოსავალს ეძებდა, როგორ დაებრუნებინა დედა, როგორ ეშველა მონატრებისთვის.

მოგვიახლოვდა. წყალი მთხოვა, ერთი ჭიქა. მივეცი და მერე წავიდა. არაფერი მითქვამს. რომელი სიტყვებით, როგორი ხმით გამომეხატა ის, რასაც განვიცდიდი.

ისე, იმ ასაკში გონებრივად განუვითარებელი დიდი ბავშვი მისტირის მარტო საკუთარ დედას თუ სხვებიც ასე იქცევიან? ჩუმად და თავისთვის?..

უქარო, უმზეო, უხალხო ზღვასთან

ხის სუნი. ხის სუნზე ფიქრდარჩენილმა, განწყობებდაკარგულმა იგრძნო სითბო და ზღვის სითბილსილურჯე. „მიპასუხე, ზღვაო, კიდევ იქნები თბილლურჯი? მიპასუხეთ, თვალებო, კიდევ იქნებით ეგეთი თბილმწვანენი?“

თბილმწვანე თვალები..? თუ დაიჯერებდა ადამიანი, რომ აქამდე არ იცოდა მისი თვალების ფერი? სითბო იცოდა, ხედავდა, ეფერებოდა, ესათუთებოდა. სითბო, რომელიც სანთელივით ოდნავ და მკრთალად მოჩანდა. ის ადამიანი ცოტას ავლენდა და ბევრს მალავდა. განიცადო, გადაიტანო და მაინც არ დაიღვენთო, სანთელანთებული დარჩე და დამალო ეს ყველაფერი? მას არ ესმოდა, როგორ ხდება ეს და იმასაც ვერ იგებდა, რატომ? დაიღვენთო და ისევ აალდე, ყველაფერი, ძალიან ყველაფერი მიიღო, განიცადო, გადაიტანო, მერე მთელი ადამიანური სისაძაგლით დაახრჩო ვნება და ისევ გქონდეს სურვილი აალების, ხომ?

მაგრამ ძმები გრიმები ხომ მოკვდნენ? ხომ, მაგრამ იქნებ, მე ფეხებზე მკიდია ძმები გრიმები?

„გესმით თუ არა, რომ მთელი წარსული – გუშინდელი დღის ჩათვლით – არსებითად გაუქმებულია!!!“ დაწვით აწმყოსათვის გადარჩენილი წარსული! აწმყოს სიხარულით აწმყოს სიხარულგავსება უკვე აალებადია. დაწვით სიკვდილისათვის მიტანილი ყვავილები! ოცნებებით დახუჭული ახალგაზრდა თვალები ანაცვლეთ ნატანჯნაოჭებიან, დახუჭულ თვალებს.

იქნებ, ეს უკეთესია; იქნებ, ეს იმედები არ გაუცრუვდა მას, იმედები იმის აღმოჩენის, რომ თვითონაც ისეთივე საზიზღარია, როგორც ყველა. როგორ უნდა ძოვონ ერთად სისათუთემ, სიხარულმა და სისაძაგლემ, ღორობამ, უაზრობამ; ყოფნა-არყოფნა საკითხავი აღარ არის.

ზღვა არ პასუხობდა ცხოვრებასავით. მის თბილმწვანე თვალებს კი უკვე ვეღარ ნახავდა.

„ბრიყვო, შენ არ ძალგიძს ფარისევლობა, თვალთმაქცობას ვერასოდეს ისწავლი!“ მან ეს თვითონ, ჩემი შეხსენების გარეშე, ისედაც იცოდა.

იდგა უქარო, უმზეო, უხალხო ზღვასთან. გაახსენდა და იმეორებდა მისი დაბადების დღის რიცხვს, მის ნომრებს; რამდენიმეჯერ, ერთხელ, მერე ორჯერ, მერე სამჯერ, ათჯერ, ასჯერ. შეიძლება, თურმე, ამოსუნთქვა და ჩასუნთქვა რაიმე „სა-ხე-ლის“ გარეშე. მაგრამ ცრემლი „სახელის“ გარეშე არ არსებობს (როგორც ის ამბობდა); „სახელები“ კი არსებობენ ცრემლების გარეშე.

არა, ის არ ტიროდა. ეს ისე გაახსენდა, სახელთან დაკავშირებით, სხვების სისულელეების, თავისი სისულელეების გამოც. ქვიშა ფეხებს უფარავდა; უცებ დაჯდა, დაწვა, გათბილდა, ცოტა დასველდა „სილურჯით“. ემბრიონის მიღებულმა ფორმამ უფრო გაათბო და უფრო შეკრა. შერცხვა. მაგრამ მალევე გაცივდა, ცივთეთრი გახდა, გადაიქცა ემბრიონად, რომელიც მეორეჯერ აღარ დაიბადებოდა.

ჰოლივუდის ერთადერთი ქართველი ვარსკვლავი და ცნობილი ბალერინა თამარ თუმანიშვილი (თუმანოვა) 100 წლისაა

თამარ თუმანიშვილი

თამარ თუმანიშვილის საბალეტო და სამსახიობო ჯიჯეჯა XX ს.-ის პირველ ნახევარში დაინყო. ეს ულამაზესი ქალბატონი, საბჭოთაში "პეჩსონა ნონ-გრატად" მიჩნეული, ოოგორც თვითონ ამბობდა, ქართველი თავადი იყო.

მსახიობისთვის საგანგებოდ იქმნებოდა წარმოდგენები. მას იწვევდნენ ფილმებში და ალმეთებდნენ მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები. თამარი ცეკვავდა პარიზის "გრანდ ოპერაში", მილანის "ლა სკალაში", ნიუ-იორკის "მეტროპოლიტენ ოპერაში", ლონდონის სამეფო ოპერის თეატრში...

თანდაყოლილი არისტოკრატიზმისა და ცეკვის უზადო ნიჭის წყალობით თანამედროვე ეპოქას ის ერთ-ერთ უდიდეს ბალერინად მოევლინა. თამარ თუმანიშვილის ცხოვრება მუდამ მითების საბურველში იყო გახვეული.

თამარის დედა – ევგენია თუმანიშვილი ხელთუბნელ თავად თუმანიშვილთა შთამომავალი იყო. სრულიად ახალგაზრდა ცოლად გაჰყვა სამხედრო ექიმს – კონსტანტინე ზახაროვს. რევოლუციასა და ბოლშევიკებს გარიდებული, ევგენიას მეუღლე შვილის დაბადებამდე ეპიდემიას ემსხვერპლა. მარტო დარჩენილი ევგენია თუმანიშვილი რუსეთის გავლით ჩინეთში, ემიგრაციაში გაემგზავრა. პატარა თამარი დაიბადა შანხაისკენ მიმავალ გზაზე, 1919 წლის 2 მარტს, მატარებელში. ახალშობილს დედამ თავისი გვარი – თუმანიშვილი მისცა.

მშობიარეს ერთ-ერთმა მგზავრმა, პოლონური წარმოშობის მეფის არმიის ოფიცერმა, პროფესიით ინჟინერმა – ვლადიმერ ხასიდოვიჩმა უპატრონა. მოგვიანებით ის ევგენიას მეორე მეუღლე და თამარის მამინაცვალი გახდა.

თუმანიშვილები ჩინეთში დიდხანს არ გაჩერებულან – მცირე ხანს ეგვიპტეში იყვნენ, იქიდან კი საცხოვრებლად გადავიდნენ პარიზში, სადაც ქართული და რუსული ემიგრაციის უკვე საკმაოდ დიდ ნაწილს მოეყარა თავი. ეს იყო 1926 წელს.

თამარ თუმანიშვილი

თამარის საბალეტო კარიერა დაიწყო სწორედ პარიზში. ქალაქში, სადაც, ასევე, ემიგრანტს, მარინის თეატრის ლეგენდარულ ბალერინას – ოლგა პრეობრაჟენსკაიას ბალეტის სკოლა ჰქონდა გახსნილი.

„ის პირველ და სიცოცხლის ბოლომდე ჩემს მარადიულ მასწავლებელად დარჩა. მე მასზე დაუსრულებლად ვფიქრობ; და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩემი უსაყვარლესი პედაგოგია; იმის გამო, რომ ის ჩემი დაუვიწყარი მეგობარია“, – იტყვის მოგვიანებით უკვე, ასევე, ცნობილი ბალერინა – თამარ თუმანიშვილი.

პატარა თამარი შეჰყავთ პრეობრაჟენსკაიას „მადამ პრეოს“ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ევგენია და ვლადიმერი ცეკვის გაკვეთილების გადასახადს დიდი წვალებით აგროვებენ. ევგენია ოჯახს უთოობით არჩენს, მისი მეუღლე კი პარიზის ქუჩებში „ტაქსაობს“. მალე ყველაფერი სასიკეთოდ იცვლება...

ქორეოგრაფი ოლგა პრეობრაჟენსკაია ნიჭიერი ბავშვის მშობლებისგან ფულის აღებაზე უარს აცხადებს – პედაგოგი იმთავითვე ამჩნევს ქართველი გოგონას უზარმაზარ საცეკვაო პოტენციალს.

მარცხნიდან: ნატალია რიაბუშინსკაია, თამარ თუმანიშვილი და ირინა ბარონოვა

მომავალი ქართველი ბალერინას დებიუტი პარიზის ოპერაში 9 წლის ასაკში შედგა, როცა მან მონაწილეობა მიიღო საბავშვო ბალეტში „ჟანას მარაო“.

პრეობრაჟენსკაიას სტუდიაში სწავლისას გოგონათი მოიხიბლა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დიაგილევის საბალეტო დასის დამწყები ქორეოგრაფი გიორგი ბალანჩივაძეც (ჯორჯ ბალანჩინი).

ეს იყო 1929 წელს, როცა ერთმანეთს დაუკავშირდა ორი დიდი ხელოვანი. ბალანჩინმა სტუდიის სამი დამწყები ბალერინისგან შექმნა ტრიო – „ბეიბი ბალერინა“ (ირინა ბარონოვა, ნატალია რიაბუშინსკაია, თამარ თუმანიშვილი).

უკვე ინგლისში მცხოვრები ირინა ბარონოვა იხსენებდა:

„მე თამარი მახსოვს ადრეული ბავშვობიდან. ძალიან ვმეგობრობდით. პრეობრაჟენსკაიასთან 8 წელი დავყავით და მისი წყალობით დავეუფლეთ შესანიშნავ ტექნიკას. გოგონა-საოცრებამ სტუდიის საჩვენებელი კონცერტის დროს იმთავითვე მოხიბლა ლეგენდარული ანა პავლოვაც; მან მიიწვია კიდეც თამარი თავის ერთ-ერთ გალა-წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

ყველას აოცებდა მისი არტისტული და ტექნიკური მონაცემები. 8 წლისა ის უკვე 32 ფუეტეს* უნაკლოდ ასრულებდა და ამავე ასაკში პარიზის გრანდ-ოპერის სცენაზეც ცეკვავდა. 10 წლის თამარს სცენის უკვე აღარ ეშინოდა. პროფესიული კარიერა გოგონამ 13 წლიდან დაიწყო“.

მოგვიანებით თამარი საბალეტო სამყაროს ქართველი ლეგენდის, იგივე, ჯორჯ ბალანჩინის მთავარი მუზაა. მის სპექტაკლებში პრიმა ბალერინას მუდამ გამორჩეული ადგილი უჭირავს. მასვე უძღვნის მაესტრო პარიზის სცენაზე დადგმულ ბალეტებს: „ბროლის სასახლე“, „კოტილიონი“, „სილფიდები“.

1939 წელს ჯორჯ ბალანჩინის რჩევით 20 წლის ბალერინა დედასთან ერთად საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

ის შეუდარებელი იყო „ჟიზელსა“ და „მომაკვდავ გედში“. შერაცხეს კიდეც „ევროპის კლასიკური ბალეტის გამორჩეულ მოცეკვავედ“, ბალეტის „შავ მარგალიტად“. მის წინაშე მსოფლიოს წამყვანი თეატრების კარი გაიღო; თამარზე იწერებოდა ყველგან, სადაც ბალეტს ახსენებდნენ.

თამარ თუმანიშვილი და გრეგორი პეკი

ბალეტიდან თამარ თუმანიშვილმა კინოში გადაინაცვლა და თანამედროვეობისა და ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი გახდა. კინოეკრანებზე გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა და 30 წლის განმავლობაში არაერთი კინოგმირი განასახიერა.

„ცეკვის დარად, მე ყოველთვის თანაბრად მაინტერესებდა თეატრი, მუსიკა და დრამა. მარტო ცეკვა არაა საკმარისი; ამით შორს ვერ წახვალ; ბალერინა მთლიანობაში უნდა აღიქვამდეს ხელოვნებას, ცალკეულ დარგებს“, – აღნიშნა თამარ თუმანიშვილმა ინტერვიუში ჟურნალ „ამერიკელი მოცეკვავის“ ფურცლებზე.

კინოდებიუტი შედგა 1944 წელს,

* – ფეხის ქნევითი მოძრაობა, რომელიც ეხმარება ბალერინას ბრუნვა-ტრიალში,

როცა თამარ თუმანიშვილის პარტნიორი იყო ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გრეგორი პეკი. ლეგენდარული ბალერინის, ანა პავლოვას მეუღლის, ანდრეს მოთხოვნით, თამარმა ანა პავლოვას როლი შეასრულა ფილმში „ანა პავლოვა“. ცნობილი რეჟისორის – ალფრედ ჰიჩკოკის ფილმი „დახეული ფარდა“, სადაც თამარის პარტნიორები იყვნენ პოლ ნიუმენი და ჯული ენდრიუსი, ბერლინის VI საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე „ოქროს დათვის“ პრიზიორი გახდა... იყო სხვა ბევრი კინოფილმიც.

თამარ თუმანიშვილს, იშვიათი სილამაზით გამორჩეულს, ნაწარმოებებს უძღვნიდნენ მისით მოხიბლული ცნობილი კომპოზიტორები, მხატვრები, პოეტები; მეგობრობდა ალექსანდრე გლაზუნოვთან, სერგეი პროკოფიევთან, პაბლო პიკასოსთან, მარკ შაგალთან, ჟან კოკტოსთან... თამარის პორტრეტები აქვთ დახატული ალექსანდრე შარვაშიძეს, ქრისტიან ბერარს, ხუან მიროს, ვლადიმერ ტრეტჩეკოვს... ის იყო მხატვარ ჟოზეფ კორნელის შემოქმედების მუზა. დიდ ხელოვანთა მიერ შექმნილი პორტრეტები და სასიყვარულო ბარათები დაცულია აშშ-ს ცნობილ მუზეუმებში.

ცნობილი ფაქტია: თამარს ცოლობა სთხოვა ჯორჯ ბალანჩინმაც, მაგრამ დედა – ევგენია, ასაკობრივი სხვაობის გამო, წინააღმდეგი იყო ამ ქორწინების.

თამარ თუმანიშვილის კოლეგა თამარ გრიგორიევა-სიდორენკო იხსენებდა:

„თამარი ცეკვავდა ვირტუოზულად, უზადო პირუეტებით*. მისნაირ ბრუნვას ვერავინ ასრულებდა და, ამასთან, სცენაზე იყო უჩვეულოდ ლამაზი. სპექტაკლის მსვლელობისას დედამისი იდგა ყოველთვის კულისებში და ამხნევებდა ქალიშვილს. თამარისთვის დედამისი იყო არამარტო გრიმიორი, ჩამცმელი და პარიკმახერი, იყო მისი ერთგული და მფარველი ანგელოზი. „ასეთ დედებს ჩვენ ადრე არ ვიცნობდით“, ამბობდნენ მასზე. დედა იმ ადგილსაც კი არჩევდა სცენაზე, სადაც მას პირუეტი უნდა შეესრულებინა. როდესაც თამარი დაქორწინდა, დედა ასე ამბობდა: „ჩვენ გავთხოვდით“. ქალიშვილს საქორწინო მოგზაურობაშიც კი გაჰყვა.

თამარ თუმანიშვილი

თამარ თუმანიშვილს საქართველო არასოდეს უნახავს, მაგრამ დედამ მას მშობლიური ქვეყნისა და კუთხის სიყვარული შთააგონა, აზიარა ტრადიციებს. მხოლოდ საქართველოს შეეძლო, ეშვა დედაჩემისთანა ქალი, – ამბობდა თურმე თამარი. ევგენია თუმანიშვილს, ქალიშვილის დიდ მეგობარსა და მესაიდუმლეს, კალიფორნიის ქართული საზოგადოების აქტიურ წევრს შეკრებებზე ხშირად ეცვა თურმე ქართული ნაციონალური კაბა.

1994 წელს, ნინო ანანიაშვილი ამერიკაში გასტროლების დროს მოინახულა 75 წლის თამარმა და უძვირფასესი გულსაბნევი უსახსოვრა; ეს სამკაული ანა პავლოვას მისთვის, როგორც საუკეთესო შეგირდისათვის, უჩუქებია, ანას კი ის ოლგა პრეობრაჟენსკაიასგან მიუღია. მხოლოდ ამ ერთადერთი ნივთით მოახერხა თამარ თუმანიშვილმა სამშობლოში დაბრუნება – ბოლო წლებამდე პრაქტიკულად უცნობი იყო „პერსონა ნონ-გრატად“ მიჩნეული ხელოვანის შემოქმედება, მისი სახელი.

კარიერისგან განსხვავებით, წარმატებული არ ყოფილა ქართველი ვარსკვლავის პირადი ცხოვრება. ერთადერთი ქორწინებიდან მემკვიდრე არ დარჩენია (მსახიობი მეუღლეს – რეჟისორს, კეისი რობინსონს 10-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაეყარა).

სიცოცხლის ბოლო წლებში მძიმედ ავადმყოფობდა. მისი ჯანმრთელობა განსაკუთრებით დედის სიკვდილმა შეარყია. უკანასკნელი სიტყვები, რომელიც თამარმა მისი მომვლელისგან გაიგო, ასეთი იყო: „ნუ გეშინია, თამარ, შენ დედა გელოდება“. როგორც პუბლიცისტი ალექსანდრა ვასილიევა თავის წიგნში დაწერს თუმანიშვილზე, „თამარი, ალბათ, „იქაც“ ცეკვავს, დედა კი მას ელოდება კულისებში“.

თამარ თუმანიშვილი გარდაიცვალა 1996 წლის 29 მაისს, 77 წლის ასაკში. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ქალაქ სანტა-მონიკაში, საკუთარ სახლში, ბევერლი ჰილზზე.

ანდერძის თანახმად, მისი ქონების დიდი ნაწილი მოხმარდა ქველმოქმედებას და გადაეცა ერთ-ერთ საბალეტო სკოლას. ინგლისელი მწერალი და ბალეტის კრიტიკოსი კოტონი დაწერს:

„ბალეტის ისტორიაში თამარი ულამაზესი მოვლენა იყო!“

*** – ცალი ფეხით თითის წვერებზე სრული შემოტრიალება.**

ნეპალის სახელმწიფო დროშა

სამხრეთ აზიაში ინდოეთის აღმოსავლეთ საზღვართან მდებარე ნეპალის სახელმწიფო დროშა ერთადერთია მსოფლიოს სახელმწიფო დროშებიდან, რომელსაც მართკუთხედის ფორმა არ აქვს.

ბოლო ჟამს უფლის ტრაპეზზე ღვინო ივერიიდან მოვა, – ამბობდა წმინდა სერაფიმე საროველი, მოძღვარი, რომელიც მრავალჯერ შესწევია ქართველთ. ისიც დაიბარა, არასოდეს ეომოთ ივერიას, რადგან ეს ღვთისმშობელთან ომის ტოლფასია, რუსეთისთვის კი დამანგრეველი იქნება. მოვა დრო და ივერია ისე გაბრწყინდება, როგორც დავით აღმაშენებლის ეპოქაში იყოო.

ჯავახეთში თურქეთიდან დევნილი სომხობა რუსმა გენერალმა – ივანე პასკევიჩმა ჩამოასახლა. მას 1828 წელს ერევნის გრაფის წოდებაც მიენიჭა.

თბილისის ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა დამოუკიდებლობის გამოცხადების წელსვე, 1918 წელს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. დიდი ივანე ჯავახიშვილი თავისივე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში რომ შედიოდა, ქუდს მოიხდიდა და თავდახრილი აივლიდა საფეხურებს.

ცნობილი მხატვრული ფილმი „რეკორდი“ რეჟისორმა გურამ პატარაიამ 1974 წელს ჩეხი მწერლის – კარელ ჩაპეკის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაიღო.

ქართულ წერილობით წყაროებში ამჟამინდელ ლაზთა წინაპრები მოიხსენიებიან „მეგრელთა“ სახელითაც. მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ჩამოსვლისა და ქადაგების აღწერისას აღნიშნავს: „მოიწია... ქალაქად ტრაპეზუნდად*, რომელ იგი შინ არს სოფელსა მეგრელთასა“.

სორბონის უნივერსიტეტის პროფესორს, ცნობილ აღმოსავლეთმცოდნესა და არქეოლოგს კოლინიონს საუბრის დროს უთქვამს მიხეილ ჯავახიშვილისთვის: „ქართველი ხალხი სადმე სხვაგან რომ დასახლებულიყო და ნორმალურად განვითარებულიყო, ახლა 100 მილიონზე მეტი იქნებოდა. საუბედუროდ, მათ პატარა კუნძულს მეტად დიდი ზღვები ეპაექრებოდა“.

სიმართლეა, რომ ამბობენ, კატა სიბნელეშიც ხედავსო. მაგრამ, არც თუ სრული უსინათლობისას. და იცით თუ არა, რომ კატის თვალები შედგება სინათლისადმი მგრძნობიარე 200 მილიონი უჯრედისგან. ადამიანს ის მხოლოდ 130 აქვს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გაერომ კანადა ოცჯერ დაასახელა სიცოცხლისთვის საუკეთესო ქვეყნად.

„მონა ლიზა“.
ლეონარდო და ვინჩი

დორა მაარი XX ს.-ში ყველაზე განთქმული ესპანელი მხატვრის – პიკასოს საყვარელი და მუზა იყო. დორამ პიკასო მაშინ გაიცნო, როცა მას ცოლ-შვილი ჰყავდა. დორა მაარი სიცოცხლის ბოლომდე უფრთხილდებოდა ყველა იმ ნივთს, რომელსაც ოდესმე პიკასო შეხებია. მათი ურთიერთობა ქალისთვის ტრაგიკულად დასრულდა. იგი ღრმა დეპრესიამ შეიპყრო და ისინი ერთმანეთს დასცილდნენ. დორამ მთელი ცხოვრება მარტოობაში გაატარა. 90 წლისა სრულ სიღარიბეში გარდაიცვალა; ამ დროს კი, მას ჰქონდა 27 მილიონ დოლარად შეფასებული პიკასოს მიერ ნაჩუქარი ნახატების კოლექცია. არც ერთი არასდროს გაუყიდია.

იცით თუ არა, რომ, უმშვენიერეს „მონა ლიზას“ არ აქვს წარბები. ყველა დროის ყველაზე ცნობილი ნახატი – „ჯოკონდა“ საფრანგეთში თვითონ ლეონარდოს ჩაუტანია იტალიიდან. ნამუშევრით მოხიბლულ მეფე ფრანსუა I-ს მის შესაძენად 4 ათასი დუკატი გადაუხდია. იმ დღიდან სურათი საფრანგეთის სამეფო ოჯახის საკუთრება იყო, ვიდრე ნაპოლეონის ნებით იგი ახლადდაარსებულ ლუვრში გადაიტანეს (1793 წელს).

* – ქალაქი თურქეთში, შავი ზღვის სანაპიროზე.

ქეთი ჭიჭიბოშვილი

"მე, ქეთი ჭიჭიბოშვილი, დავიბადე 2002 წლის 1 აპრილს, ქალაქ თბილისში. ამჟამად ვარ თბილისის N87-ე საჯარო სკოლის 11 კლასის მოსწავლე, 17 წლის. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხოვრების გარდამავალ პერიოდს ვუახლოვდები, ჩემს პროფესიულ და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით არ მაქვს კონკრეტული აზრი. ერთი რამ ვიცი - მინდა, სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული სფეროში აღმოვაჩინო ჩემი თავი და, რაც მთავარია, არასდროს შეველიო იმას, რაც რამდენიმე წლის წინათ ჩემი მეგზური გახდა და რასაც წერა ჰქვია. ფურცელზე გადატანილი სიტყვებით მსურს, გავაღვიძო საკუთარ თავში ღრმად ჩაფლული საფიქრალი და ვაგრძნობინო ყველას, რომ იქ, სადაც სხვისი მსგავსი ხარ, შიში ნაკლებია, თავისუფლება კი თანმდევია იმ შიშისა და სიცივის, რომელიც მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს და "თბილი" ცალახიდან ამოგვიყვანს.

ერთადერთი გულითადი სურვილი, რომელიც გამაჩნია, ისაა, რომ მომავალში ჩემი ნაწერები იმ ფოთოლს ჰგავდეს, ხეს რომ აღამაზებს და იმ გასაოცარ ამბებს, რომლებიც ჩვენს იერარქიულ ბრუნავს და ვერ ვამჩნევთ".

ასე წარმოგვიდგინა საკუთარი თავი "იალქნის" ახალგაზრდა ავტორმა, რომლის ნაწარმოებს ჩვენი ჟურნალი პირველად ბეჭდავს (ქეთისთვისაც ეს დებიუტია). მისი სათქმელი ფიქრთა ამშლელია, ის სატკივარია, რომელიც მუდამ იზიდავს მოაზროვნე მკითხველს. გაფრთხილებაა, გავერიდოთ უადამიანო და უსიყვარულო სივრცეს, გვავდეთ მხოლოდ საკუთარ თავს და ჩავეჭიდოთ "იმედსა და ხმენას, რომელიც ასე გვჭირდება:. ეს მოცემულობა ქეთის პერსონაჟისთვის, რომელსაც უნდა მიენდო, რომელიც ცაძრამდე მიგიყვანს.

ორაც ორთულ კონსტრუქციას აყლია

ქეთი ჭიჭიბოშვილი

ნოემბრის შუა რიცხვებია. სუსხი გამეფებულა გარეთ. მატარებლის ბორბლები ჭრიალებს, ჭრიალებს, თუმცა უშედეგოდ და ჩემი გულის ცემას აჩქარებს. მატარებელი ჩერდება.

სიცივე თავის საცხოვრისს ჰპოვებს ჩვენს სახეებში. მატარებლის ფანჯრიდან ვიყურები. გარეთ ნისლია. სევდიანი და ძალიან ჩუმი ქარი მეჩურჩულება. თითქოს სმენადახშულ ადამიანებს ჩაგვძახის: „იბრძოლეეთ! იბრძოლეეთ!“ მატარებლის მემანქანე ხელებს განზე სწევს და გაცრეცილი სახის ნაკვთები თანდათან მეტყველი უხდება: ყურადღება, ყურადღება! შეფერხებაა! ამიტომაც გთხოვთ, იქონიოთ მოთმინება და როგორმე გაძლოთ სამი საათი, ვიდრე მატარებელი დაიძვრება.

და მე ვიწყებ ფიქრს: იქნებ, ჩვენსავით რამე აფერხებს ბათუმიდან გორში მიმავალ მატარებელს? კითხვაზე პასუხს არავინ მცემს.

ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, საფრანგეთიდან ჩემს სამშობლოში ვბრუნდები. უკვე 10 წელია, რაც მე და ჩემი ოჯახი იქ საცხოვრებლად გადავედით და მას აქეთ არ მინახავს ჩემი მიწა. მე ჩემს ქვეყანაში ვბრუნდები, განსხვავებით ჩემი ოჯახისა; და არათუ არსებობას, ცხოვრებას ვიწყებ იმედით; თუმცა ტანში მაჟრჟოლებს და მაციებს; აგონიაში მაგდებს თურქეთში გაგონილი ამბები, ვითომდა არაფრის მაქნის „მათხოვარ“ ქართველებზე და თითქოს ყველას ვადანაშაულებდე ამის გამო. ჩემში მოხდა სრული გადატრიალება, რომელიც არ მაშინებს. იმედს მაძლევს.

მატარებელში აცივდა. ამ ყველაფერს ხელით ვწერ ჩემს შავ დღიურში და სიცივე მატანს გონებაში, როდესაც სიტყვა-სიტყვით გადმოვცემ ჩემს არეულ ფიქრებს; არ ვიცი, მკითხველი როგორ აღიქვამს მას, ან როგორ გამკიცხავს, ვითომდა სამართლიანად; ჩვენ ხომ ყველაფრის უფლებას ვაძლევთ საკუთარ „ამაღლებულ თავებს“ და საზღვარს არაფერში ვუწესებთ. გადავწყვიტე, სანამ მატარებელი ამოძრავდებოდა და, შესაბამისად, სვლას განაგრძობდა, იქამდე ქალაქთან ახლოს არსებული სოფლები ფეხით შემომევლო და, როგორც ჟურნალისტსა და ფოტოგრაფს, ბევრი რამ თეთრ ქაღალდსა და კამერაზე აღმებეჭდა. ხელიც არაფერმა შემიშალა. ათი წლის შემდეგ პირველად ვიდექი ჩემს მიწაზე და ჩემში სიამაყეს დაედო ბინა.

ვხედავდი გაცრეცილ ცაზე მფრინავ ფრინველებსა და გაშიშვლებულ ხეებს, ფიქრების გარეშე დარჩენილ ადამიანებს რომ მაგონებდა. ულამაზესი ბუნება

იშლებოდა ჩემს წინ და ვხედავდი ერთმანეთში არეულ სევდიან ფერებსაც, რომლებსაც მწვანე, ტროპიკული ხეები ანათებდა და მეც მინათებდა გულს.

დასახლებაში შევდივარ და ვხედავ პირველივე სახლს, აგურით მოპირკეთებულს. წინ ვიწრო, გრძელ სკამზე ზის შუახნის მამაკაცი. მე მას ვუახლოვდები და გვერდით ვუჯდები.

– გამარჯობათ!

– გამარჯობა, შვილო!

– თქვენი სახელი, გვარი?

– იაგო თოფაძე.

– მოგესალმებით, ბატონო იაგო, კიდევ ერთხელ! მე ჟურნალისტი ვარ, ახლახან ჩამოვედი ჩემს სამშობლოში, საფრანგეთიდან დავბრუნდი.

– ევროპაში მოღვაწე შვილი ყოფილხარ, ჩემო კარგო. ااჰ, ფრანცია, ფრანცია! მახსოვს სენას მიმდებარე ნაპირი. ლამაზი ქალბატონები. მოღიმარი და მოჟრიამულე ბავშვები. ეჰ, კარგი იყო ახალგაზრდობა, მაშ!..

– ბატონო იაგო, თქვენ რა, საფრანგეთში ცხოვრობდით?

– არა, იქ მხოლოდ 3 წელი დავყავი. ვსწავლობდი. მაშ! მინდოდა, ევროპული განათლება მიმეღო. ბოლომდე ვერ დავძლიე, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია. არასდროს დაყარო ფარ-ხმალი და არ ჩააგო ხმალი ქარქაშში! ეს გახსოვდეს მუდამ!

ისეთი გახსნილი და აზრიანი ჩანდა ბატონი იაგო, გადავწყვიტე, ჩვენი საუბარი გამეგრძელებინა.

– მადლობა ასეთი კარგი რჩევისთვის. შეგიძლიათ, ორიოდე სიტყვა მითხრათ ჩვენს დღევანდელ ქვეყანაზე, რა ხდება, საით მივდივართ? სიბნელეა?! იქნებ, სინათლეს საიდანღაც მაინც ვხედავთ?!

– ეჰ, ჩემო შვილო, ცრემლი მადგება თვალზე, როცა ზღვას გავყურებ და ჩემს დედა-მიწას, ჩემს მშობელ აფხაზეთს ვიხსენებ. ძალიან მიმძიმს. თანდათან ის ჩვენთვის უცხო და შორეული ხდება და თითქოს იკარგება ჰორიზონტს მიღმა. განა რაიმეს ვაკეთებთ, რომ დაკარგული დავიბრუნოთ? არა, არა! ასე, სკამებზე ვსხედვართ და ვუცდით, მკვლელი დრო როდის შემოგვახვევს ყელზე გაყინულ ხელებს. პრობლემა რჩება პრობლემად და იგი გადაუჭრელია. შეუდარებელია ახალგაზრდა თაობის, თქვენი თაობის შემართება, ცოდნა; მაგრამ არ მიწყინო, ჩემო შვილო; რაღაც გვაკლია ყველას, ჩვენ, ის ერთი რაღაც, რამაც დიდი და რთული კონსტრუქცია უნდა შეავსოს; თორემ მის გარეშე რაა ჩვენი ყოფა, თუ არა ამ ვრცელ ზღვაში უბრალო კენჭების თვლა. ხალხი გაცივდა, სიყვარული ქრება, ჩვენ ყველას თვალებზე ლიბრი გვაქვს გადაკრული და ვერც ვამჩნევთ ერთმანეთის თვალებს. მაგრამ გაციებული მზერით კი შევყურებთ ერთურთს ხელებში. სად გაქრა სიყვარული? სად გაქრა მეგობრობა? სად გაქრა ერთგულება? თითქოსდა ბრმა თვალებით რაღაც არნახულის დანახვას ვლამობდეთ... ჩვენ მხოლოდ მაშინ ვკითხულობთ ერთმანეთს, როცა ამ სამყაროს სიმცირეს განვიცდით. ჰო, შეიძლება, თქვენ შემედავოთ და თქვათ: არა, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, ჩვენ მეგობრები ვართ და გაჭირვებაში არასდროს არავის ვტოვებთ; მაგრამ გულის სიღრმეში ყველანი ტყუით და ამით მხოლოდ ძლივსჩაძინებულ ღვარძლსა და ავხორცობას ვაღვიძებთ. სინამდვილეში ვინ ვართ ჩვენ, ადამიანები თუ უბრალო, მოკვდავი არსებები, უუნარო თევზებივით დინებას რომ

მივყვებით და სხვა მდინარის შესართავთან ახალი გამოწვევების გვეშინია? თავს ვიკლავთ და სად მივდივართ, კაცმაც კი არ იცის?! თანდათანობით ნათელი ხდება, რომ ჩვენთვის ის ოაზისი, რომლის მოლოდინიც გვქონდა, იხშობა და კვდება ჩვენს არსებობაში. და, აი, მაშინ ვიცვამთ გლოვის სამოსს და ვიწყებთ ცრემლის ღვრას. რა საბრალონი ვართ, რომ ყველაფრის დასასრულს ვხვდებით. ამ სიბნელეს, ახალი თაობის სახით, მზე ანათებს და გული სიხარულით მევსება, როცა თქვენს იმედიან თვალებს ვუყურებ. მხოლოდ თქვენით არსებობს ჩვენი ქვეყანა და მინდა, თქვენსავით ჩვენც მაქსიმალისტები ვიყოთ და მტრისათვის წარმოუდგენელს შევეჭიდოთ.

ვუყურებდი ბატონი იაგოს დანამულ თვალებს და ტანში

ჟრუანტელი მივლიდა. ვფიქრობდი, თუ როგორი განათლებული კაცი იყო ის და, თანაც, როგორი მართალი. თითქოს ღმერთმა საჩუქრად გამომიგზავნა იგი. რამდენიმე წუთით დუმილმა დაარღვია მისი ხმა და მეც უხმოდ შევყურებდი. რაღაც ძალამ მიბიძგა, ავმდგარიყავი და გადავხვეოდი ბატონ იაგო თოფაძეს, რომელმაც ესოდენ ამოუცნობი შეგრძნებებით ამავსო. ჩვენ უხმოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მზერიდან არ მცილდებოდა მისი დაკოჟრილი ხელები, რომელიც გვიან შევნიშნე.

დრო მქონდა. გადავწყვიტე, ზღვის სანაპიროთი და თოლიებით დავმტკბარიყავი, იმ თოლიებით, რომელთათვისაც, როგორც რიჩარდ ბახი* ამბობდა, ზღვარი არ არსებობს და შეუძლებელიც არაფერია. გაცრეცილი ცა დაჰყურებდა ლურჯ, აღელვებულ ზღვას და მის ზედაპირზე მოლივლივე, თოვლივით ქათქათა თოლიებს. ფიქრმა გამიტაცა და არც კალამს შეუსვენია.

უზარმაზარი მთის მწვერვალიდან ნისლი ჩვენამდე აღწევს. მალე ჰორიზონტს მიუახლოვდება და ეს გრძელი ხაზი ოკეანეში ჩაიძირება. სამი წამიც და ყველაფერი მორჩება. ერთი, ორი, სამი... დასრულდა. თქვენ არსებობა შეწყვიტეთ. თქვენ დაცურავთ და ფსკერს უახლოვდებით.

– ო, როგორ ცივა! – ვიტყვით, თუმცა ძალა ვერ შეგვაჩერებს და გვიბიძგებს ქვევით დაშვებისაკენ.

ჩვენ მშვიდად ვსხედვართ ჩვენსავე რბილ სავარძლებში და უჩუმრად ვაფრქვევთ ცრემლებს. ვხედავთ, როგორ ინგრევა სამყარო ერთი ხელის მოსმით, ყოველ წუთს, ყოველ წამს და ვფიქრობთ წარსულზე, თუ როგორი მშვენიერი იყო ის. ჩვენ ვერ შევაფასეთ ის მოვლენა, სანამ ჩვენსავე ფიქრის ტალღებში მას მოგონების სახელი არ დაერქვა და ნელ-ნელა ჩაძირვა არ დაიწყო. ჩვენ ვიტირეთ, კიდევ ერთხელ დავცალეთ თვალები მარილიანი წყლისგან.

სიჩუმე. უხმოობა. უადამიანობა. უღმერთობა. უმეგობრობა. უსიყვარულობა. სიბნელე. როდესაც ოკეანის ფსკერზე გართხმულ, მომაკვდავ თევზს დაემსგავსებით, ნუ შეშინდებით, გაცურეთ! არავინ იცის, მერამდენედ უნდა გვესროლოს სამყარომ თავბრუდამხვევი ტალღა და მერამდენედ უნდა გაგვიცრუოს მოლოდინი, განცდა, რასაც ჩვენში საუკუნო ადგილი უჭირავს. ჩვენ არ ვიცით წამიერი დროების ნამდვილი ღირებულება, სანამ ის გაუქრობელ და გამქრალ მოგონებად არ იქცევა. ვივიწყებთ იმას, რომ ჩვენსავე „მეებს“ თავად ვქმნით და საბოლოოდ მათ იდუმალებას ვუძღვნით და არა საკუთარ თავს.

* * *

მართალი იყო ბატონი იაგო – ჩვენ მთელი კონსტრუქციის ასაგებად იმედი გვაკლია, იმედი და რწმენა, რომელიც ასე გვჭირდება. მგონია, რომ ჩვენს ძარღვებში ჩქეფს თბილი სისხლი, რომელიც ყოველ ღამით გვეჩურჩულება და გვაფრთხილებს, რომ არ ვგავდეთ სხვებს. ის გვაფრთხილებს, რომ, როგორც მღვრიე წყალი, არ შევერიოთ წარღვნას.

ჩვენ უნდა დავბრუნდეთ ჩვენსავე სახლებში. იმიტომ, რომ სხვაგან ვიყავით ამდენ ხანს. უსასრულობა მგონია ეს ყველაფერი. ჩვენ ისე გვენატრება ის მშვენიერი ადგილი, სადაც გავიზარდეთ, რომ სამყაროს სიცილი გლოვის ხმად ჩაგვესმის. ჩვენი დაღლილი ყურებისთვის სიმღერაც ამაოა, სიცილიც ამაოა. სახლში უნდა დავბრუნდეთ, სახლში. იქ ავისმომასწავლებელი სიწყნარეა და სიყვარულით სავსე თბილი ხელები გვეხება დანაოჭებულ სახეზე. იქ გვხვდება ბნელი ოთახები, სადაც მზის სხივები მსუბუქად შემოდის და სადაც სინათლის შვილები ვხდებით. ჩვენ ვალდებულნი ვართ, მტვერში გახვეული სახეებით, სევდანარევი, ტკივილისა და სიმწრის გადამტანი თვალებით ფუჭი, უსასრულო, დამღლელი ბრძოლიდან უკან დავბრუნდეთ. არ არსებობს ისეთი საოცარი და მომნუსხველი ადგილი, როგორც იქ. ჩვენ უნდა დავბრუნდეთ სახლებში, ჩვენ ისევ უნდა დავბრუნდეთ სახლში. უნდა აღმოვაჩინოთ საკუთარ სულებში დამალული, იმ წამისთვის საჭირო ძალა და ვიგრძნობთ, როგორ თბილა ჩვენი სახლის ოთახებში, როგორ გაანათა დამალულმა სხივებმა უკუნითი.

ისტორიული სახლის ბინადარი

ადილე აბას-ოღლი. 2000 წ.

ადილე აბას-ოღლი - ცხაგიჯული ბედ-იღბლის აფხაზი ქალი, ჰომელმაც, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, ჰომ ნესტორ ლაჯობას ოჯახის წევრი იყო, ყოველნაირი გაჭირვება ინვნია - საბჭოობილეში უკანონოდ დამწყვდევა, წამება, ჰეპრესიები და ათეული წლის განმავლობაში "ხალხის მტრის" სახელით ცხოვრება; სიცოცხლეების მიუხედავად, ფიზიკურად გადარჩა, ძალა მოიკრიბა და, ჰაც უნახავს და დაიმახსოვრა, წიგნად შეკრა. მისმა მოგონებების კრებულებმა "ვეფ დავივიწყებ" და "ჩემი აფხაზეთი - ჩემი ბედისწერა" (მეოთხე შევსებული გამოცემა) მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. წიგნი გამოცემულია ჰუს�d, თურქულ, უნგრულ ენებზე.

98 წლის მხცოვანი ქალბატონი დღესაც კარგად გრძნობს თავს და მშობლიურ სოხუმში, ჩოჩუას ქუჩაზე მდებარე, მისი წინაპრის მიერ აშენებულ საგვარეულო სახლში, საკუთარ ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

ადილე აბას-ოღლი დაიბადა 1921წლის 23 აპრილს, ქ. სოხუმში.

ადილე აბას-ოღლი სწავლობდა აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, ჰომელიც წარჩინებით დაამთავრა. 1992 წლამდე მუშაობდა ფილოსოფიის კათედრაზე, უფროს ლაბორანტად.

აბას-ოღლების გვარი აფხაზეთში

ადილეს ბაბუა – იახია კერბოლაი აბას-ოღლი, სპარსელი ახალგაზრდა საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან XIX ს. 80-იან წლებში სავაჭრო გემით მოადგა სოხუმის სანაპიროს. იმდენად მოიხიბლა იქაურობით, რომ გადაწყვიტა, ამ უმშვენიერეს ქალაქში სამუდამოდ დამკვიდრებულიყო. მან ცოლად შეირთო ლამაზი ქალიშვილი, ოჩამჩირელი გიულფიდან კერვალიძე.

ასე დაიწყო აფხაზურ მიწაზე სპარსული ოჯახის ისტორია. შრომისმოყვარე, ფხიანი იახია XIX ს.-ს დასასრულსა და XX ს.-ის დასაწყისში აფხაზეთში ერთ-ერთი წამყვანი მშენებელი გახდა. საქმიანმა, გონიერმა ახალგაზრდამ ნოვოროსიისკი-ბათუმის ახალი გზატკეცილი გაიყვანა. ის, როგორც წარმატებული ბიზნესმენი, მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა. ძალიან მალე ქ.გაგრაში საუცხოო სახლი აიშენა. შემდგომ იქვე აგურის ქარხნის აგებასაც მიჰყო ხელი.

მოგვიანებით კი, ქ.სოხუმის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას – გეორგიევსკისა და ეკატერინენსკის ქუჩების გადაკვეთაზე, ზღვიდან არცთუ ისე შორს, საუცხოო ხედით, საიდანაც ჩერნიავსკის მთა ხელისგულივით მოჩანდა, მიწის ნაკვეთი შეიძინა.

1898 წელს იახია აბას-ოღლი აქ ორი ორსართულიანი სახლის მშენებლობას შეუდგა: ნაგებობებს ერთმანეთთან საერთო ტერასა აკავშირებდა და ორივე ეს შენობა ერთიანი ქალაქური სახლ-კარის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს ანსამბლი მეზობლად მდებარე ლამაზ სახლებს შორისას თავისი ორიგინალური არქიტექტურით გამოირჩეოდა. ორივე ნაგებობის ფასადი წითელი და თეთრი აგურებით იყო მოპირკეთებული, გაწყობილი კამარებითა და სვეტებით.

იახია კერბოლაი აბას-ოღლი

სახლების უკან მდიდრული ბაღი იყო მოშენებული, შორიახლო – საჯინიბო მოჩანდა. განცალკავებით მდგომი ნაგებობა მსახურებისთვის იყო განკუთვნილი. ძირითად სახლში აბას-ოღლის ოჯახი ცხოვრობდა, მეორე კი სტუმრად ჩამოსული მრავალრიცხოვანი ნათესაობისთვის იყო გათვალისწინებული. ორსართულიანი ნაგებობები არა მხოლოდ გარეგნულად, შიგნიდანაც ძალიან ორიგინალურად გამოიყურებოდა. ოთახების ჭერი და კედლები წელიწადის დროების ამსახველი გამოსახულებებით იყო მოხატული.

მახსოვს, რომ ბაბუას საძინებელი იყო ღია ცისფერი, სასადილო – მწვანე, კაბინეტი კი ნაძერწი ბუხრით – ატმისფერი, – იგონებს ადილე. ფორთოხლის პატარა ხეებიანი კასრებით გადაჭედილი ფართო ტერასისაკენ მიემართებოდა შემინული გალერეა, რომელსაც საჯალაბო ეკვროდა. ეს საკმაოდ კეთილმოწყობილი სახლი, წყალსადენითა და სხვა ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობებით აღჭურვილი, იმ დროისთვის იშვიათობა

ადილე აბას-ოღლი. 1936 წ.

იყო. ქვედა სართულზე სახაბაზო და გასტრონომიული მაღაზია იყო განთავსებული.

იახიასა და გიულფიდანს ოთხი შვილი ჰყავდათ: სამი ვაჟი და ერთადერთი ქალიშვილი – ნარგიზი. ბავშვების განათლებას დიდი ყურადღება ენიჭებოდა. ოჯახში საუბრობდნენ სპარსულ, აფხაზურ, ფრანგულ, გერმანულ და, რა თქმა უნდა, სოხუმის მრავალეროვანი მოსახლეობის სხვადასხვა ენაზე.

ადილე ოჯახის უფროსი ვაჟის – შაჰბასის ქალიშვილი იყო. სწორედ აქ, ბაბუის სახლში, გაატარა მან ბავშვობის უბედნიერესი წლები. ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, 15 წლის ასაკში, ის აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ნესტორ ლაკობას ცოლის ძმას – ჰამიდს (ემდის) მოუვიდა თვალში. ისინი მალე დაქორწინდნენ კიდეც. ულამაზესი ადილე ნესტორ ლაკობას ოჯახის წევრი გახდა.

გისოსებს მიღმა

სტალინი აფხაზეთში ხშირად ჩამოდიოდა. მოსწონდა, თუ როგორი პატივისცემით ხვდებოდა მას ნესტორ ლაკობას ოჯახი. საპატიო სტუმარს კერძებს ოჯახის დიასახლისი, სარია უმზადებდა.

ის არა მხოლოდ სილამაზით, გონიერებითაც გამოირჩეოდა. 15 წლის აჭარელმა გოგონამ თავისი ცხოვრება აფხაზეთის რევოლუციურ-გლეხური მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერს – ნესტორ ლაკობას სამუდამოდ დაუკავშირა. ბედნიერ წყვილს ერთადერთი ვაჟი – რაუფი ჰყავდათ.

1936 წლის დეკემბერში თბილისში საქმეებზე ჩამოსული ნესტორ ლაკობა მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ ის „ხალხის მტრად“ შერაცხეს. გაანადგურეს მთელი მისი საგვარეულო – მეუღლე, დედა, შვილი, ნათესავები, მათი შვილები...

30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა სარიას ოთხივე ძმა.

ორთაჭალის ციხეში ორი წლის განმავლობაში გამომწყვდეული ჰყავდათ ნესტორის ერთგული მეუღლე სარიაც. ჯალათებმა ის სულიერად ვერ გატეხეს და ნესტორზე აუგი ვერ ათქმევინეს. დაუძლურებული და ჯანმრთელობაშერყეული 35 წლის ახალგაზრდა ქალი ციხეში გარდაიცვალა.

ადილემ თავისი მეუღლე უკანასკნელად ციხის გისოსებს მიღმა იხილა. გთხოვ, თავი გადაირჩინე, – ამის თქმა-ღა მოასწრო ემდიმ.

ადილეს მამაც ციხეში იჯდა მაშინ და მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად დედამ ქალიშვილი სასწრაფოდ გააგზავნა მოსკოვში. მან დროებითი თავშესაფარი სოხუმში გაცნობილ სსრ კავშირის სახალხო არტისტთან, მოსკოვის სამხატვრო-აკადემიური თეატრის წამყვან მსახიობთან ანასტასია ზუევასთან ჰპოვა. ანასტასიამ შეიბრალა გოგონა და საკუთარი რისკის ფასად „სამშობლოს მოღალატის“ რძალს, 17 წლის ადილეს, ხან საკუთარ სახლში, ხანაც დის აგარაკზე მალავდა. დევნილმა სტუმარმა რუსეთში ნახევარი წელი დაჰყო.

მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა: საიდუმლო აგენტმა, რომელმაც როგორღაც შეაღწია ზუევას ბინაში, ყველაფერი გამოააშკარავა. ადილეც იძულებული გახდა, მოსკოვი დაეტოვებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო (თუმცა დედა წერდა, რომ მშობლიურ ქალაქში ყოფნაც არ იყო უსაფრთხო).

ანასტასია ზუევა

ბუნებრივია, როგორც ლაკობას რძალი, ის მალევე დააპატიმრეს.

ადილე ახლაც აღიარებს, რომ მას იმ საშინელ წლებში გადარჩენის არანაირი შანსი არ გააჩნდა. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ნესტიან საკანში ტიფი შეეყარა, თუმცა მისადმი კეთილგანწყობილი ექიმის ხელშეწყობით მალე გამოჯანმრთელება დაიწყო. ღამის დაკითხვებისა და მუქარების ფონზე ახალგაზრდა ქალმა საკუთარ „აღიარებას“ მოაწერა ხელი. მას „ჯაშუშობაში“, „სამშობლოს ღალატსა“ და „ანტისაბჭოთა გამოსვლებში“ მონაწილეობისთვის დასდეს ბრალი.

1940 წლის იანვარში ადილე აბას-ოღლი, სისხლის სამართლის დამნაშავე სხვა ქალებთან ერთად, ჩრდილოეთ ყაზახეთისკენ მიმავალ გზას გაუყენეს. დაბა ბისტიუბაში საშინელ პირობებში მოუწია ცხოვრება. ადილეს გულში იმედის სხივი მაინც ბჟუტავდა: ორ წელიწადში განთავისუფლება უწევდა.

მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ადილეს (და არა მხოლოდ მას!) არ გაუმართლა. 1941 წლის ივნისში ომი დაიწყო, პოლიტიკურმა პატიმრებმა შეიტყვეს, რომ მათი გადასახლებაში ყოფნა უვადოდ ცხადდებოდა.

არალეგალურად საკუთარ სახლში

ბედმა ადილეს, ამ ღვთისგან მივიწყებულ კუთხეში, მამასთან გადასახლებაში ჩამოსული ინჟინერ-მექანიკოსი, ივანე ვასილიადი შეახვედრა. ახალგაზრდები მალე დაქორწინდნენ. შეეძინათ ქალ-ვაჟი. მაგრამ ოჯახს დიდი განსაცდელი დაატყდა თავს: პატარა ლეილას შერყეული ჯანმრთელობის გამო დედამ გადაწყვიტა, შვილებთან ერთად მშობლიურ აფხაზეთში ჩუმად გაპარულიყო. იქ ხომ დედა, შორეული ნათესავები და მეგობრები ეგულებოდა. ვინმე მაინც ხომ გაუწვდიდა დახმარების ხელს! დიდი სირთულეებით ლტოლვილმა ქალმა სოხუმში ჩააღწია და საკუთარი სახლის ერთადერთ ოთახში დედასთან და ორ შვილთან ერთად დასახლდა (ბაბუის მიერ აშენებული ორივე სახლი უკვე დიდი ხნით ადრე ჩამორთმეული ჰქონდა ხელისუფლებას).

დედა-შვილი თავს ძლივს ირჩენდა. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ მათ არანაირი საბუთები არ გააჩნდათ, ანუ, ფაქტობრივად, არალეგალებად ითვლებოდნენ. დედასაც უკვე აღარ შეეძლო ადილეს დახმარება. გადასახლებიდან დაბრუნებული მეუღლეც (ეროვნებით ბერძენი) ქალაქიდან გაასახლეს... ადილე, როგორც არასაიმედო პირის მეუღლე, ხელმეორედ დაპატიმრების პანიკურმა შიშმა შეიპყრო...

სასოწარკვეთილმა ადილემ უკიდურესი ნაბიჯი გადადგა და 1951 წელს მოსკოვში გაემგზავრა; უკვე იქ, ლუბიანკაზე, მან არაერთი მოგონება გააცოცხლა, განვლილი ცხოვრების მძიმე დღეები თავის დღიურში გადაიტანა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფრით გადაქანცულ ქალს აფხაზეთში ცხოვრების ოფიციალური ნება დართეს; ცოტა მოგვიანებით კი, 1956 წელს, აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ ის უდანაშაულოდ სცნო.

„ვერ დავივიწყებ"

დღესდღეობით ადილე აბას-ოღლი, რომლის უმწეო, ქალურ მხრებს XX ს.-ის 30-40-იანი წლებში დატრიალებული ყველა ტრაგედიის გადატანა მოუწია, თავისი ცხოვრების დარჩენილი დღეები გაატარა სოხუმში, აბას-ოღლების ოჯახის ცხოვრების უტყვი მოწმის – ბაბუის მიერ 120 წლის წინ აშენებულ სახლში, რომელიც მისი ლაღი ბავშვობის ბედნიერი მოგონებებით იყო აღსავსე.

მასთან ერთად ამ სახლში მისი სიხარული, ბედნიერება და იმედი – ერთადერთი შვილიშვილი ცხოვრობს... რა თქმა უნდა, ახლანდელი სოხუმი არ ჰგავს იმ სოხუმს, სადაც დაიბადა და გაიზარდა ადილე. ბევრი მისი ახლობელი და მეგობარი უკვე აღარაა ცოცხალი. გარდაეცვალა მეუღლე, საყვარელი ვაჟი და მაინც, საოცარია ამ დარბაისელი ქალბატონის სწრაფვა სიცოცხლისადმი. უსაზღვროა მისი ადამიანებისადმი, მშობლიური აფხაზეთისადმი სიყვარული.

მხცოვანი ქალბატონი იმ იმედით სულდგმულობს, რომ „აფხაზეთში ყველაფერი კარგად იქნება, რადგანაც ის ამას იმსახურებს". ამ იმედს ის თავის სიყვარულთან, ბედნიერებასთან და სიხარულთან – ერთადერთ შვილიშვილთან აიგივებს.

1898 წელს იახია კერბოლაი აბას-ოღლის მიერ სოხუმში აშენებული ორი ორსართულიანი სახლი

თავისი ცხოვრების თითოეულ დღეს აქ ეგებება და აქ აცილებს ქალბატონი ადილე. ჟურნალისტებს ინტერვიუებს იშვიათად აძლევს. ალბათ, არცაა საჭირო. რაც იყო და გადაიტანა, შესანიშნავად აღწერა თავის წიგნში „ვერ დავივიწყებ". აფხაზი ჟურნალისტი ალიფა კაპბა გვირჩევს, გადავიკითხოთ და გავეცნოთ ამბავს, რომელიც ღირს ხსოვნად.

XVII-XVIII საუკუნეების ჩუსეთი და პეტრე პირველი

ჩუსეთის უკანასკნელი მეფე და პირველი იმპერატორი პეტრე I მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა. ახალგაზრდა მმართველს უკავშირდება უამრავი წარმატებული ჩეფორმა, რამაც ჩუსეთის იმპერია განვითარებისა და პროგრესის ახალ გზაზე გაიყვანა. დაინტერესებული იყო მეცნიერების შესწავლითა და ევროპული ცხოვრების წესით; დასავლეთ ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ ჩუსეთში ევროპული წეს-ჩვეულებებისა და უთიერთობების განსხვავებული სტილი დაამკვიდრა.

პეტრე I გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, სითამამითა და განსაკუთრებული ფიზიკური ძალით. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულს არასოდეს ეთაკილებოდა, ესწავლა სხვებისგან, გაეზიარებინა სხვათა გამოცდილება.

ის ატარებდა ბეჭედს, რომელზეც ამოკანრული იყო სიტყვები: "მე ვარ მოსწავლე და მჭირდება მასწავლებლები".

პეტრე I-ის საზაფხულო სასახლე. კ. ბეგროვის ნახატი. 1830 წ.

გარეგნული და ფიზიკური მონაცემები

ისტორიული წყაროების თანახმად, პეტრე გამოირჩეოდა მიმზიდველი გარეგნობით – დიდი თვალებითა და არწივისებური გამოხედვით; იყო ახოვანი – 2 მ-სა და 4 სმ-ს სიმაღლის (ეს მისი ეპოქისათვის უჩვეულოდ დიდი პროპორციებია); სიმაღლის მიუხედავად, იყო შეუსაბამო პარამეტრების მქონე: ჰქონდა საოცრად ვიწრო მხრები და პატარა თავი. თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ, ამ, ლამის, დევკაცის ფეხის ზომა 38-ს არ აღემატებოდა.

ტანთან შედარებით მოკლე ფეხების გამოც იძულებული იყო, დაყრდნობოდა ხელჯოხს (თურმე, 400-მდე სხვადასხვა ფორმის ხელჯოხი ჰქონია).

ამბობენ, იმპერატორი დგებოდა დილის 3-4 სთ-ზე; ნახევარსაათიანი პაუზის შემდეგ იწყებდა საქმიანობას. სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან თან მიჰქონდა საგანგებო დაზგა, რომელზეც მუშაობდა. ჩაქუჩისა და ნაჯახის გამუდმებული ხმარებისგან ხელები დაკორძებული ჰქონდა. გამორჩეული ფიზიკური ძალის მქონეს, იოლად შეეძლო ვერცხლის თეფშის დაგორგვლა.

გატაცებები

როგორც ამბობენ, მწირი განათლების გამო მთელი ცხოვრება შეცდომებით წერდა, მაგრამ ბევრი რამ აინტერესებდაო; სრულყოფილად ფლობდა 24 ხელობას.

ევროპაში აღიარებული იყო ერთ-ერთ საუკეთესო გემთმშენებლად, ხოლო რუსეთში – საუკეთესოდ: შეეძლო, თავიდან ბოლომდე საკუთარი ხელით გამოერანდა და აეწყო გემი. იყო საუკეთესო ხარატი – ქმნიდა ზარდახშებს, სათუთუნეებს, ჭურჭლეულობას. თვითმპყრობელი ქალამნების ამოსხმასაც ცდილობდა (ამიტომაც განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა მეწაღეებისადმი).

იმპერატორის ერთ-ერთი თანამედროვე, ვინმე სოლოვიოვი წერდა, ჩვენ რომ წარმართები ვყოფილიყავით, პეტრეს დავსახავდით შრომის პირველ ღმერთადო.

იმპერატორი თავს თვლიდა დახელოვნებულ ქირურგად და კბილის ექიმად. სამეფო კარზე ეშინოდათ, თავისი სნეულებების შესახებ ხმამაღლა გაეცხადებინათ – შეიძლებოდა, მეფე თავს დასდგომოდა ქირურგიული ინსტრუმენტებით. არსებობს გადმოცემა, რომ პეტრეს დარჩა მთელი ტომარა ამოღებული კბილებითო.

პეტრეს ყვავილებიდან გამორჩეულად უყვარდა ტიტები, რომელიც ჩამოიტანა ჰოლანდიიდან. რუსეთში კი დააარსა საგანგებო „საბაღო

პეტრე I. გრავიურა. 1697 წ.

„მედალი ლოთობისთვის“

კანტორა“, რომელიც ტიტას მოყვარულებს გამოწერით სთავაზობდა თესლებს, ნარგავებს. რუსი ხალხი იმპერატორს უნდა უმადლოდეს ქვეყანაში კარტოფილის შემოტანასაც. თავიდან იმდენად უცხო პროდუქტი იყო კარტოფილი რუსებისთვის, რომ ისინი მას უმადაც მიირთმევდნენ (შეწვასა და მოხარშვაზე არავის უფიქრია).

ქორწინება

იმპერატორი ოფიციალურად დაქორწინებული იყო ორჯერ. პირველი მეუღლე იყო ევდოკია ლოპუხინა, სამეფო კარის ერთ-ერთი დიდგვაროვანის ქალიშვილი.

მეორე მეუღლე უბრალო გლეხის ოჯახში დაბადებული მარტა იყო. ბავშვობა და ყმაწვილობა მან გაატარა სოფელში, სადაც მრეცხავად მუშაობდა.

იმპერატორს ის პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა და არც ქალიშვილის წარმომავლობაზე უფიქრია. საინტერესოა, რომ პეტრე I-ს ეკატერინე დედოფალთან ერთად (შეუღლების მერე მარტას სახელი გადაარქვეს) არაერთხელ განუხილავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო-სამეფო აქტები, ხშირად გაუთვალისწინებია მეუღლის გონივრული რჩევები.

7 კგ-ანი „მედალი ლოთობისთვის“

პეტრე I-ს შეეძლო, პეტერბურგის ნებისმიერ სახლში შესულიყო და გაეზიარებინა უბრალო ტრაპეზი; არც ხალხურ გართობებსა და დროსტარებებს აკლდებოდა.

იმპერატორი ალკოჰოლიზმის მტერი იყო (თუმცა თავად სასმელს რეგულარულად იღებდა). რუსეთში ამ მანკიერების დასაძლევად მან გამოსცა საინტერესო განკარგულება.

ფლობდა რა საოცარ იუმორს, იმპერატორის ბრძანებით, ლოთს „აჯილდოებდნენ“ საგანგებო მედლით. არადა, თუჯისგან ჩამოსხმული ეს მედალი იწონიდა 7 კგ-ზე მეტს.

ბახუსის მოყვარულთ იბარებდნენ პოლიციაში, სადაც ამ ნობათით „ასაჩუქრებდნენ“. კანონდამრღვევ ლოთს ერთი კვირის მანძილზე უფლება არ ჰქონდა, მისგან განთავისუფლებულიყო. მეტიც: „ჯილდო“ ისე მყარად იყო ტანზე მიმაგრებული, რომ პატრონი მას ვერ იხსნიდა. ბახუსის მოყვარე იძულებული იყო, 7 კგ-იან სიმძიმესთან ერთად წოლილიყო ლოგინში.

უცნაური განკარგულებები

მას შემდეგ, რაც პეტრე I-მა იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში, ბევრი რამ გადააფასა და დაამკვიდრა კიდეც ცხოვრების დასავლური სტილი. ამასთან დაკავშირებით, იმპერატორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სკანდალური განკარგულება ეხებოდა წვერის გაპარსვას. ამ დადგენილებამ, ბუნებრივია, ბოიარებს შორის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. თუმცა იძულებულნი იყვნენ, დამორჩილებოდნენ იმპერატორის ნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურჩ დიდგვაროვანს ხაზინა უნდა შეევსო დიდი ფულადი ჯარიმით.

„პეტრე I და სანკტ-პეტერბურგის მშენებლობა“.
უცნობი ავტორი. 1830 წ.

ერთი უცნაური ფაქტიც: თვითმპყრობლის განკარგულებით, წითელთმიანებს ეკრძალებოდათ ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობაზე სამსახური.

იმპერატორი ავალდებულებდა ქალბატონებს, სარაფანებთან ერთად ეტარებინათ დეკოლტირებული კაბები, მამაკაცებს კი კამზოლები* და დამოკლებული შარვლები.

თვითონ პეტრე I ფორმალურად ირიცხებოდა პრეობრაჟენსკის პოლკში და ატარებდა შესაბამის მუნდირს. ახალი წოდების მიღებასთან ერთად ჯარისკაცის მუნდირი ოფიცრის ფორმაზე შეცვალა.

* – მამაკაცის ძველი სამოსი, უსახელო (ჟილეტი).

ჩალა და თივა

პეტრე I-ის დროინდელ არმიაში ბევრი იყო ისეთი გაუნათლებელი, რომ ერთმანეთისგან ვერ არჩევდა მარჯვენას მარცხენისგან. ბუნებრივია, ისინი მწყობრში მარშირებას ვერ ახერხებდნენ.

იმპერატორმა ეს პრობლემაც ორიგინალურად გადაჭრა:

მისი განკარგულებით ჯარისკაცების მარცხენა ფეხს შემოაკრეს ჩალა, მარჯვენას კი – თივა. შესაბამისად, ბრძანების – „მარცხნივ!“ „მარჯვნივ!“ – ნაცვლად ჯარში გაისმოდა სოფლის კაცებისთვის უკვე ჩვეული სიტყვები: „ჩალა!“ „თივა!“ „ჩალა!“ „თივა!..“

რატომ სცემა მეგობარი

მას შემდეგ, რაც პეტრე I-მა აიშენა სასახლე, გამოსცა განკარგულება, რომ მასზე მაღალი ნაგებობა არავის აეშენებინა. მაგრამ საზღვარგარეთ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა: ბავშვობის უახლოეს მეგობარს ალექსანდრე მენშიკოვს (ვინც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა) თურმე სამეფო სახლზე ოდნავ მაღალი შენობა აღუმართავს.

განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ალექსანდრე მასთან მოეგვარათ. არავის მოერიდა და ურჩობისთვის სახალხოდ სცემა მეგობარი.

მსოფლიო დერჟავად ქცეული ქვეყანა

„პეტრე I-სა და ეკატერინე I-ის ოჯახი“.
1720 წლის მინიატურა.
ნახატი დაცულია აშშ-ს ერთ-ერთ მუზეუმში

უცნაურობისა და ექსცენტრულობის მიუხედავად, პეტრე I-მა თავისი სიცოცხლე რუსეთსა და მისადმი ერთგულებას უძღვნა. უყვარდა თავისი ქვეყანა და აქცია კიდეც ის ძლიერ თვითმპყრობელურ დერჟავად.

იმპერატორის დიდი სახელმწიფოებრივი ღვაწლი რუსეთის ისტორიაში მისი რეფორმები იყო: დედაქალაქი მოსკოვიდან პეტერბურგში გადაიტანა; „უკაზები“ შეცვალა სამინისტროებად; საპატრიარქო – სინოდად; სავოევოდო – გუბერნიად; ბოიარობა – აზნაურობად; დააარსა პირველი რუსული გაზეთი „ვედომოსტი“ (უწყებანი); რუსეთს შეუქმნა ფლოტი, რეგულარული არმია, მეცნიერებათა აკადემია; გახსნა უამრავი სხვადასხვა სკოლა – სანავიგაციო, საფორტიფიკაციო*, სახომალდო. ქვეყანას იმპერატორის არყოფნისა და მისი ყოფნის დროს მართავდა ახლადდაარსებული სენატი. დააფუძნა 200-მდე ქარხანა და წარმოება. სამეფო ქვეყანა აქცია საიმპერატოროდ.

პეტრე დიდმა ჩამორჩენილი რუსეთი აქცია მსოფლიო დერჟავად.

საიდან გაჩნდა ვერსია პეტრე I-ის ქართული წარმომაელობის შესახებ

მიჩნეულია, რომ ვერსია პეტრე I-ის ქართული წარმომავლობის შესახებ შექმნეს ქართველებმა (რუსებს დღემდე ასე სჯერათ). სინამდვილეში ეს აზრი სათავეს ისევ რუსული წყაროებიდან იღებს; თუმცა იმპერატორის ქართველობაზე საუბარს სამეცნიერო წრეებში (რუსულთან ერთად ქართულშიც) თითქმის ყველა ერიდება (მას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც).

ისტორიკოსი ჯაბა სამუშია აღნიშნავს, რომ ერთ-ერთმა ინტერნეტბლოგმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „პეტრე I და ერეკლე I“. ავტორის თქმით, მას აინტერესებდა, გადაემოწმებინა პეტრეს ქართული წარმომავლობის ლეგენდა. ექსპერიმენტიც მოაწყო: ერთმანეთს შეუდარა პეტრესა და უფლისწულ ერეკლეს გამოსახულებები. იქვე ავტორი დასძენს: „მე არ ვარ ექსპერტი კრიმინოლოგიაში, მაგრამ, ჩემი აზრით, მსგავსება მართლაც დიდია“.

1671 წლის 27 იანვარს რუსეთის მეფემ ალექსი მიხეილის ძემ პირველი ცოლის გარდაცვალების

*** – სამხედრო-საინჟინრო დარგი.**

პეტრე I

შემდეგ იქორწინა ულამაზეს, 22 წლით მასზე უმცროს ნატალია ნარიშკინაზე.

პეტრე I დაიბადა 1672 წლის 30 მაისს, სამეფო ტახტი დაიკავა 1682 წელს, 10 წლის ასაკში.

პირველი მეუღლისგან ალექსი მიხეილის ძეს ჰყავდა 11 შვილი – 5 ვაჟი და 6 გოგონა. მეორე ქორწინებიდან პეტრეს გარდა კიდევ ორი ქალიშვილი. მამის გენეტიკური მემკვიდრეობითი დაავადების გამო ხუთივე ვაჟი (პეტრეს გარდა) იყო დაავადებული და 9 ქალიშვილიდან 7 გონებრივად და ფიზიკურად არასრულფასოვანი (მათგან არცერთი არ გათხოვილა).

* * *

იმხანად ქვეყანაში მეფის საყრდენ ძალას წარმოადგენდა ე.წ. „სტრელცების“ (მსროლელთა) ჯარი. მათ ევალებოდათ მეფის დაცვა. სრულიად მოულოდნელად, 1689 წლის 7-8 აგვისტოს ღამით მოხდა გაუგონარი ამბავი: „სტრელცები“ პეტრე I-ის მოსაკლავად გაემართნენ, თუმცა მეფე სიკვდილს როგორღაც გადაურჩა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ „სტრელცებთან“ 7 აგვისტოს საღამოს მისულა პეტრეს ნახევარდა – სოფიო, მეფე ალექსის ქალიშვილი პირველი ცოლისგან და აუწყა მათ, რომ რუსეთის ტახტზე ავიდა არა მამამისის კანონიერი შვილი, არამედ, ქართველი ბატონიშვილის – ნიკოლოზისა და მეფე ალექსის მეორე ცოლის, ნატალია ნარიშკინას უკანონო შვილი – პეტრე.

ის, ვისაც სხვადასხვა რუსული წყარო ქართველ ბატონიშვილს რატომღაც ნიკოლოზად მოიხსენიებს, იყო კახეთის მეფის – თეიმურაზ I-ის ვაჟის, დავითის შვილი ერეკლე (შემდგომში ჯერ ქართლის, შემდეგ კი კახეთის მეფე ერეკლე I).

ბატონიშვილი ერეკლე ბაბუას – თეიმურაზ I-ს გაუგზავნია რუსეთის სამეფო კარზე, სადაც ის დარჩენილა 20 წელი. მოხდენილი გარეგნობის ქართველი ბატონიშვილი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუს ქალბატონთა შორის; განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილა ალექსი მიხეილის ძესთან და მის მეუღლესთან ნატალია ნარიშკინასთან.

* * *

დიდ რუს მწერალს ალექსეი ტოლსტოის, ვინც პეტრე I-ის ცხოვრების შესახებ წერდა რომანს, სტალინისთვის უჩვენებია საბუთები, საიდანაც თითქოსდა მტკიცდებოდა, რომ იმპერატორი წარმოშობით ქართველი იყო.

ტოლსტოის ქვრივს – ლიუდმილა კრესტინსკაიას უთქვამს: „ჩემმა მეუღლემ არქივში აღმოაჩინა ნატალია კირილეს ასულის წერილები ნიკოლოზისადმი. ისინი მოწმობენ მის ფიზიკურ სიახლოვეს ქართველ უფლისწულთან. ალექსეიმ მაჩვენა ამონაწერი ამ ბარათებიდან“.

ერეკლე I

ერეკლე I-სადმი გაგზავნილ წერილებში ნარიშკინა მოუთხრობს მას თავის შვილზე – პეტრეზე, როგორ იზრდება, როგორ ცელქობს, რა თვისებებით გამოირჩევა.

სტალინმა ამ საბუთების გამოქვეყნების უფლება არავის არ მისცა, რუსებს ნიჭიერი ეკატერინეს გერმანელობა და ჩემი ქართველობა ვერ მოუნელებიათ და ახლა კიდევ პეტრე I-ის ქართველობა აკლდათო?

ნარიშკინას წერილები, სტალინის განკარგულებით, გადაეცა საიდუმლო ფონდს (გაცემის უფლების გარეშე).

* * *

პეტრე I-ის წარმომავლობა დღემდე ბუნესითაა მოცული; თუმცა აღსანიშნავია, რომ ქართველი ისტორიოსები მის ქართველობა-აზაქართველობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. პეტრე I ისეთივე რუსი მმართველი იყო, როგორც ივანე მრისხანე, ეკატერინე II, აღექსანდრე II და ნიკოლოზ II.

პეტრე I-ს საქართველოსთვის არ უღვაწია. მან თავი რუსეთს შესწირა.

ფილოსოფიის ისტორია აღსავსეა გამოჩენილი ადამიანებით. თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა ისეთი პოპულარობა, როგორც ძველბერძენმა მოაზროვნემ სოკრატემ. მას წერილობითი შრომები არ დაუტოვებია, თავის აზრებს ზეპირად გამოთქვამდა. სოკრატეს შესახებ ცნობებმა ჩვენამდე, ძირითადად, პლატონისა და ქსენოფონტეს ჩანაწერებით მოაღწია.

ერთხელ ერთ ცნობილ ორაკულს* ჰკითხეს, არსებობს თუ არა დედამიწაზე სოკრატეზე ბრძენი ადამიანი? ორაკულმა უპასუხა, რომ ასეთი ადამიანი არ არსებობს. როდესაც ამის შესახებ სოკრატემ გაიგო, გაუკვირდა და აღნიშნა, რომ ბრძენი მხოლოდ ღმერთია. რაც შეეხება ორაკულის წინასწარმეტყველებას, ღმერთმა ის იმის სათქმელად გამოიყენა, რომ დაემტკიცებინა, ადამიანის სიბრძნე უსარგებლოა. ბოლოს კი დაამატა: "ბრძენი მხოლოდ ის არის, ვინც სოკრატესავით იცის, რომ არაფერი არ იცის".

ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ სხვებზე უფრო ჭკვიანი მხოლოდ იმიტომ იყო, რომ საკუთარი უმეცრება გაცნობიერებული ჰქონდა.


პლატონის ძეგლი ათენში

სოკრატეს დაბადებიდან**

თარგმნა თათული რუხაძემ

შეხვედრა საკანში

სოკრატეს გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე დღეში მისი ორი მოწაფე შეხვდა ერთმანეთს. ერთ-ერთმა მათგანმა, ეხეკრატმა, მასწავლებლის გარდაცვალების უშუალო თვითმხილველ ფედონს სთხოვა, დაწვრილებით მოეთხრო მისთვის, თუ რა მოხდა იმ დღეს, რაზე საუბრობდა სოკრატეს გარემოცვა, რას აკეთებდა ის თვითონ და როგორ გარდაიცვალა.

ფედონმაც არ დააყოვნა და შეუდგა თხრობას:

– იმ დღესაც, როგორც ჩვეულებრივ სხვა დღეებში, ციხის გვერდით მდებარე სასამართლოს შენობაში შევიკრიბეთ. მეკარისგან შევიტყვეთ, რომ სოკრატესთან მოსამართლეები იმყოფებოდნენ; მას შეხსნეს ხუნდები და, ამავე დროს, გააცნეს ბრძანება სასიკვდილო განაჩენის შესახებ. მცირეოდენი ლოდინის შემდეგ მეკარემ მასწავლებელთან შეგვიშვა. საკანში სოკრატეს გვერდით საწოლზე ჩამომჯდარი მეუღლე ქსანთიპე და მათი პატარა ბიჭუნა დაგვხვდა.

ჩვენი დანახვისთანავე ქსანთიპეს თვალებიდან ცრემლები წასკდა. ის საწყალობლად წარმოთქვამდა სიბრალულით აღსავსე, გულისამაჩუყებელ სიტყვებს.

სოკრატე ქალის დამშვიდებას ცდილობდა. თან სთხოვდა, ცოტა ხნით თავის მეგობრებთან მარტო დაეტოვებინა. ქსანთიპემ მეუღლის თხოვნა შეისმინა და საკნიდან გავიდა. ქალის გასვლისთანავე სოკრატემ ფეხი მოხარა, ხელით დაიწყო მისი სრესა და მოგვმართა:

– აი, ჩემო მეგობრებო, ხედავთ, რაოდენ უცნაურია ორი საპირისპირო მცნების – სიამოვნებისა და ტანჯვა-წამების ურთიერთკავშირი! ისინი ერთიმეორეს არ გამორიცხავენ! ფეხებზე ხუნდებდადებული საშინელ ტკივილს განვიცდიდი; ახლა კი, როცა მათგან განვთავისუფლდი, ერთგვარი სიამოვნებაც კი ვიგრძენი. სავსებით შესაძლებელია, რომ ღმერთებმა ეს ორი, ერთმანეთისადმი თითქოსდა შეუსაბამო მცნება, მათი შეთავსების მიზნით ჯაჭვით გადააბეს ერთმანეთს; ასე რომ, შეუძლებელია ერთის გარეშე მეორის გამოცდა.

დებატები

სოკრატეს ძეგლი ათენში

სოკრატემ შენიშნა, რომ კარებთან მდგარი კრიტონი ვიღაცას ხმადაბლა ელაპარაკებოდა და ჰკითხა მას, თუ რაზე საუბრობდნენ.

– აი, ის, ვისაც შენთვის შხამის მოცემა ევალება, – უპასუხა კრიტონმა, – ამბობს, რომ შენ, რაც შეიძლება, ნაკლები უნდა ილაპარაკო. ის ამბობს, რომ შხამის მიღების წინ საუბარი აღაგზნებს ადამიანს და ამიტომაც მასზე ამ ნივთიერების ზემოქმედება სუსტდება და ისიც იძულებულია, გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობის სამსალა შესვას.

– რა გაეწყობა! – წარმოთქვა სოკრატემ, – თუ საჭიროა, მეტსაც დავლევ. ვფიქრობ, რომ სწორედ ახლა არ უნდა გავუშვა ხელიდან თქვენთან გასაუბრების შესაძლებლობა და დაგიმტკიცოთ, რომ ადამიანს, რომელიც

* – წინასწარმეტყველი ან ბრძნული რჩევების მიმცემი ძველ საბერძნეთში.
** – ფრაგმენტი პლატონის „დიალოგებიდან“ იბეჭდება შემოკლებით.

ანტიკური საბერძნეთი

მთელი ცხოვრება სიბრძნისაკენ მიილტვის, არათუ სწყინს, უხარია კიდეც სიკვდილის მოახლოება.

– როგორ შეგიძლია, გიხაროდეს ჩვენი დატოვება? – იკითხა ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა.

– მართალია, – წარმოთქვა სოკრატემ, – შესაძლებელია, ეს ჩემი მხრიდან მოსაწონი საქციელი სულაც არაა, მაგრამ თუ თქვენ ჩასწვდებით ჩემს მდგომარეობას, ალბათ, მიხვდებით, რომ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება ამ სოფელში საკუთარი ვნებების დასათრგუნად იბრძოდა, რაშიც მას სულის საპყრობილედქცეული სხეული და მიწიერი მოთხოვნილებები ეწინააღმდეგებოდა, შეუძლებელია, მისგან საკუთარი თავის განთავისუფლებით კმაყოფილი არ იყოს. სიკვდილი კი მხოლოდ განთავისუფლებაა; და თუ სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთის საპირისპიროა და სიკვდილი სიცოცხლის დასრულებით იწყება, მაშინ სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაწყისია. სიკვდილი სულისა და სხეულის განცალკევებაა; და განა უცნაური არაა, რომ ადამიანი მთელი ცხოვრება ემზადება იმისთვის, რომ, რაც შეიძლება, ახლოს იყოს სიკვდილთან; და როდესაც ეს დღე დაუდგება, უკმაყოფილოა მისით. ამიტომაც, როგორადაც არ უნდა მწყდებოდეს გული თქვენთან განშორების გამო, მე არ შემიძლია, არ მივესალმო სიკვდილს, როგორც ხორცშესხმას იმისა, რის მიღწევასაც მთელი ცხოვრება ვესწრაფვოდი. ასე რომ, მეგობრებო, მე არ ვნაღვლობ, რომ გტოვებთ თქვენ! – წარმოთქვა ბრძენკაცმა და სახეზე ღიმილი გამოეხატა.

– მაგრამ ეს ასე რომ იყოს, – შეეპასუხა კევისი, – დარწმუნებული უნდა იყო იმაში, რომ სული, რომელიც სხეულს ტოვებს, ორთქლისა ან ბოლის მსგავსად, არ ქრება უკვალოდ; კარგი იქნებოდა, რომ სულთა საიქიო ცხოვრება გვწამდეს. თუმცა, ჩვენდა სავალალოდ, შეუძლებელია ამაში დარწმუნებული იყო.

– ეს სიმართლეა, – თქვა სოკრატემ, – მართალია, არ შეიძლება, ბოლომდე დარწმუნებული იყო ამაში, მაგრამ მაღალი ალბათობით ეს ასეა. თქმულების თანახმად, გარდაცვლილ ადამიანთა სულები ხვდებიან ჯოჯოხეთში და იქ განაგრძობენ არსებობას მანამდე, ვიდრე დედამიწაზე დაბრუნდებიან და ხელახლა მოევლინებიან ქვეყნიერებას. ისინი ახალ სახეს იძენენ და, შესაძლებელია, ჩასახლდნენ არა მარტო ადამიანურ სხეულში, არამედ ცხოველურში და თვით მცენარეშიც კი. შეიძლება, ირწმუნო ან, სულაც, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას; მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ სიცოცხლეს არ უნდა ეშინოდეს სიკვდილის და სიკვდილიც მხოლოდ ახალი სიცოცხლის აღორძინებაა. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ჩვენ, ყველანი, ამ სოფლის შვილები, ჩვენს თავში სულის წინარე მიწიერი ცხოვრების მოგონებებს ვატარებთ; მოგონებები კი, რა თქმა უნდა, არ გვექნებოდა, სულს წინა მიწიერი ცხოვრებით რომ არ ეცხოვრა. ასე რომ, ადამიანის გარდაცვალებასთან ერთად სული დამოუკიდებლად არსებობს თავისი ცოდნის უნარით, მოგონებებით და მას არ შეუძლია, თავის სხეულთან ერთად გარდაიცვალოს. სიკეთე, ჭეშმარიტება, სილამაზე, სამართლიანობა ადამიანის სულში დევს და მათ მხოლოდ გაცნობიერება სჭირდება; და რამდენადაც ეს ყველაფერი არ ექვემდებარება გარდაცვალებას, ასევე, სიკვდილს ჩვენი სულიც არ ნებდება.

სოკრატემ დაასრულა საუბარი. ირგვლივ მდუმარებამ დაისადგურა. მხოლოდ კებესისა და სიმლიის ხმადაბალი საუბარი არღვევდა გამეფებულ სიჩუმეს...

– რაზე საუბრობთ? – დაინტერესდა სოკრატე, – მითხარით, რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით? თუ არ მეთანხმებით და უკეთესად განმიმარტავთ ამ საკითხს, პირდაპირ მითხარით!

– მე ვიტყვი სიმართლეს, – განაცხადა სიმლიიმ, – მე ბოლომდე არ ვეთანხმები შენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. შესაბამისად, კითხვებიც გამიჩნდა, მაგრამ არ მსურს, შენს მდგომარეობაში მყოფს ჩემი შეკითხვებით თავი შეგაწყინო.

– მაინც რა ძნელია, – ღიმილნარევი სახით წარმოთქვა სოკრატემ, – დაარწმუნო ადამიანები იმაში, რომ მე არ მივიჩნევ უბედურებად იმას, რაც შემემთხვა. და თუ კი ამაში მე თქვენი დარწმუნებაც ვერ შევძელი, მაშ, როგორღა დავარწმუნო სხვა ადამიანები?

– რაც შენ ისაუბრე სულთან დაკავშირებით, შესაძლებელია, ქნარზეც განავრცო, – უპასუხა სიმლიიმ, – მიუხედავად იმისა, რომ ქნარი, როგორც ასეთი, მატერიალური, მიწიერი და წარმავალია; სამაგიეროდ, მისი წყობა, აგებულება და ხმები, რომლებსაც ის გამოსცემს, არამატერიალური,

არაამქვეყნიურია; არც ერთი მათგანი სიკვდილს არ ექვემდებარება. ამიტომაც, თუ გამტყდარ ქნარს სიმებიც გაუწყდა, მისი წყობა და ხმა, მელოდია, რომელსაც ის გამოსცემს, უკვალოდ მაინც არ გაქრება და აუცილებლად სადღაც დაილექება. ამასთანავე, ჩვენთვის ცნობილია, რომ თუ ჰარმონია ქნარის დაჭიმული სიმების შეწყობა-შეხამებით წარმოიქმნება, ჩვენი სული სხეულის სხვადასხვა ელემენტის შეერთება-ურთიერთქმედების შედეგია.

როგორც კი სიმლიიმ საუბარი დაასრულა, თითოეულ ჩვენგანს არასასიამოვნო შეგრძნება დაეუფლა. მოწინააღმდეგის დამაჯერებელმა არგუმენტებმა სულის მარადიულ არსებობაზე შეარყია ჩვენი რწმენა სოკრატეს მოსაზრებათა შესახებ. მე ხშირად მაოცებდა სოკრატე, მაგრამ ამჯერად მან ჩემს წარმოდგენაში ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მე დიდად გამაოცა იმ კეთილგანწყობამ, დიდსულოვნებამ და სიმშვიდემ, რითაც მან სიმლიის სიტყვები მოისმინა.

სოკრატე მიუბრუნდა სიმლიის:

– კარგი, სიმლიი, სული ჰარმონიის მსგავსია, მსგავსი ხომ მხოლოდ მსგავსით შეიმეცნება. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჰარმონია თავის თავს ვერ შეიმეცნებს, სული კი არა მხოლოდ შეიმეცნებს თავის ცხოვრებას, არამედ მართავს კიდეც მას. ჰარმონია ვერ შეცვლის ქნარის მდგომარეობას და მასზეა დამოკიდებული, სული კი სხეულისგან დამოუკიდებლად არსებობს და მისი სრულიად შეცვლა ხელეწიფება. მე რომ დავთანხმებოდი კრიტონის წინადადებას ციხიდან გაქცევის შესახებ, უკვე დიდი ხანია, აქ არ ვიქნებოდი და თქვენთან ერთად ამ საკანში არ გავმართავდი სჯა-ბაასს. მე არ დავეთანხმე კრიტონს იმიტომ, რომ გაცილებით სამართლიანად მივიჩნიე, დავმორჩილებოდი რესპუბლიკის გადაწყვეტილებას; ჩემში არის რაღაც ისეთი, რაც აღიარებს თავის საწყისს, რაც სიკვდილს არ ემორჩილება. და თუ სული უკვდავია, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიზრუნოთ მასზე არა მხოლოდ ამ სოფლისთვის, იქაურობისთვისაც, სადაც ის სხეულის სიკვდილის შემდგომ გადადის.

აღსასრული

ამ სიტყვებით სოკრატემ საუბარი დაასრულა და სიკვდილით დასჯისთვის მოემზადა: კრიტონთან ერთად სხვა ოთახში გავიდა დასაბანად, რის შემდეგაც შვილებისა და მეუღლის მოყვანა ისურვა, გაესაუბრა და დაემშვიდობა მათ. და როგორც კი მზე ჩავესვენა, ისევ ერთგული მეგობრებთან გამოვიდა. ფილოსოფოსს სახეზე საოცარი სიმშვიდე აღბეჭდვოდა, თითქოს სიხარულით ეგებებოდა მოსაღოდნელი სიკვდილს: ღმერთების მიმართ ღოცვა აღავლინა, რათა მისი გადასახლება აქედან იმქვეყნიურ სამყაროში - მისი სულის საიქიო მოგზაურობა - მშვიდობიანად დასრულებულიყო. ყოველგვარი შიშისა და ყოყმანის გარეშე მესამსაღის მიერ მინოდებული შხამით სავსე ფიალა სულმოთქმულად შესვა.

ამ სცენის შემსწრე მეგობრებმა თავი ვეღარ შეიკავეს: ფედონს, მისდა უნებურად, თვალთაგან ცრემლები წასკდა; ჯარგად ესმოდა, თუ ვის ჯარგავდა; აცრემლებულმა კრიტონმა იქაურობა დატოვა. აპოლოდორი, რომელიც ადრეც ვერ იკავებდა ცრემლებს, ახლა უკვე ხმამაღლა ქვითინებდა.

სოკრატემ მიმართა მათ:

- რა უცნაურები ხართ? ქალები შეგნებულად გავაყვანინე, რათა მათ მსგავსი რამ არ ჩადენათ. თქვენ კი რას აკეთებთ? სიკვდილი სამარისებური სიჩუმეში უნდა მეწვიოს. დამშვიდდით და თავი ხელში აიყვანეთ!

ჩვენც მის უკანასკნელ თხოვნას დავემორჩილეთ და ტირილი შევწყვიტეთ. სოკრატე სანოლზე ზურგით წამოწვა, როგორც მესამსაღემ უჩრა... და, აჰა, სიკვდილიც ნელ-ნელა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა...

„სოკრატეს სიკვდილი“. დავიდ ჟაკ ლუის ნახატი

- რა დაგავიწყდეთ ასკლეპიოსთვის მამლის შენირვა! - ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მის ბაგეებს დასცდა.

ალბათ, ამით იმისი თქმა სურდა, რომ მადლიერი იყო მედიცინის ღმერთის, რომელმაც საკუთარი შესაძლებლობით ის განკურნა.

- შევასრულებთ! - დაპირდა კრიტონი, - კიდევ რაიმეს თქმა ხომ არ გსურს?

ამჯერად ამ კითხვაზე სოკრატემ პასუხი არ გასცა. მას მზერა გაყინვოდა და სადღაც, უსასრულობაში იყურებოდა; კრიტონი მიუახლოვდა მასწავლებელს და გახელილი თვალები დაუხუჭა.

შოთა ნიშნიანიძე

ძმის ჩასვლა

ძმე ჩადის...
ზღვისპირ ხოხობივით ედია დაილი,
ლაჟურ მინანქარშე ცვცხლოვანი ლანდი ანთია.
სანაპიროზე აღცაცეხილ ხმეხი ეაილმის:
– მა ლაძაზია!
– მა დიადია!
საოცარია,
ძმის ჩასვლამდე მად ვერ ძეგნიძნეთ
მისი ნაძდვილი სილამაზე და სიდიადე?!

იმა ბაბლუანის წიფელი, თითქმის ბავშვური სისუფთავით დანერილი "ნოსტალგია": 5-90" მახთლაც ომ ნოსტალგიის ფიქრებს აგვიშლის, გვაბრუნებს ღამაზ წარსულში და ჩვენს საერთო სათქმელს ახმოვანებს: "ალტომლაც მეგონა, ბავშვობა მარადიული იყო: მე სულ პატარა ვიქნებიდი, არც ჩემი მშობლები დაბერებოდნენ... არც ტელეფონი 5-90 დადუმდებოდა ოდისმე".

გვიჩენა შთაბეჭდილება, ომ მშობლიური ჯუთხის დატოვების შემდეგ ავტორისთვის დრო თითქოს გაჩერდა, თითქოს დღემდე მხოლოდ მოგონებები ასულდგმულებს. იმა ბაბლუანი ჩვენს თვალწინ აცოცხლებს სულში ფაქიზად შემონახულ წარსულის სურათებს, თუმცა, ოგორც თვითონ ამბობს, დრო, ომელსაც ხშირად უბრუნდება, არაფერით მეორდება. ჰაერში ჯიდია ჯითხვაც: ნუთუ ოდესმე ისევ დარეკავს 5-90?

ირმა ბაბლუანი

„ნოსტალგია": 5-90

ირმა ბაბლუანი

ამ ნომერზე მირეკავდნენ. არამარტო მე, ჩემს ძმასაც, დედაჩემსაც, მამაჩემსაც. სატელეფონო ზარები განსაკუთრებით ახალი წლის ღამეს გახშირდებოდა: გვილოცავდნენ ახლობლები, მეგობრები, მეზობლები.

ახლა, როცა ჩემგან ეს ტელეფონის ნომერიც და სახლიც ძალიან შორსაა, ციფრები 5-90 მოგონებასთან ერთად ტკივილს ნიშნავს.

ერთხელაც ახალი წელი მომილოცა ვიღაც ბიჭმა, რომელმაც ვინაობა არ გაამხილა. მერე ამას მამაჩემის საშინელი რისხვა მოჰყვა, ეს როგორ გაბედაო. მამაჩემის მაშინ ძალიან მომერიდა.

ამას ახლა ღიმილით ვიხსენებ.

რა ბედნიერი იყო დედა, ბებოც ძალიან გახარებული, პირველად რომ

დაგვიმონტაჟეს 5-90... ჩამესმის დედაჩემის სატელეფონო საუბრები, საათობით კავშირზე ყოფნა და მილეთის ამბების გარჩევა...

დრო, რომელსაც ხშირად ვუბრუნდები, არაფრით მეორდება. ქალაქის ქუჩებში სეირნობა, სანაპიროზე შეხვედრები, ბურთულიანი ნაყინისა და ქვიშაზე მოდუღებული სურნელოვანი ყავის მირთმევა ჩვენებური რიტუალი იყო, რასაც თითოეული სოხუმელი ზედმიწევნითი „პასუხისმგებლობით“ ასრულებდა – იქნებოდა ჩახჩახა მზე თუ გიჟური სოხუმური წვიმა...

ერთხელ, საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ, ბავშვებმა ზღვას მივაშურეთ. ნავები დავიქირავეთ და მშვიდ ტალღებში შევცურეთ. უცებ ამინდი მოიქუფრა, მზე ღრუბლებს ამოეფარა და ზღვაც აღელდა. შტორმმა ნავი ამოგვიყირავა და ყველანი წყალში ჩავცვივდით. ვყვიროდით, ხელებს ვიქნევდით, ვითხოვდით შველას. საბედნიეროდ, მაშველები დროულად მოვიდნენ. გადარჩენილებს რომ გვტუქსავდნენ, გვიხაროდა.



მას შემდეგ ზღვაში არასდროს შევსულვარ ნავით. დღეს ჩემთვის იმდღევანდელი განცდაც სანატრელია...

მამაჩემს ღამის ზღვა და მთვარის შუქზე ბანაობა უყვარდა. ისე ღრმად შეცურავდა, ტალღებს ისე გაუთამამდებოდა, შიშით გავცქეროდი შორს, უკვე თითქმის უძრავ წერტილს.

ხშირად მაგონდება კელასურიც, რომლის სანაპიროზე ბიძაჩემს პატარა სახლი ჰქონდა. ეს კოხტა კოტეჯი მუდამ რუსეთიდან (ძირითადად, მოსკოვიდან) ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლობდა. სანაპიროზე ბურთის თამაშს სხვა ხიბლი რომ აქვს, ახლა ვხვდები; ცხელი სიმინდის მირთმევასაც და მზესუმზირის კნატუნსაც; ვბედავდი და უფროსებთან საუბარში მეც ვერთვებოდი.

დღეები ცვლიდა ერთმანეთს, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ბავშვობა მარადიული იყო; მე სულ პატარა ვიქნებოდი, არც ჩემი მშობლები დაბერდებოდნენ; თითქოს ჟამთა სვლა ჩვენ არ შეგვეხებოდა. არც ტელეფონი 5-90 დადუმდებოდა როდისმე. ვცხოვრობდით უზრუნველად, უცრემლოდ, მონატრების გარეშე. არ ვიცოდით, რა იყო ომი და დანგრეული შენობები, ომში სიკვდილი...

ზღვასთან ცხოვრებამ, ქალაქის სურნელმა, სანაპიროს ფერებმა, ამ სილამაზემ ბევრი რამ მასწავლა, რაც დევნილობის წლებმაც, ევროპაში ცხოვრებამაც განმიმტკიცა.

გამუდმებით ვაცნობიერებდი, რომ ის ძალა, რომელიც იქ არ მაჩერებდა და სამშობლოსკენ მექაჩებოდა, ჩემზე ძლიერი იყო; ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩავალაგებდი ბარგს და უკან, სამშობლოში დავბრუნდებოდი. ასეც მოხდა.

ამას ფრანგები „ნოსტალჟის“ ეძახიან.

ჩვენ, ქართველები, ის ერი ვართ, საქართველოს გარდა არსად რომ ვართ ბედნიერები.

იქ, ევროპაში, ლაზი ქალი შემხვდა. მეგრულად დამელაპარაკა. მთელი დღე ცრემლი ღაპაღუპით მდიოდა.

– ჩონ ერთნი ვართ, ქართველები! – მითხრა საუბრის ბოლოს.

ლაზები გერმანიაში ომის შემდეგ ჩამოვიდნენ და მას შემდეგ უკვე მესამე თაობა ცხოვრობს იქ. და მაინც, საქართველო მათი ფიქრია, თაობების მიერ ნაოცნებარი.

ოდესმე დარეკავს 5-90 ჩემთან?..

ჯუზეპე ვერდი

ჯუზეპე ვერდი
(1813-1901 წ.წ.)

ჯუზეპე ვერდი - XIX ს.-ის უდიდესი იტალიელი კომპოზიტორი, საოპერო ხელოვნების ხელოვანმაესტრი, რომლის ნაწარმოებები დღემდე იდგმება მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილ საოპერო თეატრში. ვერდიმ მნიშვნელოვნად შეცვალა ხასიათი ტრადიციული იტალიური ოპერისა, სადაც ორკესტრთან ერთად დატვირთვა ვოკალურ სანყისზე მოდის. "ხმა და მელოდია ჩემთვის ყველაზე მთავარია", - ამბობდა კომპოზიტორი.

ვერდიმ დაწერა 26 ოპერა, ერის ჰიმნი, რომანსები, სიმღერები და სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის მრავალი ნაწარმოები.

ჯუზეპე ვერდის ეკუთვნის საქვეყნოდ ცნობილი ოპერები: "ნაბუქო", "რიგოლეტო", "ტრავიატა", "ოტელო", "დონ კარლოსი", "ტრუბადური" და სხვა. 80 წლის ასაკში მან დაწერა კომიკური ოპერა "ფალსტაფი" (აღსანიშნავია, რომ ვერდი ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო კარგად წერდა).

ღრმად მოხუცებულმა თქვა: "ოცი წლის ასაკში ვამბობდი - "მე", ოცდაათი წლისა ვიძახდი - "მე და მოცარტი", ორმოცი წლისა ვყვიროდი - "მოცარტი და მე", ხოლო ახლა ჩემთვის ვფიქრობ - "მოცარტი!"

დაბადება და მშობლები

იტალიაში, პარმასა და პიაჩენცოს შორის, ქალაქ ბუსეტოს მეზობლად მდებარეობს სოფელი ლე რონკოლე. ამ სოფლის არაფრით გამორჩეულ სახლში 1813 წლის 10 ოქტომბერს დაიბადა ჯუზეპე ვერდი.

რადგან დაბადების ადგილი იმ პერიოდში საფრანგეთის პირველი იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, ახალშობილი საფრანგეთის მოქალაქედ მიიჩნეოდა. იმდროინდელი ჩანაწერების მიხედვით, ჩვილის ნათლობის სახელი ასე ჟღერდა: ჟოზეფ-ფორტუნინო ფრანსუა (მაშინ ეკლესიის ენა ლათინური იყო). არსად ფიგურირებს იტალიური სახელი – ჯუზეპე (ბიჭუნას დაბადებიდანვე ასე ეძახდნენ მშობლები).

მამა, კარლო ვერდი, სოფლის სამიკიტნოს მეპატრონე ძალიან მცირე შემოსავლით, წვრილი ვაჭარი იყო. დედა, ლუიჯი უტინი, იყო მრეცხავი (ორივე განათლების გარეშე).

გატეხილი სპინეტი

ოჯახი ღარიბულად ცხოვრობს, რის გამოც ჯუზეპეს საკმაოდ მძიმე ბავშვობა აქვს. უმცროსი დის, ჯუზეპინასაგან განსხვავებით, რომელიც ხშირად ავადმყოფობს და რომლის მკურნალობა ძვირი უჯდებათ მშობლებს, ჯუზეპე, ღვთის წყალობით, ჯანმრთელია. იგი ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭია. ჯუზეპეს მთავარი გართობაა – მოუსმინოს მოხეტიალე მუსიკოსებს, რომლებიც ზოგჯერ შეიხედავენ მამის სამიკიტნოში, ან ყური მოჰკრას ორღანის ხმას, რომელიც უახლოესი ეკლესიიდან ისმის.

მუსიკისადმი დიდი ინტერესი ჯუზეპემ ბავშვობიდანვე გამოავლინა; ადგილობრივ ტაძარში ხშირად ესწრებოდა მესას. აქ მან პირველად მოუსმინა ორღანს. შთაბეჭდილებით აღელვებულმა მშობლებს თხოვნით მიმართა, მისთვის მუსიკა ესწავლებინათ. გაითვალისწინეს რა ბიჭის დაუოკებელი წყურვილი მუსიკისადმი, 6 წლის ასაკში იგი მიაბარეს ეკლესიის ორღანისტს პიეტრო ბაისტროკის (პარალელურად ჯუზეპე სწავლობს წერა-კითხვას).

სახლი, სადაც დაიბადა ჯუზეპე ვერდი.
სოფელი ლე რონკოლე.

მამამ იშოვა ძველი, გატეხილი სპინეტი* და ჯუზეპეს აჩუქა. ოსტატმა მის შეკეთებაში ფული არ აიღო, სპინეტზე დატოვა ბარათი: „იმ მონდომების დანახვა, რასაც ახალგაზრდა ჯუზეპე ავლენს ამ ინსტრუმენტზე დაკვრის ასათვისებლად, ჩემთვის საკმარისი გასამრჯელოა!“ (გენიალური კომპოზიტორი სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა მამის ნაჩუქარ სპინეტს).

ჯუზეპე სამი წლის მანძილზე სწავლობდა ბაისტროკისთან და იმდენად კარგად დაეუფლა სპინეტის დაკვრას, რომ მასწავლებელს უკვე მისთვის არაფრის მიცემა შეეძლო. ცხადი გახდა, რომ ლე რონკოლეში ბავშვი ახალს ვერაფერს ისწავლიდა.

* – მცირე ზომის კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი, კლავისინის მსგავსი.

„შენ ნამდვილად არ მოკვდები შიმშილით"


ანტონიო ბარეცი

ვერდის მუსიკალური ნიჭით დაინტერესდა მდიდარი ვაჭარი, მუსიკის დიდი მოყვარული ანტონიო ბარეცი (ბუსეტოს ფილარმონიული საბჭოს თავმჯდომარე, ორკესტრში უკრავდა ფლეიტაზე), რომელმაც მასში იმთავითვე დაინახა მომავალი დიდი კომპოზიტორი. ბარეციმ კარლო ვერდის ურჩია, ბიჭი ქალაქ ბუსეტოში წაეყვანა მუსიკალური განათლების მისაღებად.

კარლო ვერდიმ ჯუზეპე დააბინავა კეთილსინდისიერი მეწაღის პუნიატის სახლში. მალე ჯუზეპემ სწავლა დაიწყო გიმნაზიაში პიეტრო სელეტისთან. ვერდი თავისუფალ დროს გულმოდგინედ ვარჯიშობდა სპინეტის დაკვრაში, ხოლო უქმე დღეებსა და დღესასწაულებზე დადიოდა ლე რონკოლეში, სადაც აწ განსვენებული ბაისტროკის ადგილზე ორღანისტად მუშაობდა. იქ აღებული მოკრძალებული გასამრჯელოთი ვერდი ოჯახს ეხმარებოდა. მუსიკის შესწავლის პარალელურად კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას.

მუსიკის მასწავლებელი ფერდინანდო პროვეზი ჯუზეპეს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ სელეტი ფიქრობდა, რომ ბიჭი მღვდლის კარიერისთვის მოემზადებინა – ასე უფრო იქნებოდა უზრუნველყოფილი ლუკმა-პურით. თუმცა ერთხელ, როცა ვერდის მოულოდნელად მოუწია ტაძრის ორღანისტის შეცვლა, მისი შესრულებით მოხიბლულმა სელეტიმ განაცხადა: „განაგრძე მუსიკის შესწავლა, შენ ნამდვილად არ მოკვდები შიმშილით!"

პირველი აჟღერებული მელოდია

ბარეცის სახლში ვერდის პირველად მიეცა შესაძლებლობა, დაეკრა ფორტეპიანოზე და მონაწილეობა მიეღო ფილარმონიის ორკესტრის რეპეტიციაში. ჯუზეპე ეცნობა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტს, ამოწმებს დაკვრის გამოცდილებას, სახლში კი სწავლობს პარტიტურებს (რომელსაც პროვეზისგან თხოულობს). მუშაობს ნოტების გადაწერა-არანჟირებაზე, სწავლობს ორკესტრის დიდ დოლზე დაკვრას, ეცნობა ჰაიდნის, როსინისა და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

სააღდგომოდ ბუსეტოს თეატრში მაყურებლის წინაშე პირველად აჟღერდა ვერდის მუსიკა: ფილარმონიის ორკესტრმა პირველად შეასრულა მის მიერ დაწერილი როსინის „სევილიელი დალაქის" უვერტიურა (იმ დროს ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, თვით როსინიც ცვლიდა თავის უვერტიურებს).

პირველმა წარმატებამ ვერდი კიდევ უფრო შეუპოვარი შრომისადმი განაწყო. იგი წერს არიებს, დუეტებს, მარშს სასულე ორკესტრისთვის, საფორტეპიანო პიესებს და სხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს. კითხულობს მსოფლიო კლასიკას, ეცნობა გოეთეს, შილერსა და სხვა ცნობილ მწერლებს.

მალე პროვეზიმ განაცხადა, რომ დასრულდა ვერდის მუსიკალური განათლება. ჯუზეპეს სურს, მონაწილეობა მიიღოს მეზობელ სოფელში ორღანისტის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში. მის განცხადებას თან ახლავს პროვეზის შესანიშნავი დახასიათება. სამწუხაროდ, ორღანისტის ადგილი სხვას ხვდება; ამიტომ ვერდი რჩება ბუსეტოში და განაგრძობს სწავლას. შემოქმედის ნიჭი სულ უფრო იშლება, დღითიდღე იზრდება მისი პოპულარობაც.

ერთხელ პროვეზიმ ვერდი დაპატიჟა ბარეცის სახლში მუსიკალურ-ლიტერატურული საზოგადოების კონცერტზე, სადაც გაჟღერდა ახალგაზრდა კომპოზიტორის ახალი ნაწარმოებები. მაგრამ ჯუზეპეს არ აკმაყოფილებს პატარა ქალაქის პროვინციული ცხოვრება. ოცნებობს მილანზე, სადაც მუსიკალური ცხოვრება დუღს, სადაც არის განთქმული საოპერო თეატრი – ლა სკალა.

ბუსეტოს თეატრი

დროულად მილანში...

ვერდის ნიჭიერებით მოხიბლული ბარეცი მას ანდობს უფროსი ქალიშვილის, მარგარიტას მუსიკალურ განათლებას.

ბარეცის მეუღლის თხოვნით ვერდი საცხოვრებლად გადადის ბარეცის სახლში. საქმე ისაა, რომ იმხანად მათ სამეზობლოში ძარცვის დროს მოხდა მკვლელობა. ბარეცის

მეუღლეს ეშინოდა ბავშვებისა და ქმრის გამო, რომელსაც ქალაქში დიდძალი ქონება ჰქონდა. ქალი იმედოვნებდა, რომ ახალგაზრდა მამაკაცის ყოფნა ოჯახს როგორღაც დაიცავდა ბოროტმოქმედებისაგან.

იმავე დღეს კარლო ვერდი თხოვნით მიმართავს ბუსეტოს საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელს, ცოდნის სრულყოფისათვის მუსიკის სფეროში მის ვაჟს დაენიშნოს სტიპენდია. მამას სურს, შვილი გაგზავნოს მილანის კონსერვატორიაში სასწავლებლად.

ბარეცი თავადაც წერს თხოვნას პარმის ჰერცოგინიას სახელზე, თან ურთავს პროვეზის შუამდგომლობას. მართლაც, ვერდის ენიშნება სტიპენდია 300 ლირის ოდენობით 4 წლის განმავლობაში, ოღონდ მის აღებას წელიწადნახევარში შესძლებს.

ვერდი განაგრძობს მარგარიტას მეცადინეობას. ახალგაზრდებს ერთმანეთის მიმართ გრძნობა უჩნდებათ. ბარეცის მოსწონს ქალიშვილის არჩევანი. მომავალი სიმამრი ზრუნავს, რომ ჯუზეპე დროულად წავიდეს მილანში და აძლევს ავანსს.

„საზღვარგარეთ“ წასასვლელად ვერდის პარმაში აძლევენ პასპორტს, ცხოვრებაში პირველად.

„დაივიწყეთ კონსერვატორია, თქვენ სმენა არ გაქვთ!"

ჯუზეპე ვერდი მამასთან და პროვეზისთან ერთად მიდის მილანში. იგი მოხიბლულია დიდი ქალაქით. ბინავდება პროფესორ სელეტისთან, მასწავლებელ სელეტის დისშვილთან.

ვერდი აბარებს მისაღებ გამოცდებს მილანის კონსერვატორიაში. იგი კომისიის წევრებს საკუთარ ნაწარმოებს უსრულებს. მილანის კონსერვატორიის დირექტორი ფრანჩესკო ბაზილი, გულცივი პედანტი ვერდის უარს ეუბნება, იმოწმებს მის პროფესიულ შეუფერებლობას. ვერდი იღებს პასუხს, სადაც წერია: „ახალგაზრდავ, კონსერვატორია დაივიწყეთ, თქვენ სმენა არ გაქვთ, და საერთოდ, მუსიკაზე ფიქრს თავი დაანებეთ, თანაც, ასაკით ძალიან დიდი ხართ იმისთვის, რომ ჩვენთან ჩააბაროთ. ხოლო, თუ მაინცდამაინც გინდათ, ცხოვრება ჩვენს სფეროს დაუკავშიროთ, მაშინ ქალაქში ვინმე იაფფასიანი მასწავლებელი აიყვანეთ და კონსერვატორიის გარეთ დაეუფლეთ ჟღერადობის ხელოვნებას“.

ჯუზეპე ვერდის სახელობის მილანის კონსერვატორია

ყველაფერთან ერთად ვერდი ითვლება უცხოელად და უკვე ასაკს გადაცილებულად (18 წლისაა). იგი კონსერვატორიის მიღმა რჩება. ჯუზეპეს რეკომენდაციას აძლევენ, იმეცადინოს ვინჩენცო ლავინიასთან (ამ უსიამო ფაქტიდან 10 წლის მერე კი მილანის კონსერვატორია დაჟინებით ითხოვს, რომ მას ვერდის სახელი მიენიჭოს).

ვერდისა და მისი მშობლების სულში უარი მტკივნეულ იმედგაცრუებას იწვევს. მხოლოდ ბარეცის სჯერა ახალგაზრდის ნიჭისა და მომავლის. ის თავის თავზე იღებს, იზრუნოს ვერდის ბინის, ჩაცმის, ოპერის აბონემენტისა თუ ნოტების სარგებლობის ხარჯებზე.

მასწავლებელი იყურებოდა უკან, მოსწავლე – წინ

ვერდი იწყებს ლავინიასთან სისტემატურ მეცადინეობას. ახალგაზრდა თავდაუზოგავად შრომობს, მასწავლებელი აღტაცებულია მისი მონდომებით. „თქვენი სტიპენდიანტი მალე სამშობლოს სიამაყე იქნება!“ – წერს ლავინია ანტონიო ბარეცის. ისინი აანალიზებენ კორელის, ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის, მენდელსონის სიმფონიურ და კამერულ ნაწარმოებებს, სიღრმისეულად განიხილავენ პაიზიელოს სტილს. „ლა სკალას“ თეატრში ვერდი ეცნობა მერკადანტის, რიჩისა და დონიცეტის ოპერებს.

ლავინიასთან მეცადინეობის პარალელურად, ვერდი ქმნის ორ სიმფონიას, რომელსაც ვიწრო წრეში ასრულებს. უმეგობრდება პიეტრო მასინის, ფილარმონიის საზოგადოების ხელმძღვანელს, მუსიკის დიდ მოყვარულს. ერთხელ მისი თხოვნით (დირიჟორის არყოფნისას) შესანიშნავად დირიჟორობს ორკესტრს.

ლე რონკოლედან მოდის სამწუხარო ამბავი – გარდაიცვალა უმცროსი და – ჯუზეპინა. ამას ემატება პროვეზის სიკვდილიც. ვერდიც ავადაა – მილანში გრიპის ეპიდემია მძვინვარებს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ სელეტის (ბინის მეპატრონე) არ სურს ჯუზეპეს სახლში გაჩერება; ვერ ეგუება მის თავისუფალ ქცევას, სახლში დაგვიანებებს.

გარდაცვლილი პროვეზის (რომელსაც გულით სურდა, ორღანისტის პოსტზე თავისი შეგირდი ეხილა)

მარგარიტა ბარეცი

ადგილის დასაკავებლად ბუსეტოს ხელმძღვანელობას ერთდროულად მიმართეს ვინმე ჯოვანი ფერარიმ და ჯუზეპე ვერდიმ. მაგრამ ბუსეტოს პრიტორმა ბერნანდო ბალარინმა კონკურსის გვერდის ავლით ტაძრის ორღანისტად და ეკლესიის გუნდის რეგენტად ფერარი დანიშნა?! იმავე დღეს ბუსეტოში დაბრუნდა ბინის მეპატრონეზე განაწყენებული ვერდი. ამას ერთვოდა ლავინიით იმედგაცრუება: ერთ-ერთი მეცადინეობის დროს ჯუზეპე მიხვდა, რომ მასწავლებელი იყურებოდა უკან, ხოლო მოსწავლე – წინ.

ვერდი თანამოაზრეებთან ერთად აპროტესტებს ბალარინის უკანონო გადაწყვეტილებას. ბუსეტოში მდგომარეობა მწვავდება. ერთმანეთს უპირისპირდებიან ვერდისა და ფერარის მომხრეები. ქალაქი ორ ბანაკად იყოფა, ჩაღდება ნამდვილი ომი; ყოველ დღე იმართება ქუჩური გარჩევები და ცემა-ტყეპაც კი. ვერდი იღლება ამ პროვინციული გაუგებრობით. იღებს გადაწყვეტილებას, ყველაფერს გაერიდოს.

„მე მარტო ვიყავი, მარტო!"

ვერდი ოფიციალურად ინიშნება მარგარიტაზე, ბარეცის ქალიშვილზე. ცოტა ხანში ქორწინდება კიდეც. უჩნდებათ ქალიშვილი, რომელიც მალევე ეღუპებათ. ბუსეტოში წყვილს ბარეცი ეხმარება და აჩქარებს, რომ დატოვონ იქაურობა. ვერდები საცხოვრებლად მილანში გადადიან. ბარეცი აქაც ეხმარება მათ. ქმრისაგან მალულად ბარეცის მეუღლეც ეხმარება ახალგაზრდებს. მილანში შეეძინებათ მეორე შვილი, იჩილიო. მალე ისიც ავად ხდება და იღუპება.

„ლა სკალაში" განახლდა რეპეტიციები. ვერდი იძულებულია, შვილის გარდაცვალებით გულმოკლული მარგარიტა სახლში მარტო დატოვოს, თვითონ კი რეპეტიციებზე იაროს.

თეატრში წარმატებით იდგმება ვერდის პირველი ოპერა „გრაფი ბონიფაჩო". მაგრამ კომპოზიტორს ამჯერად ახალი ტრაგედია ატყდება თავს – ენცეფალიტით იღუპება მარგარიტა. ბარეცის ბუსეტოში მიჰყავს მგლოვიარე ვერდი. მშობლების სახლში ყოფნით ცოტათი მომჯობინებული ჯუზეპე მილანში ბრუნდება, რათა ახალი ოპერა დაწეროს (ხელშეკრულება აქვს დადებული).

გაიმართა ოპერის „მეფე ერთი დღით" პრემიერა, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა. მსმენელი უსტვენდა და კვერცხებს ისროდა სცენაზე. განრისხებულმა ვერდიმ განაცხადა, ამიერიდან ოპერებს არასოდეს დავწერო.

„მე მარტო ვიყავი, მარტო! ორი თვის მანძილზე სამი ძვირფასი არსება გაქრა სამუდამოდ. აღარ მქონდა ოჯახი! ამ საშინელ ტანჯვაში უნდა შემესრულებინა აღებული ვალდებულება, შემეთხზა და დამესრულებინა კომიკური ოპერა!" – წერდა სასოწარკვეთილი.

მართლაც, ვერდის სულიერი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. „ფიგარო" წერდა: „ეტყობა, ვერდი სრულებით დატოვა აღმაფრენამ!"

„იფრინეთ, ფიქრებო, ოქროსფერი ფრთებით!"

კომპოზიტორს მელანქოლია იპყრობს. თვეები ცხოვრობს, როგორც სულიერად პარალიზებული.

ჯუზეპინა სტრეპონი

ერთხელ შემთხვევით ქუჩაში ხვდება მერელის, ლა-სკალას ანტრეპრენერს.* იწყებენ საუბარს, გამომშვიდობებისას მერელი ვერდის ხელში ჩრის „ნაბუქოდონოსორის" ხელნაწერს. კომპოზიტორი იხსენებს: „მივდიოდი და ვგრძნობდი ღრმა სევდას. სახლში მისულმა მაგიდაზე დავაგდე ხელნაწერი. რვეული გადავარდა და გაიშალა. ჩემი მზერა მიიპყრო ნაწერმა: „იფრინეთ, ფიქრებო, ოქროსფერი ფრთებით!" გადავხედე სხვა სტრიქონებსაც, რომელმაც ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა".

დილით უკვე მთელი ტექსტი ზეპირად იცის. რვეულს უბრუნებს მერელის, რომელიც ხვდება, რას გრძნობს ვერდი. ამიტომ ჯიბეში შეუმჩნევლად უდებს „ნაბუქოდონოსორის" ლიბრეტოს.

ვერდი მუშაობით ცდილობს ტკივილის ჩახშობას. მუსიკა მისთვის მკურნალი წამალივითაა და... გენიოსიც უბრუნდება რეალობას.

ვერდის პოპულარობა მთელ მსოფლიოში იზრდება. უჩნდება მფარველები, მილანის ფილარმონიული საზოგადოების ხელმძღვანელი პიეტრო მასინი, ლა-სკალას პირველი ვიოლინო – ვინჩენცო მერიგი.

* – მენეჯერი.



ჯუზეპე ვერდი

ოტომანის ორდენის კავალერი

კომპოზიტორის ცხოვრებაში ახალი სიყვარული ჩნდება, ოპერის მომღერალი ჯუპეზინა სტრეპონი, რომელიც „ნაბუქოსა“ და „ლომბარდიაში“ ქალის მთავარ პარტიას ასრულებდა. რომანი, მერე კი უკვე მათი სამოქალაქო ქორწინება ხალხში უკიდურეს აღშფოთებას იწვევს. 10-წლიანი ურთიერთობის შემდეგ წყვილი ჟენევაში ქორწინდება.

ვერდიმ მისის სტრეპონის სახით ერთგული მეგობარი შეიძინა. ჯუზეპინა კომპოზიტორის მუზა და საყრდენი გახდა. როცა ხმის დაკარგვის გამო მომღერალმა საოპერო კარიერის დასრულება გადაწყვიტა, ვერდიმაც იგივე მოინდომა (უკვე ცნობილი და მდიდარი იყო). მაგრამ ქალმა არ დაანება და დაითანხმა, გაეგრძელებინა მუსიკალური კარიერა. ამის შემდეგ შეიქმნა „რიგოლეტო“.

ჯუზეპინა სიცოცხლის ბოლომდე ძალას მატებდა ვერდის. ავ ენებს ცოლ-ქმარი განერიდა ქალაქიდან შორს, სანტა-აგატას ვილაში, რომლის პროექტი, სხვათა შორის, თვითონ ვერდიმ შექმნა. სახლი ლაკონური იყო, ბაღი კი, რომელიც გარს ეკრა ვილას, ნამდვილი საოცრება (ამ ბაღში დამარხა თავისი საყვარელი ძაღლი; საფლავზე იყო წარწერა: „ჩემი მეგობრის ხსოვნას“). თავისუფალ დროს კომპოზიტორი თვითონ ეწეოდა მებაღეობას, უვლიდა თავის საყვარელ ყვავილებსა და ნარგავებს.

როდესაც გარდაიცვალა ვერდის მეორე მეუღლე ჯუზეპინა, კომპოზიტორმა თქვა: „სიცოცხლე აღარ მინდა, მაგრამ მაინც მშვიდად დაველოდები დროს, ვიდრე ნოტებით სავსე ჩემი გონება არ გამოიფიტება“.

ცნობილია, რომ ვერდი შეკვეთით ოპერებს არ წერდა. მხოლოდ 1869 წელს ეგვიპტის მთავრობის თხოვნით, სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით ეგვიპტურ სიუჟეტზე შექმნა ოპერა „აიდა“, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად („აიდას“ შემდეგ ჯუზეპე შეკვეთებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით იღებდა). ავტორს ამ ოპერისთვის ეგვიპტის მთავრობამ ოტომანის ორდენის კავალერის ტიტული მიანიჭა (თავად კომპოზიტორი ოპერის პრემიერას არ დასწრებია).

ნოტებით სავსე გონება

ჯუზეპე ვერდი სულ თან ატარებდა პატარა წიგნაკს, სადაც ყოველი დღის ბოლოს შთაბეჭდილებებს იწერდა მუსიკის სახით. ის ნოტებით გამოხატავდა ნებისმიერ ხმაურს – ქუჩაში ბავშვის ტირილს, ვაჭრის ყვირილს, მეეზოვის მიერ დაგვისას დაჭერილ ბგერებს და მათი შეერთებით შედევრებს ქმნიდა. კომპოზიტორი აღიარებდა, რომ თავი სავსე ჰქონდა ნოტებით, რომლებიც გაუჩერებლად აქეთ-იქით დახტოდნენ; მუდმივად მათ დალაგებას ვცდილობო, წერდა.

ვერდი არ აწარმოებდა დღიურებს და არც ფიქრობდა, დაეწერა მოგონებები. „არასოდეს დავწერ მოგონებებს. ისიც საკმარისია, რომ მუსიკალურ სამყაროს მრავალი წლის მანძილზე ჩემი მუსიკის ატანა უწევდა“, – ამბობდა იგი.

მაგრამ ჯუზეპე ვერდი წერდა წერილებს, რომელთა პუბლიკაციას თავის სიცოცხლეში აპროტესტებდა; თუმცა კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ მისი წერილები გამოქვეყნდა – არაფერს შეეძლო, უფრო ღირსეულად, გულახდილად და დამაჯერებლად დაეხატა ვერდის, ადამიანისა და ხელოვანის პორტრეტი, ვიდრე მის მრავალრიცხოვან ჩანაწერებსა და თავის თანამედროვეებთან საკუთარ მიმოწერას.

P.S. წერილები ახლოდან გვაცნობს ვერდის პიროვნებას და ვრწმუნდებით, რომ ის სიცოცხლის პირველივე წუთებიდან სამყაროს გენიოსად მოევლინა, ხოლო ცხოვრების ბოლომდე დარჩა უბრალო ადამიანად.

ჯუზეპე ვერდი გარდაიცვალა 1901 წლის 27 იანვარს, 88 წლის ასაკში, ინსულტით.

კომპოზიტორი უკანასკნელ გზაზე გააცილა 300.000-მდე თანამოქალაქემ.



კომპოზიტორის ავტოგრაფი

იგი დაკრძალეს მილანში, კასა დი რიპოსოში, მისივე დაარსებულ პენსიონერ-მუსიკოსთა დასასვენებელი სახლის ეზოში.

"ყველა კომპოზიტორს შორის თავი ნაკლებ განათლებულად მიმაჩნია; ამას ვამბობ სრული სერიოზულობით, მაგრამ განათლებაში არ ვგულისხმობ მუსიკას", - ესეც გენიალური ვერდია.

საძიებელი

ᲞᲘᲠᲘᲚᲘ ᲔᲚᲘᲡᲝᲜ
ილია II
უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად
საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი
სამშობლო 3

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲘ
ლია ბაიდოშვილი
მინიატურები 4

ᲖᲝᲕᲘᲡᲞᲘᲠᲘ ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘ 7

ᲜᲔᲠᲘᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
უმბერტო ეკო
კომპიუტერი - მეხსიერების გასამდიდრებლად 8

ᲜᲐᲠᲘᲣᲨᲚᲘᲡ ᲞᲕᲐᲚᲘ
პაატა ქურდოვანიძე
ლეგენდა - მერი შარვაშიძე-ჩაჩბა 10

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ
გურამ პეტრიაშვილი
ლექსები 15

ᲔᲗᲜᲝᲛᲣᲡᲘᲙᲐ
ქეთევან ბაიაშვილი
მივიწყებული ქართული საბავშვო თამაშობები და
თანამედროვე მუსიკალური აღზრდა 16

ᲑᲖᲐᲯᲕᲐᲠᲔᲓᲘᲜᲖᲔ
ნანა ქარდავა
რომელი ცაც გიხმობს 19

Ო, ᲔᲜᲐᲕ ᲩᲔᲛᲝ
„სიბრძნე-სიცრუისას“ დაკარგული ხელნაწერი 22
იგავები 23

ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲪᲮᲐᲚᲘᲡᲬᲘᲤᲔᲑᲘᲗ
იაპონია - ეპოქის ამოცანა 24

ᲓᲔᲓᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ
ვახტანგ ჭანია
ქართული გვარ-სახელები ისტორიულ აფხაზეთში ... 28

ᲔᲠᲗᲘᲠᲔᲚᲘ 31

ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲘᲑᲜᲘᲓᲐᲜ
თორნიკე მსხილაძე
ნოველები 32

ᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲗᲐᲠᲘᲚᲘ
ჰოლივუდის ერთადერთი ქართველი ვარსკვლავი და
ცნობილი ბალერინა თამარ თუმანიშვილი
(თუმანოვა) 100 წლისაა 35

ᲘᲠᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ 38

ᲓᲐᲤᲘᲝᲜᲘ
ქეთი ჭიჭიბოშვილი
რაც რთულ კონსტრუქციას აკლია 39

ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ - ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ
ისტორიული სახლის ბინადარი 42

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲡᲗᲐᲜ
XVII-XVIII ს.ს.-ის რუსეთი და პეტრე პირველი 45

ᲗᲐᲠᲑᲛᲐᲜᲘ
სოკრატეს გარდაცვალება 49

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲗᲣᲛᲔᲚᲘ
შოთა ნიშნიანიძე
მზის ჩასვლა 52
ირმა ბაბლუანი
„ნოსტალჟი“: 5-90 52

ᲘᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲑᲖᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ
ჯუზეპე ვერდი 54

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;
ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 1 (42). 2019 წ.
აფქიო № 1 (15). 2019 წ.

ტირაჟი: 500 ც.
ფასი სახელშეკრულებო.

„მამალი“. გიორგი ლეფსაია. 14 წლის. მოსკოვი